

FL 10788



მართული მეურნეობა

სრ. საქართვე. საბჭოთა მწერლები ფედერაციის
ყოველთვიური ჟურნალი

რედაქცია

წელიწადი მესამე

4



1928 — აპრილი
თბილისი.

საქართველოს
კარლ აშენტიის
მემორიალური
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ე

ხარედაქციო კოლეგია

- ბ. ბუაჩიძე
- ვ. კოტეტიშვილი
- ტიციან ტაბიძე
- ლევ კიაჩელი
- დემნა შენგელაია

ჩვენს მწერლობა და კულტურული რევოლუციის საკითხი

სოციალისტური რევოლუციის პროცესში კულტურის პრობლემას უდიდესი მნიშვნელობის ადგილი უჭირავს. ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის მებრძოლ კლასისათვის შედარებით უფრო ადვილი ხდება პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა და სოციალ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებების მოხდენა, ვინემ კულტურის დარგში მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოწვევა. ეს უკანასკნელი ე. წ. მესამე ფრონტი ერთობ რთულია თავისი საზოგადოებრივი შინაარსით და მასთანვე ერთად ხანგრძლივ მიზანშეწონილს მუშაობას მოითხოვს. საიდან წარმოდგა ეს სირთულე და სიძნელე კულტურული ფრონტისა?

პირველი: კლასი, რომელიც დღეს ცდილობს კაპიტალისტური წყობილების გარდაქმნას უმაღლეს საზოგადოებრივს საფუძვლებზე, კულტურის მხრივ ჯერ კიდევ განუვითარებელია; მას არ ჰქონდა საშუალება კაპიტალისტური წყობილების საშოში გამოემუშაებინა დამთავრებული სოციალისტური კულტურა, იგი ამისათვის მოკლებული იყო მატერიალურ შესაძლებლობასა და ამიტომ თანამედროვე მოძრაობის მეთაურ კლასს სჭირდება თვით ახალი წყობილების მშენებლობის პროცესში აღზარდოს თავისი თავი კულტურულად და თვით გარდაიქმნეს.

მეორე: კულტურული ცხოვრების ტრანსფორმაცია და განვითარება შედეგი არის თვით მატერიალური ცხოვრების — სოციალ-ეკონომიურ ცვლილებებისა და განვითარების: უკანასკნელის გარდაქმნა ისტორიულად და ლოდიკურად იწვევს კულტურული ცხოვრების თვით მატერიალურ პირობებში მომხდარს ცვლილებებთან შეფარდებულს ცვლილებებს. ამიტომ კულტურული რევოლუციის საგრძნობ განვითარებისათვის წინასწარ საჭიროა შესაფერისი გარდატეხები თვით სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურაში: აქედან ნათელი არის, თუ რატომ დაისვა საბჭოთა წყობილების სინამდვილეში კულტურული რევოლუციის პრობლემები ასე მოგვიანებით. ჩვენმა სოციალ-ეკონომიურმა სინამდვილემ უკვე საგრძნობლად გა-

2067

ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო ს
მ რ ო ვ ე უ ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

მოააშკარავა თავისი სოციალისტური ფორმები, ხოლო ამ მატერიალურ ცვლილებებმა თავისი შესაფერისი ფორმით წამოაყენეს კულტურული რევოლუციის პრობლემები.

მესამე: თანამედროვე პერიოდში კულტურული რევოლუცია ნიშნავს არა მარტო ახალი სოციალისტური კულტურის ფორმების შექმნას, არამედ ძველი მდიდარი კაპიტალისტური კლასის გარდაქმნას ახალ სოციალურ საფუძვლებზე. ეს უკანასკნელი არ არის უბრალო თვისება ბურჟუაზიული მემკვიდრეობისა, იგი გულახმობს რადიკალურ ტრანსფორმაციას საუკუნოებით შექმნილ კაპიტალისტური კულტურის სფეროში, ხოლო ასეთი ტრანსფორმაცია მრავალგვარ რთულ საზოგადოებრივ მოვლენებთან არის დაკავშირებული.

ჩვენი მწერლობის უკანასკნელმა ყრილობამ სრულიად საფუძვლიანად წამოაყენა მორიგ ამოცანად კულტურული რევოლუციის ფრონტი; კულტურის ძირეულ საკითხებთან მწერლობას უახლოესი დამოკიდებულება აქვს და ამიტომ ამ ფრონტის გაძლიერების საქმეში მან თავისი შესაფერისი როლი უნდა ითამაშოს. მაგრამ არ არის საკმარისი მარტო კულტურული ფრონტის მორიგ ამოცანად წამოყენება, საჭიროა ამ ფრონტის არსებითი სოციალური შინაარსის გარკვევით შეთვისება. ჩვენი მწერლობის დიდმა უმეტესობამ საგრძნობლად შესცვალა თავისი პოლიტიკური ორიენტაცია და საბჭოთა საქმიანობის ნიადაგზე დადგა. დღევანდელ კულტურულ ორიენტაციის პირობებში ქართული მწერლობის წინაშე შემდეგი ამოცანა სდგას: მან უნდა ნათლად შეიგნოს, რომ არ არის საკმარისი საბჭოთა წყობილების მარტო ორიენტაციაზე დგომა და მისი სოციალ-ეკონომიური და კულტურული აღორძინების ფაქტის აღნიშვნა; საჭიროა მწერლობამ ნათლად და გარკვევით შეიგნოს ამ სოციალ-კულტურული აღორძინების ძირითადი სოციალური სახე და მისი არსებითი მიზნები, რომ თანამედროვე გარდამავალს პერიოდის პირობებში ხდება ერთის მხრივ, ძველი, კაპიტალისტური წყობილების სოციალ-ეკონომიური და კულტურული ფორმების დაშლა და გადაშენება, ხოლო მეორეს მხრივ, საფუძვლები ეყრება სოციალისტურ საზოგადოებასა და სოციალისტურ კულტურას; ამ ღრმა მნიშვნელობის სოციალ-კულტურულ ტრანსფორმაციის პროცესში მწერლობას, შეიარაღებულს ახალი იდეებითა და მისწრაფებებით, უდიდესი მოვალეობის შესრულება

შეუძლია; იგი არ უნდა გახდეს — და არც გახდება — ბრმა მაყურებელი ამ დიდი შემოქმედებითი პროცესისა, რომელიც სწარმოებს დღეს საბჭოთა ქვეყნებში, თუ მას არ სურს ისტორიის მიერ გარიყული დარჩეს.

ჩვენმა მწერლობამ თავის უკანასკნელ ყრილობაზე ერთხმად დაადგინა იბრძოლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ჩვენი ცხოვრების ეკონომიური და კულტურული აღორძინების ფრონტზე; ჩვენი მწერლობის მიერ წამოყენებული ეს მორიგი მრავალმეტყველი ამოცანა თავისი გარკვეული შინაარსით უნდა იქნეს გაგებული: ჩვენი ეკონომიური და კულტურული აღორძინება ნიშნავს სოციალისტური ეკონომიკისა და სოციალისტური კულტურის აღორძინებას, ახალი საზოგადოებრივი წყობილების ფორმების შექმნას.

უურნალი „ქართული მწერლობაც“ შეძლების დაგვარად ამ მთავარი ამოცანის განაღდებას შეუდგება; იგი შეეცდება ქართველ მწერლებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანოს იმ დიდ, კარდინალური კითხვის გადაწყვეტაში, რომელიც ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ვითარებამ წამოაყენა მორიგ ფრონტად: კულტურული რევოლუციისა და ახალი კულტურული მშენებლობის მიზანშეწონილად დაგვირგვინების საქმეში.

მოსული

— : —



S. S. S. S.

ნიკო ნიკოლაძე

(მოკლე ბიოგრაფია)

ნ. ნიკოლაძე დაიბადა ქ. ქუთაისში 1843 წლის 14 სექტემბერს. 1861 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. იმავე წელს მონაწილეობა მიიღო სტუდენტების არეულობაში, რისთვისაც დაპატიმრებული იყო პეტრე-პავლეს ციხეში და კრონშტადტში. უნივერსიტეტიდანაც გამორიცხეს.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ გიმნაზიელობის დროს — 1860 წელს, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ № 10 „ქუთაისის მოლაყბის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა მისი დიალოგი თემაზე „გვჭირია რამეთ აწი ქართული ენა თუ აღარ?“. რუსეთში სტუდენტობის დროს იგი თანამშრომლობდა „ისკრაში“, „სოვრემენნიკ“-ში და განსაკუთრებით ბილიბინის „ნაროდნოე ბოგატსტვო“-ში. 1864 წელს შეზღოდგომაზე ნ. ნ-ძე მიემგზავრება საზღვარგარეთ — ჯერ პარიზს, შემდეგ ჟენევასა და ციურიხს. პარიზში ყოფნის დროს იგი დაუახლოვდა ა. ი. ჰერცენს, რომლის თხოვნითაც 1865 წელს ცნობილ „Колокол“-ში მოათავსა წერილი — „გლეხების განთავისუფლება საქართველოში“. ამის შემდეგ ნ. ნ-ძე თანამშრომლობს ჟენევის გამოცემებში. 1868 წ. სწერს სადოქტორო დისერტაციას ფრანგულად, თემაზე: „განიარელება და მისი ეკონომიური და სოციალური შედეგები“, სადაც ნ. ნ-ძე ასაბუთებს თავის შეხედულებებს ევროპაში დაარსებულ „მშვიდობიანობის კონგრესის“ შესახებ. ჟენევაში იგი სცემს ჟურნალ „Современное“-ს. 1868 წელს ნ. ნ-ძე ამთავრებს ციურიხის უნივერსიტეტს, ღებულობს უფლებათა დოქტორის ხარისხს და ბრუნდება სამშობლოში.

1869 წლიდან — 1877-მდე ნ. ნ-ძე თანამშრომლობს გაზეთ „დროებაში“. იმავე ხანებში აარსებს საკუთარ ჟურნალს „კრებულს“ (1871 — 73) და მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე გაზეთ „Тифлисский Вестник“-ში (1875—77). ამ გამოცემებში ნ. ნ-ძე ათავსებს შესანიშნავ პუბლიცისტურ წერილებს თავისი დროის აქტუალურ ეკონომიურ და საზოგადოებრივ საკითხების შესახებ. ნ. ნ-ძე თავის წერილებში ამტკიცებდა ერობის შემოღების საჭიროებას პირველ

რიგში. „დროებაში“ 1876 წ. ნ. ნ-ქემ მოათავსა მთელი სერია წერილებისა, რომელიც ეხებოდა ილია ჭავჭავაძესთან კამათს. ნ. ნ-ქე ამ წერილებში ამტკიცებდა, რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენმა საადგილ-მამულო ბანკებმა აგრარული და სამელიორაციო ბანკების ხასიათი მიიღონო. 1874 — 75 წლებში ქვანახშირის წარმოებისათვის ფინანსიური საშვალების გამოსაძებნად ნ. ნ-ქემ წელიწად ნახევარს იცხოვრა პარიზში. ამ ხანებში საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში და პრესაში თანდათან ძლიერდებოდა ტენდენციები რუსეთის საფრანგეთთან დაკავშირებისა — გერმანიის აღმავალი იმპერიალიზმისათვის დასაპირდაპირებლად. ნ. ნ-ქემ ამ საკითხის შესახებ გამოსცა ბროშურა, სადაც ამტკიცებდა, რომ საერთო ინტერესების უქონლობის გამო საფრანგეთ-რუსეთის კავშირი საზიანო იქნება ორივე მხარისათვის, ხოლო რუსეთს გერმანიასთან გადაკიდება დალუპავსო. ეს ბროშურა მთლიანად გადაბეჭდა თავის პოპულარულ გაზეთ „La France“-ში ცნობილმა ფრანგმა პუბლიცისტმა ემილ დე-ჟირარდენმა.

1877 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ნიკო ნიკოლაძეს დავალებული აქვს ჰავასის სააგენტოს სამხედრო კორესპონდენტობა კავკასიის ფრონტზე. მისი კორესპონდენციები იბეჭდება „Тифлисский Вестник“-ში, „Голос“-ში, იქიდან კი ყველა რუსულ და საზღვარგარეთის გაზეთებში. 1878 წელს ნ.ნ-ქე აარსებს ტფილისში საკუთარ ყოველდღიურ გაზეთს „Обзор“, რომლის დანიშნულება იყო ქართველთა ინტერესების დაცვა რუსეთის საზოგადოების წინაშე. ეს იყო გავლენიანი ორგანო, რომელსაც არაერთხელ ჰქონდა შეტაკება ცენზორებთან. „Обзор“-ის მოღვაწეობა დასრულდა ნ. ნ-ქის სასამართლოში მიცემით, სადაც ნ-ქემ თუმცა თავი იმართლა, მაგრამ მაინც გადასახლებულ იქნა 1880 წლის ზაფხულში სტავროპოლში. ნ. ნ-ქის „Первый процесс Обзора“-მ (ტფილისი, 1880 წ.) დიდი გამოხმაურება ნახა რუსეთის პრესაში. შემდეგი წლის თებერვალში ნ-ქე გაანთავისუფლეს გადასახლებიდან. იგი მიემგზავრება პეტერბურგში და შედის რკინის გზის სამსახურში, სადაც დიდ გავლენას პოულობს. მას მინდობილი აქვს ლიბავის გამოსადგურის აშენებაზე ყურადღების მიქცევა.

1883 წ. ნ. ნ-ქე მოწვეული იქნა ა.-კ. რკინის გზების გამგეობაში. მას დაევალა ნავთის გადაზიდვის საქმის მოწესრიგება და აგრეთვე ტყიბულის გზისა და სურამის გვირაბის აშენებისათვის ნებართვის

გამოთხოვა მთავრობისგან. შემდეგი წლიდან ნ. ნ-მე მოლაპარაკებას აწარმოებდა უცხოელ კაპიტალისტებთან ბაქოს ნავთის ჭებისა და ქარხნების გაყიდვის თაობაზე. მისი მეცადინეობით ბაქოში მოწვეულ იქნა როტშილდი, რითაც ბაქოს ნავთს უკვე მსოფლიო მნიშვნელობა მიენიჭა. ნ. ნ-მემ შეადგინა სრული პროგრამა, თუ როგორ უნდა გადაჭრილიყო ყველა სიძნელეები და კრიზისები მაშინდელ ნავთის მრეწველობაში. ეს პროგრამა შემდეგი წლების განმავლობაში განხორციელებულ იქნა მთავრობის მიერ, რასაც მოჰყვა ბაქოს ნავთის მრეწველობის უღირესი აღორძინება.

ამავე პერიოდს (1882 — 84) ეკუთვნის ნ. ნ-ის თანამშრომლობა სალტიკოვის ჟურნალში „Отечественные записки“. მიხაილოვსკის გადასახლების შემდეგ ნიკოლაძეს ჩაბარდა ამ ჟურნალის კრიტიკული განყოფილება.

1887 წლიდან 1891 წლამდე ნ-მე ხელმძღვანელობს ტფილისში გაზეთ „Новое Обозрение“-ს. ამავე ხანებს ეკუთვნის ნ-ის ინიციატივით და ენერგიული მუშაობის წყალობით სამელიორაციო არხის გაყვანა მათხოჯიდან იანეთამდე, ცხენის წყალსა და გუბის წყალს შორის მოქცეულ მიდამოების მოსარწყავად, რამაც უდაბნო ადგილები აყვავებულ და ნაყოფიერ ველებად გადააქცია.

ამ დროს ნ. ნ-მე დაუცხრომელ პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა ა.-კავკასიის და კერძოთ საქართველოს ქალაქების ცხოვრებაში. მისი მეოხებით და მეცადინეობით თვითმართველობის უფლება მიიღეს ქუთაისმა და ფოთმა. ნ-მე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტფილისისა და ბაქოს ქალაქების საქმეებში.

1894 წლიდან ნ-მე მიწვეულ იქნა თანამშრომლათ ჟურნალ „მოამბეში“. აქ ნ. ნ-მე ათავსებდა საშინაო და საგარეო ცხოვრების მიმოხილვებს.

ამავე წელს ნიკო ნიკოლაძე არჩეულ იქნა ფოთის ქალაქის თავად. ამ პოსტზე ნ. ნ-მემ იმოღვაწა 1912 წლამდე. ნ-ის მეცადინეობით რუსეთის მთავრობა დასთანხმდა ფოთის გემთსადგურის მუნიციპალიზაციაზე. ნ-ის დაუღალავი შრომით გადაკეთდა თვით გემთსადგური, აგებულ იქნა ელევატორი, აშენდა მრავალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური მნიშვნელობის შენობები.

1917 — 20 წლებში ნიკო ნიკოლაძე ითვლებოდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში. ამ პარტიის სიით იგი არჩეულ იქნა დამფუძნებელ კრების წევრად.

1918 წელში მენშევიკური მთავრობის დავალებით ნ. ნ-ძე დაინიშნა წევრად იმ საელჩოსი, რომელიც გაიგზავნა ჯერ ბათუმს, ოსმალეთთან ზავის შესაკრავად, მერე გერმანიაში. შემდეგ ხანებში ნიკო ნიკოლაძე მთავრობის დელეგაციის მრჩეველად იყო ჯერ ბაქოში, მერე სტამბოლში და ევროპაში. 1924 წელს ნიკო ნიკოლაძე დარწმუნდა რა საბჭოთა საქართველოს აღორძინების საქმეში ბრუნდება სამშობლოში.

ნიკოლაძემ, როგორც პრაქტიკოსმა, ნათლად დაინახა, თუ საით მიყავდა მენშევიკების პოლიტიკას ქართველი ხალხი, ამიტომ მან გასწყვიტა კავშირი მენშევიკებთან და ქართველ ინტელიგენციას ურჩევდა დასდგომოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან მტკიცე თანამშრომლობის გზას.

1926 წელს მას კიდევ მოუხდა ევროპაში მგზავრობა. დაბრუნების შემდეგ იგი ცხოვრობდა ტფილისში, სადაც გარდაიცვალა ანთებისაგან 1928 წლის აპრილში.

ნიკო ნიკოლაძე დასაფლავებულია მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და დიმიტრი ყიფიანის გვერდით.

ლ. ა — ნი.

— : —

ჟანდარმერიის ცნობები ნ. ნიკოლაძის შესახებ

დაახლოებით 80-იან წლებამდე ნ. ნიკოლაძე ოპოზიციაში უდგა მთავრობას და რადიკალურ მიმდინარეობას ემხრობოდა. ამიტომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება გავაცნოთ მას ჟანდარმერიის ცნობები ამ პერიოდის ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ. ქვემოთ მოყვანილი ცნობა ამოღებულია გალიცინის მიერ 1887 წ. გამოცემულ წიგნიდან: „История социально-революционного движения в России“:

— „ნ. ი. ნიკოლაძე, დაბადებულია ქუთაისის გუბერნიაში, ფოთის მოქალაქე, ყოფილი სტუდენტი სანკტპეტერბურგის უნივერსიტეტისა, შემდეგ რედაქტორი გაზეთ „Обзор“-ისა, რომელიც გამოდიოდა

ტფილისში რუსულ ენაზე. 1861 წ. მონაწილეობდა სტუდენტთა არეულობაში. 1864 წ. გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც, 1866 წ., ჟენევაში დაბეჭდა ბროშურა სათაურით: „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელიც შედგენილი იყო 1866 წ. 4 აპრილს ვერაგულ თავდასხმის გამო. 1868 წ. ნიკოლაძე ელპიდინთან ¹⁾ ერთად ბეჭდავდა რევოლუციონურ შინაარსის ფურცლებს სათაურით: „ჭერქვეშური სიტყვა“ და „თანამედროვეობა“, რის გამოც რუსეთში დაბრუნების შემდეგ იმყოფებოდა პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ, და მისი თხოვნა, რომ მიეცათ მისთვის ნებართვა ტფილისში გაზეთი „Обзор“-ის გამოცემისა უარყოფილ იქნა. 1872 წ. ნიკოლაძემ შუამდგომლობა აღძრა რათა განეთავისუფლებიათ პოლიციის მეთვალყურეობისაგან, ვინაიდან მისთვის აუცილებელი იყო ტფილისიდან ხშირად გამგზავრება სხვა ქალაქებში, როგორც საკუთარი კომერციული საქმეების, ისე მცირე წლოვან თავის დაძმების საქმეთა გამო, რომელთა მზრუნველიც ის იყო. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა არა მარტო ტფილისიდან თავისუფლად წასვლა-მოსვლის სახით, არამედ ნება მიეცა აგრეთვე ემოგზავრა საზღვარგარედაც; პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნისაგან კი ის არ განუთავისუფლებიათ, ვინაიდან ქუთაისის გუბერნატორის ატესტაცია მას სახავდა არაკეთილსაიმედოთ ნიკოლაძის საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას მის ბარგში აღმოჩენილ იქნა სალიტოგრაფო დაზგა ²⁾ და ორი ფუთი წიგნები, უმთავრესად სოციალისტური შინაარსისა, რომელთა შორის ბევრი აღკრძალული წიგნები იყო, და აგრეთვე ციურიხის ქართული საზოგადოების „უღელის“-ს სხდომების სამი ოქმი. ³⁾ ამის გამო, 1873 წ. აგვისტოში, მას ისევ აეკრძალა გასვლა მისთვის მიჩენილ საცხოვრებელ ადგილიდან, მაგრამ ოქტომბერში, ვინაიდან ნიკოლაძისათვის უკიდურეს აუცილებლობას შეადგენდა საქმეების გამო საზღვარგარეთ წასვლა, მას მი-

¹⁾ ელპიდინი იყო გამომცემელი. აღნიშნულ „Современность“-ს ნიკოლაძე სცემდა მეჩნიკოვთან ერთად. რ ე დ.

²⁾ 1873 წ. ნიკოლაძემ მიქელაძესთან და იზმაილოვთან ერთად გამოსცა ათი ნომერი ხელთნაწერი გაზ. „დრო შა“, ას-ას ცალად. აღნიშნული დაზგა ამ მიზნისათვის ქონდა გამოყენებული და საქართველოშიაც აპირებდა ამ საქმის გაგრძელებას. რ ე დ.

³⁾ საზ. „უღელი“ ნიკოლაძემ დაარსა 1873 წ. ციურიხში. ამ საზოგადოების შესახებ გაზ. „დროებაშიც“ არის მოთავსებული წერილი. (იხ. № 16 1873 წ.). რ ე დ.

ეცა საზღვარგარეთ გასვლის ნებართვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ თუ საზღვარგარეთ ყოფნის დროს იქონიებდა კავშირს ემიგრანტებთან. მაშინ, რუსეთში დაბრუნების შემდეგ მას დაამკვიდრებდნენ სამშობლოში და აეკრძალებოდა მიჩენილ ადგილის დატოვება. საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას ნიკოლაძე გაჩხრეკილ იქმნა ვერუბოლოვსა და ფოთში, მაგრამ მას საეჭვო არაფერი აღმოაჩნდა. 1875 წ. ის სცხოვრობდა ქუთაისში სადაც ქალაქის თვითმართველობის ხმოსნადაც კი იქმნა არჩეული. აზნაურმა იაგორ იოსელიანმა, ¹⁾ რომელმაც გახსნა, ამავე წელს დაარსებული კავკასიის რევოლუციონური წრე, განაცხადა, რომ ნიკოლაძე იყო ამ წრის ერთ-ერთი უაქტიურესი წევრი, მაგრამ ამ საქმეში მისი უშუალო მონაწილეობა ძიებით არ იქნა დამტკიცებული, ამიტომ მისი საქმე სასამართლოს აღარ გადასცემია. 1877 წ., ოსმალთა კომპანიის დროს ნიკოლაძე იყო სამხედრო კორესპოდენტი და იმყოფებოდა გრაფ ლორის-მელიქოვის კორპუსთან, გრაფის შუამდგომლობის თანახმად ის განთავისუფლებულ იქნა პოლიციის მეთვალყურეობისაგან. 1878 წ. ნიკოლაძეს მიეცა გაზეთ „Одзор“-ის გამოცემის ნებართვა, მაგრამ მისი მოქმედების კანტროლისათვის დაწესებულ იქმნა ფარული მეთვალყურეობა. ნიკოლაძეს გაზეთი მიჰყავდა მთავრობისათვის სავსებით საწინააღმდეგო მიმართულებით, რამაც გამოიწვია განკარგულება მისი გამოცემის შეწყვეტის შესახებ. ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვის გამო, რომელშიაც სასტიკად ილაშქრებდა ადმინისტრაციის წინააღმდეგ და აგრეთვე საზოგადოთ მის მიერ გამოცემულ გაზეთ „Одзор“-ის არაკეთილსაიმედო მიმართულებისათვის 1880 წ. ის გადასახლებულ იქნა სტავროპოლში, სადაც იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

— : —

¹⁾ ამ ი. იოსელიანმა გასცა ქართველ რევოლუციონერთა ორგანიზაციები 1876 წ. საბუთები ამის შესახებ ინახება რევ. მუზეუმში. რ ე დ.

ქართველ, რუს და პოლონელ სტუდენტთა ჯგუფი დაპატიმრებული კრონშტადტის ციხეში (გადღებულია 1861 წ.)



- 1) აბელ ხოლოყაშვილი 2) ი. პიოტროვსკი, 3) ფატუროვსკი, 4) დავ. ბეს. დოლობერიძე, 5) ვლ. დუკელსკი, 6) კირილე ლორთქიფანიძე, 7) ნიკოლა ნიკოლაძე, 8) პ. აღმაშვილი, 9) ბეს. ლევ. დოლობერიძე, 10) გიორგი ჭერეთელი, 11) კავალენსკი, 12) მატუშევსკი, 13) იაკ. ისახლიშვილი, 14) გულევიჩი.

სიმონ ხუნდაძე.

ნიკო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური იდეალები

სამოციან წლების ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა შორის ნიკო ნიკოლაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მისი მნიშვნელობაც ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში განსაკუთრებულია. მან ყველაზედ უფრო მძლავრად განიცადა რუსეთის სამოციანი წლების „განმათავისუფლებელ მოძრაობის“ გავლენა და ყველაზე უფრო ენერგიულად სცდილობდა საქართველოს სინამდვილეში გადმოენერგა ახალ მოძღვრებათა შინაარსი.

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს ნიკო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური იდეალების და ლიტერატურულ მოღვაწეობის მთლიანი დახასიათება; ჩვენ მისი აზროვნების მხოლოდ უმთავრესი მომენტების გამოკვლევით ვკმაყოფილდებით.

ნიკო ნიკოლაძეს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობა ჩვენი ისტორიული ცხოვრების სხვადასხვაგვარ ეპოქებში მოუხდა; ამ გარემოებას არ შეეძლო თავისი გავლენა არ მოეხდინა ნიკო ნიკოლაძის აზროვნებაზე. ცხადია ის, რაც შეითვისა მან ახალგაზრდობაში, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარების ზეგავლენით საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდა და ამიტომ ძლიერ სცდება ის, ვინც სცდილობს უკანასკნელი პერიოდის ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამის მიხედვით დაახასიათოს მისი აზროვნება 60-იან და 70-იან წლებში. ასეთი მეთოდი არაისტორიულია და მისი საშუალებით მხოლოდ ყალბი დასკვნების გამოტანა შეიძლება.

ნიკო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებაში არის ორი, თავისი შინაარსით ერთი მეორესაგან განსხვავებული, პერიოდი. პირველი გრძელდება დაახლოვებით 80-იან წლებამდე და ხასიათდება რუსეთისა და ევროპის სოციალისტური აზროვნების გატაცებითა და პოლიტიკური რადიკალიზმით; მეორე

საქართველოს
პარლამენტის
მრეწველთა
ბიბლიოთეკა

რე პერიოდი განისაზღვრება 80-იან წლებიდან მოკიდებული შემდეგი ხანით: ამ პერიოდის მისი სოციალ-პოლიტიკური იდეალები ხასიათდება ბურჟუაზიული აზროვნებითა და ბურჟუაზიული სამოღვაწეო პროგრამის წინ წამოყენებით; პოლიტიკურის მხრით კი — აშკარა შეგუებით, ოპორტუნიზმით არსებულ წყობილებასთან. აი ამ ორი პერიოდის მიხედვით უნდა იქნეს დახასიათებული ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური აზროვნება და მათი ერთმანეთში არევა არაისტორიული იქნება და ვერ მოგვცემს სრულს წარმოდგენას ნიკოლაძის აზროვნების ევოლიუციის შესახებ.

ეპოქა, როდესაც ნიკოლაძე გამოვიდა პირველად სამოღვაწეო ასპარეზზე, ყოველის მხრივ შესანიშნავი მომენტებით ხასიათდებოდა. რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება ამ პერიოდში შეარყია მძლავრმა სოციალისტურმა პროპაგანდამ, რომელიც რუსეთის აზროვნების დიდი ბუმბერაზის ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეური ხელმძღვანელობით სწარმოებდა სახელოვან „სოვრემენნიკის“ ფურცლებზე. სამოციან წლების დასაწყისში მთელი რიგი ფარული ორგანიზაციებისა დაარსდა რუსეთში და გაცხოველდა ბრძოლა არსებულ წყობილების წინააღმდეგ. ამ მოძრაობის უმთავრეს ძალას წარმოადგენდა მოწინავე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელმაც 1861 წელს ღირსშესანიშნავათ მოაწყო არეულობა პეტერბურგში. რუსეთის სოციალიზმის ისტორიაში 60 წლები წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან პერიოდს, რომლის ხელმძღვანელი ინტელიგენცია შეეცადა სოციალიზმის იდეა ვიწრო კაბინეთებიდან ფართოდ გადაეტანათ მოსწავლე ახალგაზრდობაში. ხოლო ამ პირველ ცდას მოყვა მეორე რევოლუციონური პერიოდი (70 წლები), როდესაც რუსულ ნაროდნიკული სოციალიზმის იდეებით აღფრთოვანებული ინტელიგენცია ხ ა ლ ხ შ ი გ ა ი ჭ რ ა და ხალხისავე საშუალებით ცდილობდა საუკეთესო წყობილების დამყარებას რუსეთში.

მეორეს მხრივ, სამოციან წლებშივე მოხდა მუშათა და სოციალისტურ მოძრაობათა აღორძინება დასავლეთ ევროპაში: გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის გამოცოცხლებულ მუშათა მოძრაობის შედეგი იყო პირველი ინტერნაციონალის აღმოცენება.

აი ამ დიდი ეპოქის გავლენის ქვეშ მოყვა ჩვენი 60 წლების ინტელიგენცია: ჩვენმა ახალმა თაობამაც გაიღო თავისი წვლილი და ხარბათ შეისუნთქა ახალი ეპოქის ახალი იდეები, მაგრამ მათ შორის

განსაკუთრებული სახით გვევლინება ნიკო ნიკოლაძე. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, იგი ჩაერთა რუსეთის სტურენტობის მოძრაობაში და ნ. გ. ჩერნიშევსკის მოწაფე გახდა, ხოლო შემდეგში (1864—69 წლებში) იგი მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის რევოლუციონური ინტელიგენციის ემიგრაციაში. ამრიგათ თავიდანვე ნ. ნიკოლაძე ესხეულა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას და შეითვისა მისი რევოლუციონური მისწრაფებანი. 1872 წელს ერთ თავის საინტერესო წერილში ნ. ნიკოლაძემ შემდეგნაირად აღწერა ის ცხოველმყოფელი გავლენა, რომელიც მოახდინა ახალ თაობაზე სამოციან წლების რადიკალურ-სოციალისტურმა მიმდინარეობამ და განსაკუთრებით კი ნ. ჩერნიშევსკიმ და მისმა „სოვრემენნიკმა“. იგი სწერს: „რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო! რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოვრემენნიკზე“ ლაპარაკი, რომელიც ნ. ჩერნიშევსკის ხელმძღვანელობით გამოდიოდა. ს. ხ.), ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რანაირათ გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება, რამდენი გრძელი, ბოლო-მოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე დავაში, ან რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრათ უწვალეებივართ იმ გრძნობის ძლეღვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ უკანასკნელს ჩვენში მოუხდენია. ვინ დათვლის იმ ხანგრძლივი ბედნიერების აღტაცების, ტვინის წვალეების და გრძნობის ამალღების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაჭედილ კვალს. რამდენი იყო იმ დროს ჩვენისთანა ახალგაზრდა, ჩვენსავით აზრისა და გონების ცხოვრებაში მიცემული, ჩვენივე გრძნობის თანამოზიარენი, ჩვენი მომავალი ბედისა და უბედობის თანამოდმენი! სად არიან დღეს ისინი, ან სად არიან ის გმირები, ვისი სიტყვა ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილღებდა და გვამალღებდა“? 1).

ასეთი აღფრთოვანებით იგონებდა იმ ღრმა მნიშვნელოვან გავლენას, რომელიც განიცადა ნიკოლაძემ სხვა ახალგაზრდობასთან

1) იხ. ნ. ნიკოლაძე: „სხვათა შორის“. „კრებული“ № 4, გვ. 151 — 52, 1873 წ.

ერთად ჩერნიშევსკის იდეების გაცნობით. მაგრამ ეხლა ვიკითხოთ, რაში გამოიხატა კონკრეტულად ჩერნიშევსკის გავლენა ნ. ნიკოლაძეზე. მიუხედავად თავისი ორიგინალობისა, ნ. გ. ჩერნიშევსკი ვერ ასცდა ნაროდნიკული სოციალიზმის გავლენას, რომელსაც 1848 ლწის შემდეგ საფუძვლები ჩაუყარა ა. ი. ჰერცენმა. ჩერნიშევსკიც დიდ როლს ანიჭებდა რუსეთის თემს სოციალიზმის განხორციელების საქმეში და ისიც ფიქრობდა, რომ თემი საშუალებას მისცემს რუსეთს გვერდი აუაროს კაპიტალისტური განვითარების სტადიას და პირდაპირ გადავიდეს სოციალიზმში; მეორეს მხრივ არ უარყოფდა რა საერთოდ პოლიტიკური თავისუფლების საჭიროებასა და სარგებლიანობას, მაინც არ სცდილობდა დამოუკიდებელ ამოცანის სახით პოლიტიკური ბრძოლის წამოყენებას, რადგან იგი ფიქრობდა, რომ პოლიტიკური თავისუფლება ეკონომიური და სოციალური თავისუფლების გამოკლებით მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლო გახდება, ამიტომ იგი მოითხოვდა ეკონომიური ბრძოლის პირველ რიგში წამოყენებას; მაგრამ მიუხედავად ამ ნაროდნიკული გატაცებისა, ჩერნიშევსკი „ზაპადნიკი“ იყო და იგი სასტიკათ ებრძოდა ჰერცენს დასავლეთ ევროპის კულტურის „დაღპობის“ საკითხში.

ნ. ნიკოლაძემ სამოციან წლებში უკრიტიკოთ შეითვისა ჩერნიშევსკის შეხედულება თემობრივ წყობილებაზე და საერთოდ მისი სოციალისტურ-ნაროდნიკული შეხედულებანი. თავის საინტერესო წერილებში, რომელიც მოთავსებულია „კოლოკოლის“ 1865 წლის ნომერში და რომელსაც ეწოდება: „Освобождение крестьян в Грузии“¹⁾, ნ. ნიკოლაძემ გარკვევით და ნათლად გამოსთქვა თავისი სოციალისტურ-ნაროდნიკული შეხედულებანი. ამ წერილში იგი ხმამაღლა აღიარებდა, რომ ერთად-ერთი საუკეთესო ფორმა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, არის თემობრივი წყობილება და აქეთკენ უნდა მიიღტვოდეს ქართველი ხალხი²⁾. მეორეს მხრივ, ჩერნიშევსკივით იგი უარყოფდა რა მარტო პოლიტიკური თავისუფლების მოპოების სარგებლიანობას, განსა-

¹⁾ ამ წერილის შესახებ ჰერცენი სწერდა ოგარიოვს: „Грузинская статья очень хороша“, (იხ. Герцен: Собр. соч. ტ. XVIII. გვ. 146).

²⁾ ვრცლად ადგილები აღნიშნულ წერილიდან მოყვანილი გვაქვს ჩვენს წიგნში: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ტ. I. გვ. 183 — 86.

კუთრებით ყურადღებას აქცევდა სოციალ-ეკონომიურ განთავისუფლების საქმეს და ამიტომ სასტიკად ილაშქრებდა ნაციონალისტურ სეპარატისტულ პოლიტიკის წინააღმდეგ. მისი აზრით, რაკი რუსეთში არსებობს თემობრივი წყობილება, ამიტომ რუსეთს ყველაზე უფრო ადრე და ადვილად შეუძლია მიაღწიოს სოციალისტურ წყობილებამდე; აქედან ნიკოლაძის ეროვნულ-პოლიტიკური ხაზიც შემდეგი გზით მიემართებოდა: ქართველი ხალხი რუსეთთან ერთად ადრე განახორციელებს სოციალისტურ წყობილებას, ვინემ პოლიტიკური დამოუკიდებელი წყობილების შემოღებით. ნიკოლაძე სწერდა:

„სხვა საქმეა, რუსეთის სახალხო წყობილების ძირითადი პრინციპი — თემი — რომ არსებულებოდა საქართველოში, მაშინ პოლიტიკური ორგანიზაციის გაუმჯობესება თუ გინდ ევროპის მსგავსად, არა თუ არ შეაფერხებდა ქართული სახალხო წყობილების განვითარებას, პირიქით ხელს შეუწყობდა სხვაზე უფრო ადრე. მაგრამ თემობრივი პრინციპების არ არსებობის პირობებში ევროპიულ თავისუფლებას მხოლოდ შეუძლია განავითაროს შეუსაბამოთ ხალხის განსაზღვრულ ნაწილში ბურჟუაზიული მიდრეკილებანი და მასთანვე შექმნას პროლეტარიატი, რაც შეუძლებელია მოხდეს რუსეთის მფარველობის ქვეშ, თუ კი საქართველოში მოისურვებენ ცოტათი მაინც იფიქრონ თავიანთ თავზე და ისარგებლონ რუსეთის ხალხის მაგალითებით. აი რატომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ არ იქნებოდა ცუდი საქართველოს ნაციონალური მისწრაფებანი დროებით გადაგვედო გვერდზე და თვით რუსეთის განახლების მოლოდინში გაგვეცნო ქართველი ხალხისთვის ძირითადი პრინციპები, როგორც რუსეთის თემობრივი მიწისმფლობელობისა, ისე მთელი საერთო სოციალური წყობილებისა“¹⁾.

ამ ციტატიდან ნათლად ხედავს მკითხველი, თუ როგორ ძირითად დებულებიდან გამოდის ნ. ნიკოლაძე თავისი სოციალ-პოლიტიკური იდეალების შემუშავების დროს. იგი, დგას რა ნაროდნიკული სოციალიზმის ნიადაგზე, ჰფიქრობს, რომ ახალი წყობილების განხორციელება შესაძლებელია მოხდეს უახლოეს დროში რუსეთში და ამიტომ მთელი ქართველი ხალხის ენერჯიაც აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული.

¹⁾ Риснели: „Освобождение крестьян в грузии“. „Колокол“ № 199, 1865 წ.

ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების გასაცნობათ სამოციან წლებში აქ საინტერესო იქნებოდა მკითხველს გავაცნოთ მისი შეხედულება საქართველოში წარმოებულ სოციალურ ბრძოლის შესახებ. იმავე წერილში ნიკოლაძე სწერს:

„საქართველოში ამ ჟამათ დულს იგივე ბრძოლა, რომელმაც დაიმორჩილა რუსეთის, ევროპის, შეიძლება თამამათ ითქვას, მთელი მსოფლიოს ყოველი ძალა: ეს არის მშრომელთა ბრძოლა გვარისა და კაპიტალის პრივილეგიების წინააღმდეგ, ე. ი. მარტივათ რომ ვთქვათ, სოციალური ბრძოლა მშრომელთა სიღარიბისა მუქთახორათა სიმდიდრის წინააღმდეგ...

„და მართლაც აღმოჩნდა, რომ (ქართველ) ხალხს არ შეუძლია არჩინოს ასეთი მრავალრიცხოვანი თავად-აზნაურობა, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, არავითარ სამსახურს არ ეწევა მისთვის, არამედ წინააღმდეგ წუწნის მისგან ყოველგვარ წვენს, მთელ მის შრომის ნაყოფს; აღმოჩნდა, რომ ამ ხალხს არ სურს გადაიქცეს „აღთქმის ბატკნად“, რომ ისიც ფიქრობს თავის-თავზე და თავის კეთილდღეობაზე...

„ცნობილია, რომ სულ მცირედი ფიქრიც კი ამ საგანზე ყოველ საღად მოაზროვნე კაცს მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია შეცვლა მცარცველობის, უზურპატორების მიერ შექმნილ წყობილებისა, რომელიც ეყრდნობა კანონებს, გამოცემულს მათ მიერ, ვინც დაინტერესებულია მოტაცებულისა და დაპყრობილ პრივილეგიებისა და სიმდიდრის შენარჩუნებაში....

„ასეთმა მძიმე მდგომარეობამ აიძულა ხალხი დაეწყო თანამედროვე ჯვაროსნული ომი უსამართლო საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ... მაგრამ არის ერთი მხარე საუცხოვოთ შეგნებულ ქართველი ხალხის მიერ: ეს ის არის, რომ კიდევ ისეთივე ცხოვრების თრევა, როგორსაც იგი (ხალხი) ეწეოდა დღემდე, ყოველად შეუძლებელია, რომ მისი მძიმე მდგომარეობა ყოველგვარ მოთმენის საზღვრებს აჭარბებს და რომ უკეთესია დაიხოცონ, ვინემ ამ ჭაობში ეთრიონ, სადაც მათ თანდათან სწუწნიან მთელ ძალასა და სისხლს“¹⁾.

¹⁾ იხ. მისი წერილი „კოლოკოლში“ № 198, 1865 წ. აგრეთვე შემდეგ მისივე წერილები: „Июльские дни в Тифлисе“ (№ 204, 1865 წ.) და „Наши будущие адвокаты“ (№ 201).

ამ წერილში ნიკოლაძე სოციალისტისა და რევოლუციონერის
ენით ლაპარაკობს. ცხადია, რომ მან საკმაოდ განიცადა სამოციან
წლების რევოლუციონერ-სოციალისტის აზროვნების გავლენა და
ნათლად შეითვისა მისი პრინციპები.

როგორც ვიცით, 1864 წლიდან ნ. ნიკოლაძე საზღვარ-გარეთ
მოხვდა და მონაწიელობა მიიღო რევოლუციონურ ემიგრაციის საქ-
მიანობაში.

აღსანიშნავია ნ. ნიკოლაძის დამოკიდებულება ჰერცენთან.
პირველ ხანებში ჰერცენი ძლიერ კარგ დამოკიდებულებაში იყო
ახალგაზრდა ქართველ მწერალთან. როგორც ჰერცენის კერძო მი-
წერ-მოწერებიდან ირკვევა, ჰერცენი ნიკოლაძეს ხშირად ნახულობ-
და და მასთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ¹⁾. როგორც
ოგარიოვი, ისე ჰერცენი ნ. ნიკოლაძის ჩასვლას ევროპაში და მის
მოღვაწეობას სიმპატიებით უცქეროდნენ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ
პირველ პერიოდში, შემდეგში მათ შორის პრინციპიალურმა უთან-
ხმოებამ იჩინა თავი. ნ. ნიკოლაძე, როგორც ჩერნიშევსკის მოწაფე,
თავიდანვე არ იზიარებდა ჰერცენის პოლიტიკას, განსაკუთრებით
მას არ მოსწონდა ის, რომ ჰერცენი დასავლეთ ევროპის კულტურას
„დამპალათ“ სთვლიდა და ვერავითარ ნიშნებს ვერ ხედავდა მისი
განახლებისათვის. ნიკოლაძემ ზემო დასახელებულ წერილში აღნი-
შნა ჰერცენის ეს შეცდომა. იგი სწერდა: „ამ შემთხვევაში გვაპა-
ტიონ „კოლოკოლის“ დიდათ პატივცემულმა გამომცემლებმა (ე. ი.
ჰერცენმა და ოგარიოვმა ს. ხ.), რომ ჩვენ სავსებით არ ვიზიარებთ
მათ უსასოებას თანამედროვე ევროპის არეგ-დარევის შესახებ. წი-
ნააღმდეგ მათი აზრისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპა
მაინც გაიტანს თავისას და მაინც მიაღწევს იმ იდეალამდე, (სოცია-
ლიზმამდე)“.

1) თავის „Былое и Думы“-ში ჰერცენი შემდეგნაირათ გამოგვცემს ნიკო-
ლაძესთან შეხვედრას: მე თქვენთან მოვედი რჩევისათვის — მომმართა მე ერთმა
ახალგაზრდა ქართველმა, რომელიც გარეგნობით ჰგავდა ახალგაზრდა ვეფხს.

— მე მინდა ვსცემო სკარიატინს (რეაქციონური ორგანოს რედაქტორი
იყო ს. ხ.).

— თქვენ უთუოდ მოგეხსენებათ, რომ კარლ მეხუთე...

— ვიცი, ვიცი! თუ ღმერთი გწამთ ნულარ განაგრძობთ. — ვეფხი რძით
ძარღვებში წავიდა. (ტ. 14 გვ. 448).

ამ შემთხვევაში ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის ერთ ლაპარაკობდა. მაგრამ ამ გარემოებას არ შეუშლია ხელი ჰერცენისა და ნ. ნიკოლაძის შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარებულიყო. მათ შორის უთანხმოება დაიწყო მას შემდეგ, რაც ევროპაში მოგროვდა ახალგაზრდა ემიგრაცია, რომელთაც არ მოსწონდათ ჰერცენის პოლიტიკა და მთლიანათ იზიარებდნენ ჩერნიშევსკის შეხედულებებს. ერთმა მათგანმა, ა. სერნო-სოლოვიევიჩმა მეტად მწვავე შინაარსის ბროშურა („Наши домашние дела“...) დაბეჭდა ჰერცენის წინააღმდეგ 1867 წელს. ამ შრომაში სერნო-სოლოვიევიჩი სწერს, რომ ახალგაზრდობამ დიდი ხანია წინ გაუსწრო ჰერცენს თანამედროვე ვითარების გაგების საქმეში. ჰერცენი კი სავსებით ჩამორჩა და ხელს უშლის ახალგაზრდობის საქმიან და რევოლუციონურ მუშაობას. ნიკოლაძეც ნაწილობრივ მიემხრო ჩერნიშევსკის მოწაფეთა ჯგუფს. ეს რასაკვირველია არ ესიამოვნა ჰერცენს და 1867 წელს იგი სწერს ოგარიევის ქალს: „სერნო-სოლოვიევიჩის ბროშურა იმდენად საზიზღარია, რომ არც კი გვსურს გამოვგზავნოთ იგი. წარმოიდგინეთ, ყველა აქაურები მის წინააღმდეგ ლაპარაკობენ (გარდა ელპ. და ნიკოლაძისა) და ვერავენ კი ვერ ბედავს პროტესტი განაცხადოს მის წინააღმდეგ“¹⁾.

- მეორე წერილში იმავე მისამართით ჰერცენი სწერს: „ს.-ს. ცხოვრება მხოლოდ ერთ ინტრიგას ემსახურება ჩემს წინააღმდეგ, და ის ნიკოლაძესთან ერთად ყველას ატრიალებს“²⁾.

ამრიგათ ჰერცენსა და ნიკოლაძის შორის გაღრმავდა უთანხმოება. 1868 წელს ნ. ნიკოლაძე მეჩნიკოვთან ერთად უშვებს ჟურნალს „Современность“. ჰერცენი „კოლოკოლის“ ფრანგულ გამოცემაში ესალმება ახალ ორგანოს და სწერს: „ჩვენ მივიღეთ სანიმუშო ნომერი ახალ რუსულ ჟურნალის „Современность“-ის. მიმართულება სავსებით რადიკალური და სოციალისტურია. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მივესალმეთ რუსეთში მომქმედ პარტიის ამ ახალ ორგანოს. ეს შრომის გაყოფა ძლიერ სასარგებლო იქნება“³⁾. მაგრამ „Современность“ ჰერცენის წინააღმდეგ იქნა მიმართული. ამიტომ ამ უკანასკნელმა რადიკალურად შესცვალა თავის შეხედულობა ჟურ-

1) Герцен: Собр. соч. т. XIV გვ. 293.

2) იქვე გვ. 306.

3) იქვე т. XV გვ. 294 — 95.

ნალზე. ივლისის თვეში იგი სწერს ოგარიოვს: „Современность“-ი წავიკითხე. სანამ შენ იცავ დედობრივ ფრთებს ქვეშ ფსევდო-ნილი-ლიზმის ძვირფას ლეკვებს, მათ თვითვე გამოჰყავთ თავიანთი თავი სააშკარაოზე. ეს მავალებს მე ვაპატიო მათ ჩვენზე შესრულებული პანაშვიდი“¹⁾.

1868 წელს გამოვიდა ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი, რომელსაც წინ უძღოდა ნიკოლაძის ხელმოუწერელი წინასიტყვაობა და მასთანავე გადაკრული სიტყვები ჰერცენის ჯგუფის წინააღმდეგ. ჰერცენი ამ მომენტის წინააღმდეგ სწერს იმავე ოგარიოვს: „დამალა რა ქართული ბრჭყალები, ნიკოლაძემ²⁾ ჩერნიშევსკის წინასიტყვაობაში გაგვკრა ჩვენც და სწორედ იმავე თვალსაზრისით, როგორითაც პისარევმა „ბაზაროვში“ (სჩანს მე არ შევმცდარვარ). შენ ღმერთმა ისეთი სათვალეები აგაფარა თვალეებზე, რომ მხოლოდ ვარდებს³⁾ ხედავ და ეკლებს კი ვერ ამჩნევ“.

ჩვენ განგებ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება ასე ვრცლად ჰერცენისა და ნ. ნიკოლაძის ურთიერთობაზე. ემიგრაციაში ნიკოლაძე საკმაო წონის მონაწილეობას ღებულობდა. სცემდა სხვადასხვა ბროშურებს და ჟურნალებს, არსებითად მარცხნით იდგა თავის მიმართულებით ჰერცენთან შედარებით⁴⁾ და ებრძოდა მის პოლიტიკას. რასაკვირველია, იგი ვერ ასცდა მესამე განყოფილების აგენტებს და მასზე დააწესეს პოლიციის სასტიკი მზვერაობა⁵⁾.

საზღვარგარეთის ამ პმრეოდის მოღვაწეობა ყველაზე უფრო ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების საქმეში. ჩვენ საკმაო საბუთები მოვიყვანეთ იმის გამოსარკვევად, თუ როგორი შინაარსისა იყო მისი იდეალები და რას ელტვოდა იგი. მოყვანილმა მასალებმა მკითხველს ნათელი წარმოდგენა უნდა მისცეს იმის შესახებ, რომ ნ. ნიკოლაძე იმ პერიოდში საკმაოდ დიდ გავლენას განიცდიდა ნ. ჩერნიშევსკისა

1) ჰერცენი ტ. 21, გვ. 11 — 12.

2) ნიკოლაძის წერილი ხელმოუწერელი იყო.

3) ჰერცენი ტ. 20, გვ. 275.

4) ერთ კერძო წერილში ჰერცენი ნიკოლაძეს „სენ-ჟიუსტს საქართველოდან“ უწოდებს (იხ. ტ. 21, გვ. 34). უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაძე თავიდანვე წინააღმდეგი იყო ტერორისტული ტაქტიკისა.

5) ზევით ჩვენ მოგვყავს ჯანდარმერიის ცნობები ნ. ნიკოლაძის შესახებ. ეს ცნობა ამოღებულია გალიცინის წიგნის „История социал.-революционного движения в России“. (1887 წ.) მეათე თავიდან.

და საერთოდ ნაროდნიკული სოციალიზმის ნიადაგზე იდგა. ამრიგად მის აზროვნებას ახასიათებდა ნაროდნიკული-სოციალისტური შინაარსი და გარკვეული პოლიტიკური რადიკალიზმი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ იწყება ნიკოლაძის მეტად ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. „დროებასა“ და „კრებულის“ ფურცლებზე ფართოდ შლის ფრთებს მისი ლიტერატურული ნიჭი და არ დარჩენილა რც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც არ შეხებოდეს მისი კალამი. ამ წერილში, რასაკვირველია, შეუძლებელია მისი პუბლიცისტური მოღვაწეობისა და ლიტერატურულ საქმეების დაწვრილებით აღწერა. აღვნიშნავთ, მხოლოდ რომ თავის უტოპიურ-ნაროდნიკულ შეხედულებებს იგი ამ პერიოდშიაც არ გამოთხოვებია სავსებით. ჟურნალ-გაზეთებში იგი სასტიკი ცენზურის ქვეშ ახერხებს სოციალისტური პრინციპების გატარებას¹⁾, მაგრამ უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ მის რადიკალიზმს ცოტათი ელფერი ეკარგება და მასთანავე სცდილობს პრაქტიკულ პოლიტიკის ნიადაგზე დადგეს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი საბანკო პოლიტიკა. იგი სათავადაზნაურო ბანკს ჩვენში ვაჭრობის აღმოფხვრასა და ამხანაგობათა შედგენას ავალებდა; რასაკვირველია, ეს იყო უტოპიზმი, მაგრამ ეს უტოპიზმი იყო სწორეთ დამახასიათებელი იმისათვის თუ როგორ იმსხვრეოდა თეორიულად შეთვისებული იდეალები პრაქტიკულ პოლიტიკის ნიადაგზე. ნიკოლაძე კვლავ განაგრძობს რუსეთის ნაროდნიკების სათაყვანებელ არტელისა და თემის ქებას. 1879 წ. იგი სწერდა: „...იმავე მოძრაობის მეოხებით რუსები მიხვდენ, რომ მათ ცხოვრებაშიაც ყოფილა ზოგიერთი იმისთანა მხარეები, რომელიც ევროპის განათლების მომხრესაც კი მოეწონება ან აღტაცებაში მოიყვანს. გამოჩნდა მაგალითად რომ ჩინებული რამ ყოფილა რუსეთის ძველი ჩვეულება შრომის განაწილებისა (არტელი) და მიწის მფლობელობისა (ОБЩИНА), თითქმის ისეთი ყოფილა, როგორც იდეალათ უჩვენებენ ევროპის რეფორმატორები“ (ი. ე. სოციალისტები. ს. ხ.)²⁾.

¹⁾ ეს საკითხი ვრცლად განხილულია ზემოდ დასახელებულ ჩემს წიგნში. იქ ვრცლად არის მოყვანილი მასალები ნიკოლაძის ამ პერიოდის ნაწერებიდან, ამიტომ აქ ზედმეტად მიმაჩნია გავიმეორო ის.

²⁾ ნ. ნიკოლაძე: „საახალწლო“ შავერდოვის გამოც. 1880 წ. ნაწილი გამოიცა ცალკე წიგნად. ნიკოლაძის ნაწერი წიგ. მეორე: „მამულის სიყვარული და მსახურება“ გვ. 37 — 38 1914 წ.

მაგრამ ნიკოლაძემ კარგათ იცოდა რომ ჩვენში არც არტელი იყო და არც თემი; ამიტომ მისი პოლიტიკა სხვა მიმართულებით მიექანებოდა. იგი მოითხოვდა ჩვენში ამხანაგობების, ასოციაციების, „შეერთებული შრომის ორგანიზაციების“, თვითმართველობის შემოღებას: ამით სცდილობდა იგი გადაერჩინა ქართველი ხალხი გასაჭირისაგან და დაეყენებია კოლექტივიზმის გზაზე. იმავე 1879 წელს ნიკოლაძე სწერდა:

„ხალხი მაშინ არის ძლიერი, და ბედნიერი როცა მთელი მისი ძალა თანამედროვე მეცნიერების იარაღით არის აღჭურვილი; ეს ხომ ერთი და მეორეც ის, როცა მთელი ეს მისი ძალა, თანამედროვე მეცნიერების იარაღით აღჭურვილი, მის სასარგებლოთ იხმარება და მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვრებაში ნელ-ნელა ისეთი წესი შემოდის, რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმად მიწაში მარხავს, უმოქმედოთ ჰფლანგავს და მეორე ნახევარი ორჯერ უფრო მომეტებულად შრომობს, როგორც თავის სარჩენლათ, ისე იმ პირველის სარჩენლად, რომელიც უმოქმედოდ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალხის ძალა იღალეება, სუსტდება და სრულიადაც ქრება. მაშინ მარტო ხალხის ძალა კი არ იფანტება უხეიროთ, თვითონ ამ ხალხის ორ ნახევარს შუა ჩუმი, დაფარული ბრძოლა ატყდება, რომელშიაც ილევა ხალხის გონებისა და ფიზიკური ძალის უმჯობესი ნაწილი. ქიშპობა და სამდურავი იბადება ერთობა იკარგება და ხალხი ორ ბანაკად იყოფა. ორს ერთმანეთზე მტრად გადაკიდებულ ბანაკად... ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს. რომ შემდეგში ერთიანად მოსპოს ჩვენში ამგვარი უსამართლო და უგუნური ფლანგვა ხალხის ძალისა და შრომისა. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ეკონომიური სამართლიანობას გვიახლოვებს, ჩვენი მამულის სასარგებლოთ უნდა მიგვაჩნდეს და ნიადაგ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავლეს ნაწილს გავუადვილოთ განთავისუფლება თავის ეხლანდელის დამოკიდებულები მდგომარეობისაგან. ხალხი მაშინ გაძლიერდება, მაშინ დაძმობილდება,

მაშინ შეადგენს ერთ ძმურ ოჯახს, როცა სადაო არა ექნებათ რა სხვადასხვა წოდებას როცა ყველანი შრომას გაერთობიან და შრომა ისე გაინაწილებენ, რომ თვითეულის შრომა ყველას სხვის შრომის გაადვილება იქნება და არა გაძნელება... შრომისა და ძალის შეერთებით და ერთი მიზნისაკენ მიმართვით ხალხი იმისთანა საქმეებს ახერხებს, რომელსაც ვერც ერთი კერძო პირი რაგინდ გონიერი იყოს, მარტო ხელად ვერ მოერევოდა, და ვერც ათასი ან ათიათასი გენიოსი, ცალ-ცალკე მშრომელი, ვერ გაარიგებდა. დიდი ეკონომია, დიდა სარგებლობა და სიადვილე მოსდევს შრომის გონიერ შეერთებას: ჯაფა მაშინ ყველას უადვილდება და შრომის ნაყოფი ყველასათვის მატულობს“... 1)

ამ წერილში ნათლად არის გამოთქმული, რამდენათაც მაშინდელი სასტიკი ცენზურული პირობები იძლეოდა შესაძლებლობას — ის კოლექტიური მისწრაფებანი და „შრომის შეერთების“ პროგრამა, რომელსაც თეორიულად იზიარებდა იმ პერიოდში ნიკოლაძე. უნდა ვსთქვათ, რომ ის აღარ კმაყოფილდებოდა ნაროდნიკების ძველი პროგრამით და მას ავსებდა ლუი ბლანის შრომის ასოციაციებისა და ევროპის სხვა სოციალისტების პროექტებით. მაგრამ რაც მთავარია — იგი მშრომელთა ინტერესების დაცვას ცდილობს და „შეერთებული შრომის“ მქადაგებლად გამოდის, „სოციალისტურ“ პრინციპზე სდგას. მაგრამ თუ ჩვენ საერთოდ დავახასიათებთ ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს 70-იან წლებში, უნდა ვსთქვათ, რომ მას ამ ეპოქაში უკვე ეტყობა გადახრა „ბურჟუაზიისაკენ“: მისი პრაქტიკული საქმიანობა, დიდი სამოღვაწეო უნარი, ხელს უწყობდა ჩვენში მთელ რიგ კაპიტალისტურ დაწესებულებების გამრავლებას; ხოლო მწერლობაში არ ერიდებოდა გამოეთქვა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ განვითარების სასარგებლო აზრი, რაც სრულიად არ ეგუებოდა ნაროდნიკულ მსოფლშეხედულებას. ცხადია, ნიკოლაძემ შეიგნო ნაწილობრივ ნაროდნიკული უტოპიზმის ყალბი მხარეები 70-იან წლებში, მაგრამ ვერ შესძლო სავსებით მისგან გამიჯვნა; მეორეს მხრით, გრძნობდა, რა დასავლეთ ევროპის ტექნიკისა და ეკონომიკის განვითარების უპირატესობას, იგი ცდილობდა ასეთივე განვითარე-

1) ნ. ნიკოლაძის ნაწერ. წიგნი მეორე გვ. 94 — 98, 109 — 110.

1) ლუი ბლანის შესახებ მისი შეხედულება იხილეთ: „Луи Блан и Гамбетта“ ურ. „Отечественные записки“ № 1, 1883 წ.

ბისათვის ჩვენში ასოციაციური, კოლექტიური ფორმები მიეცა. სწორედ ამ მოსაზრების გამო ჩემს წიგნში ნიკოლაძის აზროვნება 70-იან წლებში დავახასიათე, როგორც ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის გამომხატველი. როგორც აღვნიშნეთ, პრინციპიალურად ნ. ნიკოლაძე ამ პერიოდში ჯერ კიდევ ემიჯნებოდა ბურჟუაზიულ აზროვნებას. ილ. ჭავჭავაძესთან კამათის დროს საბანკო საქმეების გამო, იგი სწერდა: „ილია ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ მიმართულებას (გულისხმობს: ბურჟუაზიულს. ს. ხ.), რომელიც ამ ოცდაათი წლის წინეთ სუფევდა მეცნიერებაში. მე ყოველთვის, ყველგან, ყველაფერში ვებრძოდი ამ მიმართულებას, იმიტომ რომ ვეკუთვნი „საზოგადოებრივ“ (ცენზურულ პირობების გამო ხმარობს ამ თერმინს სოციალისტურის ნაცვლად. ს. ხ.) მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კაი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზიული მიმართულება“. 1)

მაგრამ, მეორეს მხრით, საქართველოს სინამდვილე მას უკვე თანდათან ამუშავებდა თავისი ინტერესების მიხედვით: უკვე ამზადებდა ნიადაგს მის ბურჟუაზიულ აზროვნებაზე გადასასვლელად.

ასეთი იყო ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური იდეალები 60 — 70-იან წლებში. როგორც აღვნიშნეთ 80-იან წლებიდან იწყება ძირითადი გარდატეხა მის აზროვნებაში: ძველი ნაროდნიკი, ჩერნიშევსკის მოწაფე, ბურჟუაზიული აზრის მქადაგებლად გახდა ჩვენში, ხოლო მისი პოლიტიკური რადიკალიზმი — თვითმპყრობელობასთან შეთანხმების ლიბერალური პროგრამით შეიცვალა. გავიცნოთ ამ პერიოდის ნიკოლაძეც.

ჯერ ვიკითხოთ: რამ გამოიწვია ნაროდნიკ ნიკოლაძის გადასვლა ბურჟუაზიულ აზროვნებაზე. სწორი სოციოლოგიური განმარტება ამ საკითხისა შემდეგი იქნება: 1. ეპოქა, როდესაც ნიკოლაძე გამოვიდა სამოდვაწეო ასპარეზზე თავისი სოციალ-ეკონომიური შინაარსით ხასიათდებოდა ნატურალური მეურნეობის რღვევითა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებით. 2. ნიკოლაძე იდგა ნაროდნიკული უტოპიზმის ნიადაგზე, რომელიც თავისი შინაარსით სრულიად არ შეესაბამებოდა იმ სოციალ-ეკონომიურ ამოცანებს, რომელიც ჩვენი ცხოვრების მაშინდელმა პერიოდმა წამოაყენა. ეს მორიგი ეკონომიური ამოცანა კი კაპიტალიზმის განვითარებაში გამოიხატებოდა;

1) ნ. ნიკოლაძე: „მრუდე გამოსარჩლება“ გაზ. „დროება“ № 47, 1876 წ.

ეკონომიურმა „აუცილებლობამ“ სძლია ოცნება: პრაქტიკი ცხოვრება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ ნაროდნიკული უტოპიზმი. 3. ნიკოლაძეს არ აღმოაჩნდა საქართველოში არც ერთი სოციალური ფენა, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყოს დაყრდნობა; მოწყვეტილია ცხოვრების სინამდვილისაგან. უტოპიზმი საპნის ბუშტივით გაქრა და ნიჭიერი მწერალიც ორივე ფეხებით პრაქტიკულ სინამდვილის ნიადაგზე დაეშვა.

ერთს თავის საპოლემიკო წერილში 1913 წ. ნ. ნიკოლაძე სწერდა: „განა პოლიტიკაში შესაძლოა რისიმე ან უარყოფა, ან ახირება. სწორე ცოდნას აღარც ერთი საშუალება არ მიაჩნია ისეთ „ცხოვრების ელექსირად“, „ფილოსოფიურ ქვად, რომლის მიკარება ყველაფერს კურნავს ან ოქროდ აქცევს... რევოლიუციასაც ამგვართვე სჯის თანამედროვე მეცნიერება... აქედან სჩანს, რომ რევოლიუციაც — ქინაქინის არ იყოს — ზოგან რგებს, ზოგჯერ ვნებს. საფრანგეთში გამოდგა, ოსმალეთში არა“. 1)

დადგა რა ნიკოლაძე პრაქტიკულ პოლიტიკის ნიადაგზე მისთვის ნათელი გახდა, რომ რევოლიუციისა და ტერორის საშუალებით რუსეთში შეუძლებელი არის რაიმე დადებითი შედეგების მიღწევა, ამიტომ იგი გარკვევით დაადგა შეგუების, ოპორტუნიზმის გზას.

ნიკოლაძის ამ ოპორტუნიზმის საუკეთესო გამომხატველი იყო მისი როლი „ნაროდნაია ვოლია“-სა და „სვიაშჩენაია დრუჟინას“ შორის მოლაპარაკების საქმეში 1882 წ. 2) ნიკოლაძის მთავარი მიზანი იქითკენ იყო მიმართული, როგორმე შეერიგებია მთავრობა და რევოლიუციონური ინტელიგენცია: ინტელიგენციას ხელი აეღო რევოლუციისა და ტერორზე, ხოლო მთავრობა შესდგომოდა შესაფერისს, სოციალური ხასიათის რეფორმების — გატარებას. 3) ეს არ იყო მართო ნიკოლაძის აზრი: ამ საფუძველზე დადგა საკმაო ნაწილი რუსე-

1) ნ. ნიკოლაძე: „ჩემ პოლიტიკაზე“ გვ. 42 — 44, 1913 წ.

2) დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩვენს წიგნში. აგრეთვე ნიკოლაძის წიგნაკი: Переговоры священной дружины с партией „Народной воли“.

3) თუ რუსეთის პირობებისათვის ნიკოლაძე სხვებთან ერთად ასეთს ყოვლად მიუღებელს მეთოდს აყენებდა, დასავლეთ ევროპის პირობებისათვის იგი სხვა გზას ადგა. 1883 წ. იგი სწერს: „ლუი ბლანის მტკიცება, რომ მხოლოდ ერთადერთს რესპუბლიკას შეუძლია გადასწყვიტოს „სოციალური საკითხი“, რომ უიმისოდ შეუძლებელი არის ეკონომიურ განთავისუფლების მიღწევა, უკვე დიდი ხანია გადაიქცა საერთოდ მიღებულ აქსიომად“ (იხ. „Отечест. записки“ № 1, გვ. 103, 1883 წ.). ცხადია ნიკოლაძე ამ შემთხვევაში გამოდიოდა ობიექტურ

თის ნაროდნიკული ინტელიგენციისა 80-იან წლებში, ხოლო ამასვე გაცხარებით ქადაგებდა პერცენი 50 — 60 წლებში. სწორედ ამავე ოპორტუნისტული პოლიტიკით იყო გამოწვეული ნიკოლაძის წერილი აგრეთვე „Новое обозрение“-ში, რომელიც მან უძღვნა 1888 წ. ტიხომიროვის მიერ გადადგმულ ნაბიჯს მთავრობასთან შერიგების შესახებ.¹⁾ ადგილის უქონლობის გამო ჩვენ ამ წერილს ვრცლად ვერ შევეხებით. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაძემ ტიხომიროვის ნაბიჯში მოიწონა „კანონიერების გზაზე“ შედგომა და ამ გზით ზრუნვა ცხოვრების წინმსვლელობისათვის, და არა სხვა რამ. ნიკოლაძე ამ შემთხვევაში ფიქრობდა: კანონიერების გზით ინტელიგენცია უფრო მეტ რეფორმებს განახორციელებს, ვინემ რევოლუციისა და ტერორის გზით, იგი მოითხოვდა მთავრობისაგან რეფორმებისა და თვითმართველობის შემოღებას. ამ შემთხვევაში ნიკოლაძის სახით მეტყველებდა ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგი — ბურჟუაზიის, რომელსაც ერთის მხრით, რევოლუციის ეშინოდა, ხოლო მეორეს მხრით, არც მთავრობის პოლიტიკას იზიარებდა სავსებით და მოითხოვდა ბურჟუაზიის სასარგებლო რეფორმებს. აი ასეთი პოლიტიკური ხაზის ქვეშ ჩაატარა ნიკოლაძემ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა 80-იან წლების მეორე ნახევრიდან მოკიდებული: ამ პოლიტიკურ პროგრამაში სავსებით ამოშლილი იყო ის რადიკალური და რევოლუციონური განწყობილება, რომელიც მან შეითვისა 60-იან წლებში.

ახლა გავსინჯოთ ნიკოლაძის სოციალ-ეკონომიური პროგრამა. ზოგიერთებს სურთ ნიკოლაძე თავად-აზნაურობის იდეოლოგად გამოიყვანონ. ეს დიდი გაუგებრობაა და აღმოცენებულია მასალების უცოდინარობაზე. ავალაპარაკოთ მხოლოდ ფაქტები 1894 წელს, როდესაც იგი დიდი ხნის რუსულ პრესაში მუშაობის შემდეგ დაუბრუნდა ქართულ პრესას, ნ. ნიკოლაძე შემდეგი შინაარსის ეკონომიურ პროგრამას აყენებდა: „მრეწველობის უქონლობა, ცხადია, უდიდესი ნიშანია ქვეყნის ჩამოქვეითების და უკან ჩამორჩენისა. ამ ქვეყნის ბედში არავითარი ცვლილება არ მოხდება თვალსაჩინო, არც გონებ-

პირობებიდან და ის პოლიტიკა, რომელიც შესაძლებლათ მიაჩნდა; გატარებულიყო ერთ ქვეყანაში (ევროპაში) მეორე ქვეყნისათვის (რუსეთი) პრაქტიკულად განუხორციელებლად მიაჩნდა.

¹⁾ ნიკოლაძის ფელეტონი: „На праздники“. Новое Обозрение“, № 1620, 1888 წ.

რივი, არც საზოგადო, არც პოლიტიკური მხრივ, სანამ ის, მრეწველობის საშუალებით, ეკონომიურ მონობისაგან არ დაიხსნის თავს უცხოეთის ხელიდან. აიღეთ რომელიც გსურდეთ იმ ერის ისტორია, ყოველგან ცხადათ დაინახავთ რომ მისი აღორძინება, მისი გონებრივი სიფხიზლე, მისი განვითარება. ალებ-მიცემობის მრეწველობის ზედდართული შედეგი და ნაყოფი ყოფილა... საცა მრეწველობა არ არსებობს, და საცა მაშასადამე, ალებ-მიცემობა, ვაჭრობა თანდათან უფრო და უფრო აუძლურებს ხალხს და ქვეყანას, იქ უმეტესი ნაწილი ერისა ნიადაგ დაბალი მუშაა დაწინაურებული უცხოეთისა“. 1)

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მოყვანილ ციტატაში ბურჟუაზიული პოლიტიკურ ეკონომიის ძირითადი პრობლემა არის წამოყენებული და ეს ბურჟუაზიული შეხედულება შეადგენდა ნიკოლაძის არა მარტო პრინციპიალურ პროგრამას, არამედ მის პრაქტიკულ მოღვაწეობის მთავარ ამოცანას უკანასკნელ პერიოდში. ახლა გავიცნოთ ის, თუ რომელი კლასი მიაჩნდა მას ერის წინ წამწვევ ძალად და მის მამოძარავებელ მთავარ ფაქტორად. იმავე წერილში ნიკოლაძე სწერდა:

„ჩვენი წარმატება თხოულობს, რომ რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება ბლომად იზრდებოდეს ჩვენში ეგრედ წოდებული შუათანა დასი... თქვენ ევროპის მეცნიერებისაგან დაწუნებული ბურჟუაზია მოგწონსთ, გენატრებათო, გაიკვირვებენ. დიად, გვენატრება ჩვენთვის და არა ევროპისათვის... როცა ევროპა — ამ ასიას ორმოცდაათი წლის წინად — სწორედ იმნაირსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიაც დღეს ჩვენ ვართ, ყველაფერი, რაც კი შიგ ახალგაზრდა, გულწრფელი, პატიოსანი და შორს-გამჭვრეტი იყო სწორედ იმ შუათანა დასის მომხრე გახლდა, რომელსაც დღეს ბურჟუაზიას ეძახიან. ისტორიული პროგრესის კანონი თხოულობდა ამას და ეხლაც ამასვე თხოულობს ჩვენგნით. ერისა და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან, უმეცრებისა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია ყოფილა და იქნება. ყოვლად შეუძლებელი არის რომ ეს სხვაფრივ იყოს“. 2)

აქაც ნ. ნიკოლაძის პირით ბურჟუაზიული მოაზროვნე მეტყველებს; ამას კომენტარიები არ ესაჭიროება. მაგრამ იმავე წელს ნიკო-

1) ნ. ნიკოლაძე: „საჭირო ძალა“. „მოამბე“ № 8, გვ. 128, 1894 წ.

2) „მოამბე“ გვ. 136 — 137.

ლაძემ გამოაქვეყნა ერთი წერილი („აზნაურობას რა უშველის“), რომელმაც თავიდანვე გაუგებრობა გამოიწვია,¹⁾ რის გამოც ნიკოლაძე თავად-აზნაურობის იდეოლოგიად მონათლეს. საქმე კი შემდეგშია: ჩვენში თავად-აზნაურობასა და ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიის შორის არ მომზადებულა არც სოციალ-ეკონომიურად და არც პოლიტიკურად ნიადაგი კონფლიქტისათვის; ეს ორი სოციალური ფენა ერთი მეორეს დამხმარე ძალას წარმოადგენდა. ცხადია ნორჩი ქართული ბურჟუაზიის იდეოლოგიები იძულებული ხდებოდნენ ანგარიში გაეწიათ თავად-აზნაურულ წოდებისათვის და მათი საკითხი განეხილათ ბურჟუაზიის ინტერესების საზომით.²⁾ ამ მხრივ ნიკოლაძე არ ცდილობდა თავად-აზნაურული წოდება დაეტოვებია თავის პრივილეგიებში და უსარგებლო ტვირთად გაეხადა. ნ. ნიკოლაძეს ბურჟუაზიული მიდგომა თავად-აზნაურობის საკითხისადმი ორ მომენტში ხდება ნათელი: 1. იგი ცდილობდა აზნაურობა შეეჩვია „პატრიოსანი შრომით თავის რჩენისათვის“. „ყველაზე უმთავრესი და უტყუარი საშუალება, ამ მიზნის მისაღწევი, — სწერს ნიკოლაძე, — რასაკვირველია, ისევ და ისევ საკუთარი შრომაა, საკუთარ ქონებაზე, საკუთარ მიწა-წყალზე, აზნაურობის შველის პროგრამა, საზოგადოთ რომ სთქვას კაცმა, სულ ერთიანად აი ამ პროგრამაში უნდა მდგომარეობდეს“.³⁾

თავად-აზნაურობის იდეოლოგი ის არის, ვინც იცავს ამ წოდების ეკონომიურ პრივილეგიას და მის ხელში მიწის რენტას. ნიკოლაძეს სურდა გადაერჩინა ქართ. თავად-აზნაურობა გაპროლეტარებას და ჩაება ისინი საკუთარ შრომის პროცესში. ეს თავად-აზნაურულ პროგრამას არ შეადგენს. 2. ნ. ნიკოლაძე ცდილობს ჩააბას აზნაურობა კაპიტალისტურ განვითარების პროცესში. „...რატომ ჩვენი ადგილის პატრონები იმას მაინც ვერ ახერხებენ, რაც პოლონელებმა ისე ადვილად გაირიგეს. პოლონეთში მიწა-

¹⁾ იხ. ქართველი მკითხველის (კარ. ჩხეიძის) წიგნაკი: „საუცხოვო ნიმუში ბ-ნ ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა“, 1895 წ.

²⁾ „ქვეყნის გაწყობის დროს, ჩემზე რომ ყოფილიყო მინდობილი რიგისა და წესის დადგენა, — სწერს ნიკოლაძე, — იქნება არც აზნაურობის საჭიროება დამენახა, არც მისი განკერძოებული არსებობა გამეჩინა“ („მოამბე“ № 9, გვ. 109, 1894 წ.

³⁾ ნ. ნიკოლაძე: „აზნაურობას რა უშველის“. „მოამბე“ № 9, გვ. 119, 1894 წ.

წყლის პატრონმა უცხოეთელი თანხის პატრონი გაიამხანაგა: ჩემი მიწა იყოს ან ტყე, ან ხორაგო და შენი ფული და მაშინაო. მოგეზიდან ერთი წილი მე მქონდეს, ოთხი ან ხუთი ან ცხრა შენაო. ამნაირათ იქაურ თავად-აზნაურობას ცოდნაც მიეცა, თუ მოუვიდა და ფულიც. ყველა დამეთანხმება მეტად ძნელი არც ჩვენთვის იქნება ამგვარივე „ხიზნების“ (ე. ი. უცხოეთის კაპიტალისტების ს. ხ.) შოვნა, განსაკუთრებით ჩვენი დიდრონი მემამულეებისათვის“. ¹⁾

რასაკვირველია, ამ პერიოდის ნიკოლაძის პროგრამა არ იღებდა მხედველობაში ქართველი გლეხებისა და „ულარიბეს ქართველი მუშის“ ინტერესებს, მაგრამ იგი არც თავად-აზნაურობის განკერძოებულ ინტერესებიდან გამოდიოდა: მისი უმთავრესი საზრუნავი საქმე „მესამე დასი“, ბურჟუაზია იყო და ამ კლასის ინტერესების საზომით იხილავდა იგი თავად-აზნაურობის საკითხებსაც ჩვენში. რასაკვირველია, ჩვენ ნიკოლაძის პროგრამას კი არ ვიცავთ, არამედ მის ნამდვილ ბურჟუაზიულ შინაარსს ვარკვევთ.

ასეთი იყო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური იდეალები მისი მოღვაწეობის მეორე ნახევარში.

ამრიგად, ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების ევოლიუციის შესწავლამ ჩვენ დაგვანახვა, რომ მან 60-იან წლებში ჩერნიშევსკის დიდი გავლენა განიცადა და ნაროდნიკული აზროვნების მიმდევარი გახდა, 70-იან წლებში იგი საგრძნობლად დასცილდა ორტოდოქსალურ-ნაროდნიკულ მიმდინარეობას და უმთავრესად ევროპის სოციალისტების გავლენით ასოციაციურ-კოლექტიურ თეორიების ქადაგებას შეუდგა ჩვენში, ამავე პერიოდში უკვე შეიჭრა მის აზროვნებაში ბურჟუაზიული ელემენტები, ხოლო 80-იან წლებიდან ნიკოლაძის საციალურ-პოლიტიკური მიმართულების ძირეული გარდატეხა მოხდა: იგი ორივე ფეხებით ლიბერალური ბურჟუაზიის აზროვნების საფუძვლებზე დადგა და თავისი კალმითა და პრაქტიკული საქმიანობით ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა.

— : —

¹⁾ ნ. ნიკოლაძე: „საჭირო ძალა“. „მოამბე“, № 8, გვ. 134, 1894 წ.

ნ ი კ მ ნ ი კ მ ლ ა კ ე

ჩვენი აზროვნების ისტორიას ახსოვს დიდ სახელთა მთელი წყება, რომელნიც თავის დროის ფიქრთა მპყრობელებად ითვლებოდნენ. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ნიკო ნიკოლაძეც.

იგი იყო „თერგდალეულთა“ შტაბის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელმაც ღრმა მოხუცებულობამდე შეინახა აზრის სინათლე, განცდების ახალგაზრდობა და ნების-ყოფის დუდილი. თუ მესამოცე წლების მოღვაწეები, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რეფორმატორებად ჩაითვლებიან, და თუ ამ მოწინავე ელემენტებს კიდევ თავისი სარდლები ჰყავდათ, ესენი იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. ეს ორი დიდი ადამიანი იყო, ჩვენი ცხოვრების ყველა გზა-ჯვარედინზე რომ ჩასაფრდა, ილია ჭავჭავაძე თავისი ფილოსოფიური ჭკუით და დიქტატორის სიმტკიცით, ნ. ნიკოლაძე კი მოურიდებელი სიახლით, დიდი პრაქტიკული გონებით და გრანდიოზულ პერსპექტივებით. იქნებ ნ. ნიკოლაძე რომ არ ყოფილიყო, ილია ჭავჭავაძეს იმდენი ვერც გაეკეთებინა, როგორც ცალად დარჩენილს. ნიკო ნიკოლაძე კი, თვით განშორების დროსაც კი მხარს უმაგრებდა იმ ეპოქის მედროშეს, ილია ჭავჭავაძეს, და სწერდა: — „რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს“—ო. ამ სიტყვების თქმა უბრალო რამ არ იყო. უნდა კაცს ჰქონდეს ძალიან დიდი იმედი საკუთარი თავისა, დიდი დამოუკიდებლობა საკუთარ თავისაგან, რომ ასე თამამად აღიაროს იმის პირველობა, ვისთანაც ბევრი რამე აქვს სადაო და დასაშორებელი. ასეთი ობიექტიურობა მხოლოდ დიდი ადამიანების თვისებას წარმოადგენს. მაგრამ ხომ ეჭვიც არ არსებობს ნ. ნიკოლაძის სიდიდის შესახებ! ყველა ერთნაირად არ აფასებს მის მოღვაწეობას, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი აზრთა სხვადასხვაობა, როგორც ამ კაცის

შესახებ, არც ერთი ჩვენი მოღვაწის გარშემო არ არსებობს, მაგრამ დავა მისი დიდი ბუნების შესახებ, ჯერ არ გაჩენილა.

და თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრივობისა და აზროვნების ისტორიკოსები, კიდევ ბევრს დასწერენ, ბევრს მოსძებნიან, მაგრამ თავისი დროის „ფიქრთა მპყრობელის“ სახელი კი, ნ. ნიკოლაძეს უფრო განუმტკიცდება.

ადგილი არ არის ნ. ნიკოლაძის შესახებ წერა, რადგან იგი მრავალ-მხრივი, ხან-გრძლივი და ადგილ-მრავალი მოღვაწე იყო. ვინ იცის, როდის მოუყრით თავს მის ნაწერს და ნაღვაწს. მანამდე კი უნდა ჰხდებოდეს იმ განძეულის ნაწილობრივი შესწავლა, რომელიც ნ. ნიკოლაძემ, ჩვენი კულტურის საღაროში შეიტანა. ჩვენც გვინდა, ნ. ნიკოლაძის მრავალ-მხრივი საქმიანობიდან გამოვყოთ მისი მწერლობა, და ამ მწერლობიდან კი — მხატვრული კრიტიკა, და ვცადოთ მისი ამ მხრივ დაფასება.

* * *

მართალია, ნიკო ნიკოლაძე ადრევე დაეკარგა ჩვენს მხატვრულ ლიტერატურას, მაგრამ ის, რაც მან ამ სფეროში გააკეთა, უფლებას აძლევს მას ჩვენს პირველ-ხარისხოვან მწერლებს გვერდში უდგეს, და მათთან ერთად ატაროს ქართული ლიტერატურის რეფორმატორის სახელი. აქაც, ნ. ნიკოლაძე მხარში უდგას ილია ჭავჭავაძეს, და ქართული სალიტერატურო კრიტიკის სათავეში, მასთან საზიარო ადგილი უჭირავს.

ნ. ნიკოლაძის მხატვრული მსოფლმხედველობის უკეთ გასაგებად, საჭირო არის გაკვრით მოვიხსენიოთ ის მბრძანებელი იდეება, რომელნიც იმ დროს მოდებული ჰქონდა რუსეთს, სადაც ჩვენმა „თერგდალეულებმა“ მიიღეს სწავლა, და საიდანაც მოზიდეს ის „თესლი“, რომლისთვისაც ქართული მიწა არ ემეტებოდათ ჩვენ ძველ კატონებს. მოუსმინოთ თვით ნ. ნიკოლაძეს, რომელიც თავის „მოგონებაში“ სამოციან წლებზე, სხვათა შორის მოგვითხრობს თავის პატიმრობისა და მასთან ერთად დაპატიმრებულთა შესახებ.

„იქვე ახლოს იდგა იგნატი პიოტროვსკის საწოლი, და ყველაზე ხშირად მე მას ვებაასებოდი; მან მომაჯადოვა იმით, რომ ჩემს უწესრიგო და განურჩეველ ნაკითხობაში შეიტანა ერთგვარი წესი და მისცა ის ჩონჩხი და გაშუქება, რომელიც მე სწორედ მეჩვენებოდა. იგი მეუბნებოდა, რომ დადგა ბრძოლის ხანა, და ეხლა უკვე აღარ

რჩება დრო ხანგრძლივი სწავლისათვის... ჩვენ ხომ პროფესორად არ ვემზადებით, არამედ „მოქალაქეებად“, და ჩვენთვის სრულებით საკმარისია დასკვნები... დასკვნები კი მზადა აქვთ ისეთ მწერლებს, როგორცაა ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი; ისინი სწორედ იმას ემსახურებიან, რომ აღჭურვონ ახალი თაობა თანამედროვე ცოდნის ყველა დებულებით, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევით“... ეს „მოჯადოება“ ხანგრძლივი გამომდგარა, და ნ. ნიკოლაძემ სწორედ ამ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეები ჩამოიტანა ჩვენი ლიტერატურის გასაახლებლად. რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძე ამ იდეათა ბრმა მქადაგებელი არ იყო. პირიქით, მეტად თავისებური სიმახვილით და ესთეტიური დაწმენდილობით გამოსთქვა ის ფორმულება, რომელიც იმ დროს მთელ რუსეთს ჰქონდა მოდებული. რას წარმოადგენდა ეს ესთეტიური მსოფლმხედველობა?—იგი რუსული წარმოშობისა არ იყო. იგი გამომდინარეობდა ფეიერბახის მატერიალიზმისაგან, რომელიც თანდათანობით ეჭრებოდა რუსეთის ინტელიგენციის შეგნებას და ერთგვარად ავიწროვებდა ჰეგელის ფილოსოფიის გავლენის სფეროს.

ფეიერბახის მოძღვრების მიხედვით კი, საგანს, თავისი ნამდვილი აზრით, ჩვენ ვითვისებთ მხოლოდ შეგრძნებათა საშუალებით. სინამდვილე ანუ გრძნობიერება, ჭეშმარიტების იგივეობაა, და გრძნობათა საშუალებით, ჩვენ შევიცნობთ ყოველივეს, მხოლოდ ამისათვის საჭიროა მათი ცოდნა. ამ დებულებით, ფეიერბახმა გაილაშქრა იდეალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ, რომელიც უნდობლად და აღმაცერად ექცეოდა ჩვენი გრძნობების ორგანოთა ჩვენებებს. გრძნობითი ცდაზე დამყარებული წარმოდგენები საგანთა შესახებ, იდეალისტების აზრით არ შეეფერება საგანთა ნამდვილ ბუნებას, და მათ შესაცნობად საჭიროა წმინდა აზროვნების ჩარევა. ჩერნიშევსკის ესთეტიკა, ფეიერბახის ამ მოძღვრებიდან გამომდინარეობს. თუ ადამიანის რაობა გრძნობებია და არა „წმინდა გონების“ აბსტრაქცია, თუ ფილოსოფიის მოვალეობაა სინამდვილის ანუ გრძნობების რეაბილიტაცია, მაშ ესთეტიკაც, როგორც ფილოსოფიურ აზროვნების დარგი, ამავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს. უნდა მოხდეს იმ ესთეტიურ თეორიისაგან განთავისუფლება, რომელიც ჰეგელის იდეალიზმს ემყარება, და რომელიც ამბობდა, რომ სილამაზე უნდა განთავისუფლდეს იმ ნაკლისაგან, რომელიც სინამდვილისაგანა სჭირსო. ჩერნიშევსკი პირიქით ამტკიცებდა, რომ სინამდვილეში არსებული

სილამაზე ყოველთვის მაღლა სდგას ხელოვნების სილამაზესთან შედარებით. ხელოვნების არც ერთ გვარს არ შეუძლიან შეეტოქოს სინამდვილეს, თავისი ნაყოფის სილამაზით, და მაშასადამე, ხელოვნებამ უნდა ასახოს ის სილამაზე, რომელსაც სინამდვილე იძლევა. პისარევი ერთგვარად მართალი იყო, როდესაც ჩერნიშევსკის შესახება სთქვა: თავისი დისერტაცია მან ცბიერი აზრით დასწერა, რომ ესთეტიკა დაელუპაო. მართალი იყო მიტომ, რომ ჩერნიშევსკიმ ესთეტიკა იარაღად გადააქცია, და მისი საშუალებით უნდოდა თავისი მოწინავე იდეების ქადაგება.

ასევე აზროვნობდა ჩვენში ნ. ნიკოლაძე. იგიც სინამდვილის დიდ მოთაყვანედ გამოვიდა. ცხოვრება, სინამდვილე, ეს თუ გნებავთ ყველაზე დიდი „ფანტასტიკა“, ეს უზარ-მაზარი საშინელება, რომელსაც ადამიანი გაუბრბის და ვერც გაუბრბის, აი ეს სინამდვილე იზიდავდა ნ. ნიკოლაძეს, და ლიტერატურაშიაც მისი ძებნა დაიწყო. როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროებში, ისე ლიტერატურაშიაც, ნ. ნიკოლაძემ დიდი წუწნაობა შემოიტანა, და აქაც მოითხოვა ერთგვარი რეფორმის მოხდენა. მისთვის, რასაკვირველია მიუღებელი იქნებოდა ის თეორია, რომელსაც „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ჰქონდა დევიზად, ეს გაუგებრობის დიდი ნაყოფი, რადგან ასეთი ხელოვნება ისტორიას არ ახსოვს. ნ. ნიკოლაძე „ულმობელი საქმის“ კაცი იყო, იგი ყველგან და ყველგან გამოყენებასა და სარგებლობას ეძებდა, და რასაკვირველია, ამ თვალსაზრისის გარეშე არც ლიტერატურა დარჩებოდა.

თავის სალიტერატურო კრიტიკოსობის დასაწყისშივე ნ. ნიკოლაძემ ხელოვნების პრობლემა აღძრა საზოგადოდ, და ლიტერატურისა განსაკუთრებით. ხოლო აღძრულ კითხვის შესახებ, სრულიად გარკვეულად და ნათლად სთქვა: — „ხელოვნური მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს მკითხველ საზოგადოებას ხალხის, საზოგადოების და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საჭიროება, დაუხატოს ისე, რომ მკითხველი, ამ მდგომარეობის, ხასიათის და საჭიროების ნამდვილ გარემოებებს და თვისებებს ჰხედავდეს, კარგსა და ავ მხარეს სცნობდეს, და თან იმ მიზეზების გაგებაცა ჰქონდეს, რომელთაც ესეები დაუბადნია. კაცობრიული საზოგადოება ანგელოზებისაგან კი არ არის შემდგარი, იმას სხვადასხვა სურვილი, თვისებები და საჭიროებები აქვს, და ზოგი ამათვანი კარგია, ზოგი ავი, ზოგი მოსაწონია, ზოგი არა“... ასე მსჯე-

ლობს ნ. ნიკოლაძე, „გლახის ნაამბობის“ გარჩევაში, 1873 წელს. (იხ. „კრებული“) ავტორის აზრით, ყველაფერი ეს, მწერლობამ უნდა სთქვას, მაგრამ ისე, რომ რაც შეიძლება სინამდვილის ობიექტიური გადმოცემა იყოს. ეს ნაცნობი თეორიაა, რომელსაც რეალიზმის სახელით ვიცნობთ. მაგრამ საზოგადოდ რეალიზმს ორი ეპოქა ჰქონდა: პირველი, — როდესაც ხელოვნური ნაწარმოებისგან მოითხოვდა მოვლენათა დასაბუთებულ ოქმებს, ადამიანთა და მათ საქმეთა სწორ გადმოცემას, ყოველგვარ წამმართავ იდეისა თუ იდეალის გარეშე, მეორე კი ის ეპოქა იყო, როდესაც იდეასა თუ იდეალს ისევ მიეცა ხელმძღვანელი როლი, და ხელოვნურ ნაწარმოებს დაევალა სინამდვილის სწორი გადმოცემა, ხოლო ამასთანავე დაევალა იდეალების შექმნაც, ამ „ოქმების“ პარალელურად. ნიკო ნიკოლაძე, ამ მეორე ეპოქის რეალიზმის მქადაგებელია. იგი გარკვეულად აცხადებს, რომ „მწერლობას უკეთესი ცხოვრების და განწყობილების ნათლად გამოხატული იდეალი უნდა ჰქონდესო“. ეს იდეალი კი — თავისუფლებას, ხალხის სიკეთეს და პიროვნების ე. წ. გარმონიულ განვითარებასა ჰგულისხმობდა, რაც ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მოძღვრებას ახასიათებდა. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ნ. ნიკოლაძე ცენტრალურ ლიტერატურის მომხრე იყო. პირ-იქით, იგი ამ ტენდენციას უარჰყოფს, რადგან ტენდენცია ყოველთვის ცალმხრივია, ამგვარი ნაწარმოები კი, ვერასოდეს ვერ იქნება ნამდვილი და ობიექტიური მხატვრობა, რასაც ჩვენი კრიტიკოსი მოითხოვს. იგი სწერს: — „მარტო ერთი მხრით გადაჭარბებით, მარტო ავის ერთ წოდებაში ან პირში გამოხატვით, და კარგის — მეორეში, საქმე შორს ვერ წავა, და საზოგადოების გრძნობა და ხასიათი ვერ გადაკეთდება... ამის გამო, მწერლობის მხრით შეცდომაა, იმრიგად უხატავდეს მკითხველის ადამიანთა საზოგადოებას, რომ აი, ეს პირები გიყვარდეს, და ესენი კი გძაგდესო... ამნარი მწერლობა პროკურატურას ჩამოგავს, და ამ ორ დანიშნულებას შუა დიდი განსხვავება უნდა იყვეს. მწერლობა იმას უნდა იკვლევდეს, თუ რომელი თვისება როგორი მდგომარეობიდან სწარმოებს, რომელ მდგომარეობას რა წამალი მოუხდება“... და განაგრძობს: — „მწერლობა ყველა ამნაირ თვისებებს უნდა აკვირდებოდეს, და გაიცნობდეს, და იმ მხრით შინჯავდეს, თუ რანაირად შეიძლება თითოეული კაცის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ისე, რომ სხვებს ამ დაკმაყოფილებამ არ ავნოს, სხვები არ დაჩაგროს, და სხვის მოთხოვნილებას და საჭიროებას გზა არ გაუხი-

დოს. გონიერმა მკითხველმა მწერლობიდან იმის ცოდნა უნდა გამოიტანოს, თუ როგორია ნამდვილი ცხოვრება, რა თვისებები აქვს თანამედროვე ხალხსა და საზოგადოებას“... ეს გრძელი ამონაწერი საუკეთესოდ ამტკიცებს იმ აზრს, რომ ნ. ნიკოლაძე, ტენდენციური ლიტერატურის წინააღმდეგია, და უნდა ითქვას, რომ სამართლიანადაც. ამ-გვარ ტენდენციას, აზრი და მნიშვნელობა მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში ეძლევა, როდესაც ლიტერატურა თუ ხელოვნება საზოგადოდ, თავის პირდაპირ დანიშნულებას სცილდება და სხვა საქმეს აკეთებს, რადგან ამას მომენტი მოითხოვს. ასეთ დროს ტენდენციური ხელოვნება ბრძოლის მძლავრი იარაღია, მაგრამ ნორმალურად, ხელოვნების დანიშნულებას არ წარმოადგენს არც საბრალმძებლო ოქმების წერა და არც საესტრადო ქადაგება. მისი გზა — მხატვრობა არის, უტენდენციო, მაგრამ არა უიდეო ან უიდეალო. ხელოვნება გვაჩვენებს, და ბრალს კი არ სდებს, გვიხსნის და კი არა სჯის. ნიკო ნიკოლაძემაც ესა სთქვა, და ამ ნათქვამით, ერთგვარად გაილაშქრა კიდევ იმ დროის გაბატონებულ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც ტენდენციას აკანონებდა, და ლიტერატურას აქცევდა ბრალდების ტრიბუნად. ნ. ნიკოლაძის აზრი სრულიად ნათელია: ხელოვნურ ნაწარმოებში ჯერ მოცემულ უნდა იყოს მართალ სასწორზე მდებარე შეუღებავი სინამდვილე, ყოველგვარ განძრახ მიდრეკილების გარეშე, შემდეგ კი — ახსნილი იმ იდეისა თუ იდეალის პრიზმის საშუალებით, ურომლისოდაც ჩვენს კრიტიკოსს ავტორივერც კი წარმოუდგენია. ვისაც ეს არ შეუძლიან, ის ნ. ნიკოლაძის აზრით არც მწერალი არის.

ამ მსჯელობის დროს, ნ. ნიკოლაძემ თვით ილია ჭავჭავაძეც კი არ დაინდო, და „გლახის ნაამბობი“ სწორედ ამ ტენდენციის გამო დაუწუნა. გარდა ამ ნაკლისა, ნ. ნიკოლაძემ, ჩვენს მწერლობას სხვა უარყოფით მხარეებზედაც მიუპყრო ყურადღება. მან სასტიკი ხელით გადასინჯა ჩვენი მწერლობის შემოქმედება, და ორი სამი ავტორის გარდა, ყველანი ჩამოიყვანა იმ პიედესტალიდან, რომელზედაც მათ ადგილი ჰქონდათ მიჩენილი. მათი შემოქმედების უდიდეს ნაწილს ნ. ნიკოლაძემ უმეცრების ნაყოფი უწოდა. შესაძლებელია, რომ ასეთ ატეხილ წუნის დებაში ნ. ნიკოლაძე სიჭარბესაც ეძლეოდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი „ულმობელი საქმის“ კაცი იყო, და ასეთ ხალხს კი ყოველთვის რადიკალიზმი ახასიათებს. — „იშვიათად მოიძებნება ჩვენს მწერლობაში ისეთი თხზულება, — ამბობს ნ. ნიკო-

ლაძე, — რომელშიაც ყველაფერი, კაციდან დაწყებული ბუნებამდე, და მზიდან მოკიდებული, შავ თვალებამდე, უმეცარი ხელით არ იყვეს გამოხატული და აწერილი. კაცი თავისი დახლართული მრვალგვარი გრძნობით, და ცხოვრებით, საზოგადოება, თავისი მოთხოვნილებით, ბუნება და სხვა გარემოებანი თავიანთი გავლენით, — ყველა ერთიანად და ერთნაირად იხატებიან ამ თხზულებებში, „პაწაწა ჩხირებათ შეღებილ თავებით“ (ავტორი ასანთსა ჰგულისხმობს. ვ. კ.) დრამებში, კომედიებში და მოთხრობებში გამოჰყავთ ამასთანავე თავშეღებილი ჩხირები; იმათ კაცის სახელებს აძლევენ, პირში ქალაქს უდებენ, რომელზედაც წარწერილია: — „ეს ძალი კი არა, ლომიაო“, და სხვადასხვა ფრაზებს ათქმევენებენ, სხვადასხვა ადგილას ატარებენ. მაგრამ ნამდვილი კაცის სხეული არ ასხიათ ამ ჩხირებს, ნამდვილი კაცის გული არა სძგერს მათ მკერდში, ნამდვილი კაცის ტვინი არ მოქმედობს მათ შეღებილ თავებში; რა გინდ ჩვენებური სახელები დაარქვან ამათ მწერლებმა, ისინი უსულდგმულო, პაწაწა, ძლიერ პაწაწინა ჩხირები არიან და ჩხირებად დარჩებიან, რადგანაც დრო და ჰავა მალე წააღპობს მათ შეღებილ თავებს, და ძლიერ მალე, ხელ-ახლავ უბრალო ჩხირებად აქცევს მათ“... აი, ასეთი მოხდენილი სტილით, ბასრი სიტყვით გაილაშქრა ჩვენმა კრიტიკოსმა იმ ერთფეროვან და დუნე ლიტერატურის წინააღმდეგ, რომელიც თავისი თვისების გამო ვერ შესძლებდა იმ დანიშნულების შესრულებას, რომელიც ხელოვნურ ნაწარმოებს ეკისრება. და მართლაც, ბევრი მწერალი იყო ჩვენში, რომელიც სალიტერატურო ფორუმზე ისეთი ნაწარმოებით გამოდიოდა და თავმომწონებდა კიდევ, რომელსაც არამც თუ სიკეთე, არამედ ზიანი მოჰქონდა, რადგან სალიტერატურო ქვეყანას ბალასტით ავსებდა და ანაგვიანებდა. უხეირო ლიტერატურას აქვს თავისი დამშლელი მნიშვნელობა, და ჩვენი კრიტიკოსიც მიტომ იყო, რომ ასე დაუნდობლად ილაშქრებდა „შეღებილ ჩხირების“ ავტორთა წინააღმდეგ. ნ. ნიკოლაძე ხშირად სისასტიკესაც არ ერიდებოდა, რადგან კარგად გრძნობდა თავის მოვალეობას როგორც კრიტიკოსი: — „კრიტიკა ნიადაგ ტონს უნდა აძლევდეს თავის ლიტერატურას, და ისე მიმართავდეს მის ძალას და შრომას, როგორც საუკეთესო იქნება ცხოვრებისათვისაო. ასე ესმოდა ნ. ნიკოლაძეს კრიტიკის მნიშვნელობა, და თავის დროს, ტონსაც მტკიცედ და გაბედულად აძლევდა. — „ყოველი კერძო შემთხვევა, მოვლენა, ხასიათი, მდგომარეობა და სხ... მართო მაშინა ჰხდება მწერლობის ყუ-

რადღების ღირსი, როცა იმას რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, როცა ის წარმომადგენელია მრავალი სხვა თავის გვარი მოვლენებისა“... ეს თითქოს ჩვეულებრივი განცხადება ბევრ რამეს ავალბდა ქართველ მწერალს, და სახელდობრ: დიდ დაკვირვების, ერუდიციას, რაც არც თუ ისე ხშირი მოვლენა იყო ჩვენი ლიტერატურის ქვეყანაში.

ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყვეს, ბევრი დაფარფატებდა ჩვენს ლიტერატურაში „ცალი ფრთით“, და ნ. ნიკოლაძემაც მათი დაფრთხობა განიზრახა. მას უნდოდა ჩვენი ლიტერატურა ასულიყო ჩვეულ სიმაღლეზე, კვლავ გათანასწორობოდა ევროპის მხატვრულ სიტყვას და გადაქცეულიყო ჩვენი ჩამორჩენილი ცხოვრების ამლორძინებელ ფაქტორად. უფრო მეტ მოთხოვნილებას უდგენდა იგი ლიტერატურის კრიტიკოსს, რადგან მისი აზრით, კრიტიკა — შემკრებლობითი ხასიათის მწერლობა არის. მწერლობის ეს დარგი, თვალს ადევნებს არა მარტო მხატვრულ მწერლობას, არამედ „მწერლობის დანარჩენ ნაწილების მოქმედებას (ავტორი ჰგულისხმობს ფილოსოფიას, ეკონომიურ და პოლიტიკურ მწერლობას და სხვ... ვ. კ.) და მოძრაობას, ნიშნავს მათ ხასიათს, ჰკრეფს მათი ნაშრომის ყვავილებს. აფასებს მათს მნიშვნელობას და ადგენს საბოლოო სჯას, გადაწყვეტილებას ამ საზოგადო შრომაზე და მოქმედებაზე“... ეს აზრები დღეს რასაკვირველია ვერავის გააოცებს, არც თუ სავსებით ორიგინალური არიან (სიხანს გავლენები ნაწილობრივ ბელინსკისა, ჩერნიშევსკისა და ნაწილობრივ კი — ფრანგი რეალისტებისა) მაგრამ იმ დროს ეს დიდ ძვრასა ნიშნავდა.

ნიკო ნიკოლაძემ მწერალს მეტად სერიოზული მოთხოვნილებანი წარუდგინა, რაც ჰნიშნავდა მწერლის პრესტიჟის ამაღლებას, ტონი მისცა, თუ რა და როგორ ეწერათ, სალიტერატურო კრიტიკა დიდ და საპატიო საქმედ გამოაცხადა, საერთოდ კი, ლიტერატურის ქვეყანაში, მოწიწებისა და სერიოზობის ატმოსფერო შეჰქმნა. სამწუხაროდ, ნიკო ნიკოლაძეს გამუდმებით არ უმუშავნია სალიტერატურო სარბიელზე, სამაგიეროდ ის გამუდმებით იდგა ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე, და ხალხს ასწავლიდა იმ საშუალებათ და იარაღებს, რომლითაც საბოლოოდ უნდა დამხობილიყო „ჩვენი ცხოვრების ძველებური კილო“.

— : —

ლ ე ქ ს ე ბ ი

ვალერიან გაფრინდაშვილი

გაზაფხული თებერვალში.

მძინავს და ძილში მესმის წკრიალი
ჩემთვის უხილავ ფარულ მერცხლების
მზეს თითქოს ცაში გააქვს ბღღვრიალი
და ღრუბლებისგან ცა ივერცხლება.

თებერვალია, მაგრამ წკრიალი
ძილში მომესმის განუწყვეტელი.
გულმა დაიწყო ზღვათ ხეტიალი,
სადაც ვარდების არის კედელი.

ხშირად ეწვიენ გულს სიამენი
სუსხი ზამთრისა აღარ მაწვალებს.
მესმის სურნელი იასამანის
და აღტაცებით გავახელ თვალებს.

ყური დაუგდე მერცხლების სტვენას, —
ო, ეს მლესავი ლესავს ძველ დანებს!
მაგრამ ამ ტყუილს და აღმაფრენას
ჩემი ოცნება არ დაინანებს.

მერცხლად მეწვია დანის მლესავი
და ის გაზაფხულს გაჩარხავს მაინც.
ჩარხის ქვა ბრუნავს მაღალ მზესავით
და გული ეტრფის მზეს, როგორც რაინდს.

თებერვალი 1928 წ.

— : —

ფარული სტამბა არქიელის გორაზე

სალამო იყო და ქარი ქროდა,
ქარი სივრცეში ფანტავდა ნამქერს.
სოველი კაბა ტანზე გეკროდა
და მივყვებოდით ბილიკზე ამქრებს.

ვით ვერცხლის მტვერი ისე გეყარა
გრძელ წამწამებზე ნათოვი ფიფქი.
მდუმარეთ თავი ჩამოგეხარა
შორს გატაცებულს ბრძოლებზე ფიქრით.

ქარმა თავშალი შემოგაცალა
და როცა გულიც გაგიხსნა კრივით, —
შემოგახურე ნაბადი ძალათ
და აცახცახდი შველის ნუკრივით.

მხრებზე დაგცვინდა თმები ღალანა —
გაშლილი თმებით ამორძალს ჰგავდი.
ხან დაღალული, როგორც ბალანა,
საშიშარ გზებზე ხელში ამყავდი.

ავედით მალლა და მოგვაგონდა,
რომ გაუსწარით წინ ამხანაგებს.
თითქოს ბროლების კედელი ჰქონდა
ბაგრატის ტაძარს, ცამდი ანაგებს.

თვით არქიელის გორიდან ბარათ
ყველაფერს ეცვა სამოსი შუშის.
და ნაციხართან დახეულ ბარათს
თავზე გვაყრიდა ზეცა პირქუში.

ქვევით გაჰქონდა ქუხილი რიონს —
გოლიათებთან ბრძოლებში ნაქებს.
და სიხარულით, როგორც მაყრიონს
ველოდებოდით კვლავ ამხანაგებს.

სახეზე გენტო მზე შორეული....
უკვე გავცილდით ბაგრატის ზღუდეს.
და შენი უბე ჟინმორეული
ჰგავდა გასაფრენ მტრედების ბუდეს.

გულები ცემდენ გასაკვირველად
და გიკოცნიდი ხელებს ნაცეებს...
ეს იყო ადრე, როცა პირველად
ერთად ვბეჭდავდით პროკლამაციებს.

იანვარი 1928 წ.

— : —

ნადირობა ნიამორებს

დისონანსები

მოურავს თოფი რომ გამოვართვით,
ტყისკენ წაველით ჩვენ ორთავენი.

შენ ტყე არ გქონდა ამ დროს ნახული,
როცა ყვავილებს მზე აყრის ნახველს.

„მაშ მოჰკლავ, მოჰკლავ დღეს ნიამორებს?“
მესმოდა სიტყვა ნამეორები.

შემომცქეროდი შენ მწევარივით
და ჰფეთქდა გული დაუწურავი.

ნიამორების კვალს ვერ მივაგენ, —
ნაცვლად ვიპოვე შენი ბაგენი.

„ნიამორები? ო, ნუღარ!... ნუღარ...“
და მოგწყდა ცრემლი აუღუღარი.

როცა გავგრილდი, როგორც სპილენძი,
ვთქვი: რაღა ვუთხრა სახლში მასპინძლებს?

ნანადირევი არ გაცინებდა
და მეც სახლამდის ვერ გაგაცილე.

რა მოვკალ? — დრო, დრო უყურთმაჯებოთ.
მე არ ვამაყობ ამ გამარჯვებით.

— : —

ევეო ავეუს

შენ საიდუმლოთ იქ იყავი, სადაც ხალხის ხმა,
მაგრამ ნამდვილათ კი ხალხის გულს ღრღნიდი, ვით ჭია;
ალბათ, გინდოდა ამ ხალხისთვის უკმეხად გეთქვა,
რომ აზეფობაც ცხოვრებაში დიდი ნიჭია!

ცხოვრება ზღვაა. მას სჩვევია ზვირთების შეხლა
და წარბის შეკვრაც, თუ მრისხანედ ცა იქუფრება;
იმავე ცხოვრებამ აზეფების გზა შეჰკრა ეხლა
და, საცა არის, მათ სამყოფელს მზეც ჩაუქრება!..

ამაყი, მხნე და გმირ მკლავებზე ბორკილ-დაყრილი
რომ მოდიოდა და მოჰქონდა ამ დროთა ტვირთი,
ახლა მკლავებზე ჯაჭვი ყველა მოაქვს დახსნილი
და ცისკრის ღიმად ეშლება წინ სიცოცხლის ბირთვი!..

მის დანახვაზე, ბნელ კუნჭულებს ვერ ეფარება
ადრე ცხოვრების ჭია-მღილი, შავი აზეფი!
თავისუფლება აღძრულ რკინის რაშს ედარება,
წინ თვალებიდან ნაპერწკლების რომ სცვივა შხეფი!..

ზღვად გაშლილ გზაზე ზვირთებს იგი მკერდში ეხვევა,
შუბლში უსწორებს მარჯვე დარტყმით პირ-მახვილ დაშნებს,
მას თან მიჰყვება წინ ჯერ უტეხ გზის შლა და რღვევა,
და უკან კიდევ წარუშლელს კვალს უტყუვრად აჩნევს!..

ზვერავს კუნჭულებს, აზეფები რომ გამოდევნოს;
ყოფნის ცეცხლის გულს აწ მღილები ვერ გამოჩრჩილავს;
ძლევა-მოსილ სვლით ის ბრძანებს, რომ ევნოს თვით ევნოს!
და ეს ბრძანებაც მან შეგნებას დაუმორჩილა!..

ა ზ ხ ა ზ ე თ ი.

გრ. ჯაფარს

ღავშორდი ქართლის გადამწვარ ველეს,
და იმერეთის მხარეს უცნაურს.
ოქროს წვიმები მიწას ასველებს,
მეც უსმენ ოქროს წვიმების ხმაურს.

დავტოვე ფოთის უსაზღვრო სევდა,
და მარტოობა დიდი გემების,
როცა შუალამეს ღრიალით ხევდენ
სირინოზების მწუხარე ხმები.

როგორც სიცოცხლე, როგორც ალერსი
ისეთი ტკბილი იყო ჰაერი.
მათრობდა გრძნობა უმხურვალესი
ჩემთვის უცნობი და სხვანაირი.

ვით შევარდენი, ჯერ დაუგეში,
ისე ითხოვდა გაფრენას გული.
მხოლოდ ზღვა იყო ჩემი ნუგეში,
და მისი სივრცე გადაკარგული.

რამდენმა ფიქრმა, რამდენმა განცდამ,
დაიმორჩილა ოცნება მაშინ,
როს თვალი ნაცნობ ნაპირებს აცდა,
და მზე ჩასვენდა ანთებულ ზღვაში.

როგორც ირემი მკერდში დაჭრილი,
გადმოვარდნილი მთებიდან ბარად —
მე ზღვის სივრცეში ვიყავ გაჩრილი,
და მარტოობა მიმქონდა ფარად.

მენატრებოდა, მსურდა მენახა
მხარე უცნობი, მხარე ზღაპრული.
მე ეს სურვილი გადამენახა
ჩემ ბავშობიდან გულში ჩაკრული.

და როცა შორით ცისფერ ტალღებში
ნაპირი მწვანეთ ამოიმართა —
მე თითქოს ვილაც შემიდგა მხრებში,
და გული გახდა ზღვასავით ფართე.

ზვირთების სუნთქვა მარილიანი
სახეში მცემდა და გულს სწვდებოდა,
და ეს ქვეყანა ოქრომზიანი,
როგორც სიზმარი ჩემ წინ დგებოდა.

მე მშორდებოდა, ვგრძნობდი, თანდათან
ყოველი ფიქრი, ყოველი სევდა...
თითქოს ვიდექი მედეას ბალთან,
თითქოს ლაჟვარდი მირონს მასმევდა.

პირგამურვილი კოლხეთის მზითა
(არგონავტების ჰქუხდა საყვირი) —
ვხედავდი: ოქრო გაჰქონდა ტვირთად,
და ბრუნდებოდა ზღაპრული გმირი.

ელავდენ მთები გამდნარი მზეში;
ნიავი სურნელს ფანტავდა მძაფრად,
და მზე სისხლისფრად სწვავდა სივრცეში
მეკობრეების გაფრენილ აფრას.

აქ მოხდა ალბად ნურადინ ფრიდონ
და ტარიელის შეყრა პირველი.
ალბად აქედან ქაჯეთს გაფრინდა
წერილით ზანგი გასაკვირველი,

რომ წამოეღო შორიდან ამბად
პირბადის კიდე — ტრფობის ნუგეში —
მსუბუქი, როგორც ღრუბლების ბამბა,
ამონაწები ცრემლის გუბეში.

ვინ არ ყოფილა სიცოცხლის მდომი
მიწას ცახცახით არ დამხობია?
ან რომელ ვაჟკაცს, რომ იყოს ლომი,
გული ცრემლებით არ დაღობია?

და მეც ხომ მარტო ვარ სიყვარული,
და ამღერება ქართული მიწის!
მალლიდან ოქრო გადმოღვარულა,
და ჩემი ტანიც ოქროში იწვის.

მეც ხომ იგივე ტრფობა მაწუხებს
და მინდა ვიყო ველად გაჭრილი.
მეც სიყვარული მიჭერს მარწუხებს
და სასიკვდილოთ მეც ვარ დაჭრილი.

მაგრამ მადლობით სავსე ვარ, რადგან
მიწაზე გავჩნდი, როგორც სულდგმული.
რომ ცის გუმბათი მეც თავზე მადგა,
და ცეცხლი მქონდა გულში ჩადგმული!

10 XI.27 წ.
სოხუმი.

— : —

გაზაფხულის პირი

ისევ სოფელი:
ტყე, ველი, ეზო...
მოდის აპრილი,
ვით ჰანიბალი.
ხსნის გაზაფხულის
უნაზეს სეზონს:
ია, ტყემალი
და ალუბალი!
ორლობეები
აივსო ხმებით,
მზემ კი ლადარი
კალთით დაჰყარა,
და, მოფრენილი
ჭაღარა მთებით,
ცეკვავს ნიავი —
ცელქი მაყარი!
ისევ სოფელი:
ტყე, ველი, ეზო...
მოდის აპრილი,
ვით ჰანიბალი.
ხსნის გაზაფხულის
უნაზეს სეზონს:
ია, ტყემალი
და ალუბალი!

ა მ ო ღ ი ს, ნ ა თ ღ ე ბ ა

ამომავალ მზის ოქროს ნათელი
თავზე ადგება საქართველოს მთებს.
და ნამქერებში ღამე ნათევი
მთვარე ანათებს და არც ანათებს.

ზევით ღრიალით მიგორავს თერგი,
ქვევით გრიალი გაუდის არავს.
მზეს გაუდნია ყინულის ქერქი
მთა დაუფშვნია უხილავ წერაქვს.

ქარს მიაქვს ტორით და მიიხვეტავს —
ზვავს გადააფენს ყაზბეგს შვინდებათ.
— შერცხვეს ვაჟკაცი თუ ამას ხედავს
და სიკვდილს კიდევ შეუშინდება.

მივჩერებივარ ცასი გაკვირვებით
და მეც ამიტანს სიცოცხლის ფეთქა.
ვაჟაფშაველას ვსუნთქავ ფილტვებით
ხიმიკაურის გული ჩამედგა!..

ფასანაური
1927 წ.

— : —

ოთხი მაუზერი

პოემა

თავი მეორე

ნატანებიდან ოზურგეთამდე
ოთხნი ჩავსხედით ეტლში მგზავრები.
— „აბა, ბიჭია, თუ ძმობა გწამდეს,
ააჟღარუნე ბარემ ზარები.
ოთხნი ერთ ეტლში ვზივართ და კმარა,
ნუ დაგძლევს მეტი სიხარბე, ბიჭო,
ხელავ ცხენები როგორ გამხდარა,
ზედმეტს ნუ სტანჯავ, ჩემმა მზემ გიჯობს“!..
მეეტლეს სოფლის მასწავლებელი
ეუბნებოდა მოგრძო თმიანი, —
ის კი იძახდა:
„ვინ ხარ წამსვლელი,
ადგილი დამრჩა მანეთიანი“!..
და როგორც იქნა ჩვენ მოგვემატა
მგზავრი მეხუთე.
დაჯდა კოფოზე.
მე არ ვეცდები ეტლი დავხატო,
იქნებ ეს შევსძლო კვლავ, თავის დროზე.
მგზავრებს თანდათან თქვენ გაეცნობით,
კვლავ შევგვხვდებიან გზაში ახლები.
მეხუთე მგზავრმა დამწვარი გრძნობით
ამოიოხრა:
აჰა, ძაღლები!..
მოაჭენებდენ ცხენებს.
ბუქ-ბუქად
მტვერი დაგუბდა ვიწრო შარაზე.
— ეგ არამზადა დღეს ცხოვრობს მუქთად,
რადგან გაჰყიდა ძმები ფარაზე.
— ვინ არის?
— განა არ იცნობთ ძმებო?..
ჯაშუში, მტერი ახალთაობის.

და გაგვისწორდენ ჩვენ ცხენოსნები, —
იგი, პირველი — გველი ჭაობის
თავს აქიციანებს.

გაალო პირი:

— შენ გეუბნები, შესდექი... ვირო!
თუ გაგილესო გინდა ეგ ცხვირი!?!..

* * *

გაჩერდა ეტლი.

ჯაშუშს ახალი

დაუკრავს მხრებზე დღეს პაგონები

ეს გაიძვერა, ლაჩარი, მხდალი

ეხლა ვაჟკაცობს თავმოწონებით:

— რად მოგიშვია, ბიჭო, ეგ თმები!

მიმართა ყიფად ჩვენს მასწავლებელს. —

— პროპაგანდისტი ალბად იქნები,

ჰგევხარ ბუნტოვშიკს. ბრბოს ამჯანყებელს.

წინადადებას გაძღვევ ეს ბუდე

არ დავინახო შენს გამხმარ თავზე!

შენ კი ვინა ხარ,

რომ მიცქერ მრუდათ,

გინდა მათრახი წაგითავაზო!?

ეს მე მომმართა განრისხებულმა

მაგრამ გადავრჩით.

გაგვიშვა ხელი.

კვლავ ააყენა ბული კრებულმა...

— „უნდა მოვნახოთ რამე საშველი“! —

ყველა თანამგზავრს ეს გვითხრა გულმა.

— ერთი შეხედეთ როგორ ვაჟკაცობს,

ის საძაგელი, ის კაცის გლახა.

— ეჰ, ჩემო ძმაო, მაგ დაფეხვილმა

მთელი გურია გაამათრახა.

* * *

ერთსულოვანი იყო მგზავრების

აღშფოთება და გულის წუხილი;

გურულს არ უყვარს ჰმალოს ჯავრები,

ვერც შეაშინებს ავდრის ქუხილი.

მოხუცმა მგზავრმა თეთრწვერიანმა,

ყალიონი რომ დაბერტყა ცერზე,

დადინჯებულმა, სიტყვა-წყლიანმა,
მარცხენა ხელი მოივლო წვერზე
და სიტყვა:

— ბიჭებო, რას მოვესწარიტ,
ერთი წუბაკი გვაფურთხებს ყველას,
ხალხი რას ითმენს მე მიკვირს სწორედ,
ამ საქმეს რამე უნდა ეშველოს.
თქვენსავით ვიყო მე ახალგაზრდა,
ტყეში გავარდნის არ მეშინოდეს, —
ჩავუსაფრდები გზაზე ანაზდათ,
რომ სიზმარ-ცხადი არც კი იცოდეს.
და ჩავუგდებდი ყურშუმს ხახაში
მაგ კაცის გლახას, მაგ ღორის ნაგროს!..
მოხუცი თუა ასეთ ექსტაზში.
ჭაბუკმა თავი როგორ იმაგროს.

* * *

მეხუთე მეზავრმა,
ეტლის კოფოზე
რომელიც იჯდა,
სიტყვა მღელვარებით:
— მე გადავსწყვიტე...
ხედავთ მაუზერს!
სამიჯ კვლავ მომაქვს...
მომეხმარებით!?!..

.

— : —

ნეტა ვინ არის!!..

— !.....

საკვირველია!...

მომარაგებულ რევოლვერებით...

ახალგაზრდაა, პირტიტველია,

არ შეუჯოშავს სახე წვერებით.

მაღალი, ხმელი და სახე-სუფთა,

წელში წვრილია, ბეჭებში — ბრტყელი,

პატარა შრამი, გარტყმული შუბლთან,

თითქოს ნიშანი არის სახელის.

ვინ არის?

!?!.....

ასე დაურიდალი

სისონა იყო წინათ, დარჩია,

მას გული ჰქონდა ალალ-მართალი,
ხალხმა რომ აქო, გამოარჩია.

ვინც უნდა იყოს.

ყველა ჩვენგანი

მას აღტაცებულ სურვილით უმზერს,
ზოგი შეჰნატრის მკლავებს მაჯაგანს,
ზოგი შრამს უცქერს. ზოგიც მაუზერს.

—:—

მოხუცს, რომელიც ღელავდა გრძნობით,
პირველს აღმოხდა კითხვა გულიდან:
— ყმაწვილო, მე თქვენ თითქოს მეცნობით,
ვისი შვილი ხართ, რომელ სოფლიდან!?!..

— ჯარისმან, თქვენ არ გატყუებს თვალი,
თქვენ მამაჩემთან ყოფილხართ თვისად,
მამაჩემი ხომ იყო ნაცვალი,
თქვენ რომ იყავით მამასახლისად.

ჩემი სოფელი არის ზეგანი, —

გურიანთაში ერთი ქედია;

მე ალბათ მიცნობს ყველა თქვენგანი;

მე ვარ ფირალი ბეგლარ ბედია.

—:—

მისი ამბები ჩვენ გაგვეგონა,

ბეგლარ ბედია ვიცით ვინც არი:

სახით ლამაზი, როგორც გოგონა,

გაბედულია როგორც აფთარი.

საკითხი სწყდება ვხედავ მარტივად,

უკან დახევა არის ლაჩრობა.

შავტრუხა ბიჭმა წარმოსთქვა ცივად:

— იარალი გვაქვს, რად გვინდა ბჭობა.

მე მქვია გოჯა — მეტი სახელი,

რადგან დაბალი ვარ როგორც მხედავთ,

მაგრამ სროლაში არ მითრთის ხელი,

მეც თქვენთანა ვარ,

თქვენ თუ გაბედავთ!

მერე თვალები მე მომაჩერდენ

საფრთხე სიხარულს გადაეკონა,

თუ ანგარიში იქ ჩამაგდებდენ

თექვსმეტის ყმაწვილს არც კი მეგონა.

მასწავლებელმა მითხრა:

— ძამიკო!

მაღალი კი ხარ, მაგრამ ხარ ბავში,
ჩვენ დიდები ვართ, შენ ნუ აგვყვები,
შენს გზაზე წადი,
შენ ეტლში დარჩი!
მე გავიფიქრე — მათ თუ ავყევი
დავაგვიანებ ალბათ სკოლაში,
მაგრამ ეჰ რა ვსთქვი — განა მხდალი ვარ,
განა მჯობიან სხვები სკოლაში.
თანაც ტოლებში დავიტრაბახებ,
რომ მოვაშორე მავნე გურიას
და მღელვარებით წამოვიძახე:
— თქვენთან წამოსვლა გულით მწყურია.

* * *

— ბიჭებო, კარგად მოიფიქრევეთ,
— ისევ მოხუცმა დაიწყო სიტყვა —
პირველი: ფიცი — არას შემთხვევით,
არვინ გაიგოს რაც ჩვენში ითქვა.
ბიჭია, შენც ხომ ყურობ ამ ამბავს,
თუ ქთამი გინდა მოგცემთ,
თუ არა,
არ შერცხვე თორემ წაასაკრებ თავს.
— რას ამბობთ,
მოკვდეს მაშინ ბიჭია,
თუ ვინმემ ნახოს თავსლაფდასხმული,
მეც გამეგება, ძმავ, პატარაი,
მეც კაცი ვარ და კაცის მაქვს გული!..

* * *

მივდივართ.
უკან დაგვრჩა მერია.
ბჭობენ: სად, როგორ ჩავუსაფრდებით.
თავში ფიქრები მე ამერია,
მე პეპელასთან მივფრინავ ფრთებით.
პროგიმნაზიის ეხლა ეზოში
ალბათ სეირნობს თეთრი წინსაფრით,
თუ ინგუშებმა დამჭრეს თეძოში,
ის რომ გაიგებს მოკვდება ზაფრით...
მამაჩემი ხომ მთლად შეიშლება.
პირმშო შვილი ვარ ნასათუთები,

მაგრამ დახევა არ შეიძლება,
სირცხვილს როგორ ვსჭამ, ვერ დავბრუნდები.
გავსცდით წისქვილებს, სუფთა მდინარეს,
შორი სოფლიდან გვესმის ნადური, —
ლამაზ მხარეში ფიქრებს მწუხარეს
ცოდვა კი არის ჰქონდეს სადგური.

* * *

გაცხარებული გაჩაღდა ბჭობა,
ქება-დიდება ახალთაობის.
ტერორისტების კაი ბიჭობა
ერთი საგანი იყო დაობის.
— უკვე საცაა ისინი აქეთ
დაბრუნდებიან.
გადავსჭრათ ბარემ:
სად გვირჩევნია რომ ჩავუსაფრდეთ,
გასაქცევადაც რომ გვექნეს არე.
— ერთი ისიც ვსთქვათ, — საქმე რომ წახდეს,
კომიტეტიდან არა გვაქვს ნება!
— ძალლი ძალღურებ უნდა ჩაძალღდეს,
წინააღმდეგი ვის რა ექნება!...

— — —

პ რ ო ზ ა

გრიგოლ რობაქიძე

ფ ა ლ მ ს ტ რ ა

რომანი

კამარა მესამე

მისტერ მაკ კოლახს გამოელვიდა.

დახედა საათს. 10. არ იამა. საქმის კაცს ასე გვიან არ უნდა ელვი-
დებოდეს. ალბად „ვერონალმა“ გადააჭარბა. მისტერ მაკ კოლახ ზო-
ლო დროს, — თუ ასეთ საშვალეებას არ მიმართა, — კარგად ვერ იძი-
ნებს. მაგარი ძილი კი ენერჯის ასალვივებლად ყველაფერია. არა:
სხეული მისტერ კოლახის იძინებს, ხოლო სხეულში ტვინი ვერ ის-
ვენებს. მაკ კოლახის ტვინი ძილშიაც მუშაობს ქვეშეცნეულ. სწო-
რედ ისე, როგორც ტვინი სტუდენტის, რომელმაც სასწრაფოდ გა-
მოცდა უნდა ჩააბაროს, — იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ სტუდენ-
ტის ტვინი ფორმულებს იმეორებს ათასნაირს, მაკ კოლახის ტვინში
კი მარტო ბირჟის ციფრები დარბიან. ასეთი ტვინისათვის „ვერონალ“
გამოსადეგია და მაკ კოლახ არც უწყდება ამ უებარ საშუალებას
„გადაცილებისათვის“.

წამოდა მისტერ. მივიდა სარკესთან. ჩაიხედა. ასარკული სახე მი-
სტერ მაკ კოლახს არ მოეწონა. ქუთუთოები დასივებოდა სახეს. თვა-
ლების ქვემოკანი გუდაფშუტასავით ჩამოშვებულიყო. კანს ფერიც
გუდაფშუტის ჰქონდა. შემდეგ — წვერი: გუშინ გაპარსული. ხოლო

წვერის თეთრი წვეტები საშინლად უკარგავდენ იერს სახეს. მაკ კოლახ მოიღუშა: თითქოს მკვდარს შეხედა უცბად გაცოცხლებულს. გაახსენდა: სიკვდილის შემდეგ ცხედარს თმა ეზრდება კიდევ. გააზრიალა ტანში. ერთი კიდევ შეხედა სახეს, — თითქო სხვისია, — და სწრაფად გამობრუნდა.

შემდეგ შეუდგა ტუალეტს.

ჯერ კბილები გამოირეცხა. კბილებიდან 18 ჰქონდა თავისი. დანარჩენი — ხელოვნური, ოქროსი. ნამდვილი კბილებიდანაც ორიც არ იყო ჯეროვანი. მიუხედავად მრავალნაირ ხეხვისა და ხვეწისა, „ღვინის ქვა“ ყველაზე მოდებილი ჰქონდა: შიგა და შიგ ეს ქვა ლოჯივით იყო წამოურჩებული. მაშინ კბილი ბებერი ცხენის კბილს ჰგავდა: ყვითელს, შეღრღნილს, გადაცვეთილს.

კბილები რომ მოათავა, პირის პარსვას მიმართა. მოიცილა მოთეთრო წვერები. აიღო ცხელი ტილო და იწყო მასსაჟი. მაკ კოლახს სიამე უცოცხლდებოდა: სარკეში ხედავდა ფარაოს სახეს, თანდათან მოსულიერებულს. ცხელი ტილოთი თვალების ქვემოკანიც დაიზილა — (მაკ კოლახმა იცოდა მასსაჟის ხერხები). წარმოიდგინეთ: გულდაფშუტები რამოდენიმეთ დაიჭიმენ და მიიმაღენ.

მაკ კოლახმა ეხლა ცხელ ვანნას მიმართა. ვანნაში ხმელი ტანი ახალისდა და გადახალისდა. ტანიც მაგრად დაიზილა. შეიშრო. მოდუნებული სისხლი აღვივდა ოდნავ. ჩონჩხმა თითქო ხორცის სხმა იწყო. მაკ კოლახის გუნებამ კიდევ უფრო იმატა.

ჩაიცვა ტანსაცმელი, თავვისფერი. გაიკეთა მაგარი საყელო, ძველებური. შეიკრა ყელსახვევი: მომწვანო აბრეშუმი წითური ლაქებით, ოთხკუთხურით. გაიკეთა მონოკლი. მოიმარჯვა ტანი. სხეულის ელემენტები თავთავის ალაგას დალაგდენ. შემდეგ — გადახვეწილი ლოყები პუდრით მოიფიფქა. დახედა ასარკულ მასკას. ეხლა მოეწონა თავის თავი. სარკიდან თითქო რამზეს მეორე იცქირებოდა უტეხი ძლევაგამოსილებით. მოკუმულ ბაგეზე ღიმილმა გადაირბინა. მაკ კოლახს სჯეროდა თავისი თავი.

ყავა და საუზმე უკვე შემოიტანეს.

მაკ კოლახ მაგიდას მიუჯდა. შესვა ყავა. ისაუზმა. სხეულის ნაწილები ახალისდენ და ამოძრავდენ: თითქო ზეთით მოალბეს მეხანიში. მაკ კოლახს მიეცა თანდათან მანქანის სიმარე: არავითარი ფიქრი, არავითარი ეჭვი, არავითარი გაოერება, არავითარი დარდი. არც გზნება მწვავი, არც ემოცია ბასრი. მხოლოდ ერთი რამ: ნება. ნება

რვალის: საცა არაა ერთი ნაოჭიც. ნება — ერთი ელემენტისაგან ჩამოსხმული: თითქო გეოლოგიური მოვლენა. მაკ კოლახ ეხლა ნებაა: უტეხი, უდრეკი, ურჩი.

შემოიტანეს გაზეთები.

გადახედა გაზეთებს. წაიკითხა დეპეშები. ჯერ ბოკსი: დემპსეი იწვევს ტონნის. შემდეგ შაჰმათი: ალენინი ემზადება კაპაბლანკასთან შესაბამელად. შემდეგ კინო: ლილ დაგოვერ გამოდის ახალ ფილმში. შემდეგ სპორტი: ნორვეგიელმა ქალმა გასცურა ამდენი და ამდენი მილი. შემდეგ პოლიტიკა: მუსსოლინი, ბრიანი, ჩემბერლენი, გერმანია, საბჭოთა კავშირი. შემდეგ ცეკვა: მგონი „ჩარლსტონს“ წირვა განმოუვიდა. ათასი სხვა რამ. გაზეთებში მარტო სათაურები იყო საინტერესო. მაკ კოლახმა გადაავლო თვალი სათაურებს. თითქო ყველაფერს გაეცნო. ბოლოს, ის ფურცელი აიღო, საცა ბირჟას აქვს ადგილი. ეს ბოლოში მოიტოვა, რომ მეტი ინტერესით (მეტი სიამითაც?!) გადაეკითხა. აქციები, ფასეული ქაღალდები, დოლლარი, სტერლინგი. მათი კურსი: ნიუ-იორკში, ლონდონში, პარიზში, ბერლინში. მაკ კოლახ აქ იყო თაგისთაგადი. აქ გრძნობდა იგი თავის თავს. საბირჟო ამბებს ისე დასცქეროდა, როგორც ჭირვეული შაჰმათისტი კაპაბლანკას პარტიას. მაკ კოლახს აქ ჰქონდა მხოლოდ გამონაკლისი: სხვაგან თუ მარტო ნება იყო იგი, აქ ამ ნებას ინტუიციაც ემატებოდა. ნაცრისფერ ფონზე წვრილი თვალეები კიდევ უფრო წვრილდებოდნენ. რუხ, თითქო გახუნებულ, თვალებიდან გუგები იწყებდნენ მინაბული დაწურვით კიაფს. ამ კიაფში იბადებოდა ფოსფორიული ინტუიცია ბირჟების, კურსების, ფასების.

მაკ კოლახმა მაგრად ამოისუნთქა: ალბად სასიამოვნო რამ ამოიკითხა. გაზეთი გვერდზე გადადო.

შემდეგ მიწვა ნახევრად ტახტზე. იწყო სხვა გაზეთის თვალღებვა. ერთს ალაგს სათაურს მოჰკრა თვალი: „მისტერ ჯიმი“. მაკ კოლახს უყვარდა ეს სახელი. „აქ რაღაც უნდა იყოს“: გაიფიქრა. შეუდგა კითხვას. პირველ სტრიქონებიდანვე იგრძნო, რომ მოთხრობილი ამბავი მეტად საყურადღებოა, და თითქო ეს ვრცელი ქრონიკა მაგრად შეკრული და დინამიურ გაშლილი ნოველლა ყოფილიყოს სტეფან ცვაიგის, ან მიგუელ უნამუნოსი, ან ლუიჯი პირანდელოსი — მაკ კოლახ დაძაბული თვალს აყოლებდა ჯიმის ამბავს.

ჯიმი მოკლე სახელია ჯემს უაიტის. იგი დაიბადა ლანკაშირის პროვინციაში. ოჯახი ღარიბი იყო მეტად. მაგრამ ჯიმს ჰქონდა ბავ-

შობიდან უტეხი ხასიათი. ათი წლის ჯიმი უკვე დამოუკიდებელ ცხოვრობდა. ჯერ: დაჰქონდა ადგილობრივი ფოსტის დეპეშები. იღებდა რამოდენიმე გროშს გასამრჯელოს. შემდეგ: იგი შიკრიკად მოეწყო მოხეტიალე ცირკში. გავიდა ხანი. ჯიმი აგურის ქარხანაში შეაგდო ცხოვრებამ სამუშაოდ. იშოვა ფული. ცხრამეტი წლის ჯიმიმ ას სტერლინგად იყიდა სწორედ ის ბალაგანი, საცა იგი საგზავნ ბიჭად იყო წინად. შეძენის ნდომა მატულობდა. თანვე — უნარიც და მოხერხებაც. ჯიმი იყიდა აგურის ქარხანაც და საფოსტო განყოფილებაც. იყიდა აგრეთვე საქალაქო მანუფაქტურა ბრაიტის, საცა იგი ოდესღაც მხოლოდ ხუთ შილლინგს ღებულობდა კვირაში.

მაკ კოლახ შეჩერდა გაოცებული: თითქო საკუთარ ბიოგრაფიას კითხულობდა. მოსწია სიგარა და გაჰყვა ქვევით.

ჯიმი სამჯერ იყო ბანკროტი. მაგრამ მის ენერგიას ვერ ტეხდა ვერაფერი. ყოველ საქმეს ჰკიდებდა ხელს, თუ კი მისგან რამეს გამოელოდა. ერთხელ ბოკსის მატჩიც კი გამართა. ყველას ახსოვს ჯექ ჯონსონისა და შოტლანდიელ ღვდლის მეიერის სამატჩო შეხმა. ახსოვს ყველას, თუ როგორ დაამარცხა ღვდელმა სახელგანთქმული ზანგი, მსოფლიოს ჩემპიონი. ეს მატჩი ჯიმიმ მოაწყო. ჯიმი არ ისვენებდა თუ ვერ ისვენებდა. ყიდულობდა ყველაფერს და ყიდდა ყველაფერს. ყიდულობდა და ყიდდა ხერხიანი სიადვილით: ქარხნებს, ბანკებს, თეატრებს, თავლებს, საგამოფენო შენობებს. მისი ტემპერამენტი აზარტი იყო და ჯიმი თამაშობდა ყველგან: ბირჟაზე, დოლზე, კლუბში. ერთხელ ნახევარ საათში მან 35.000 სტერლინგი წააგო. წაგებას ისე ადვილად იტანდა როგორც მოგებას. არავის არ შეეძლო გამოეცნო მის სახეზე თუ მის ძრაობაში თუ მის ხელებზე, წააგო თუ მოიგო. იგი იღიმებოდა მხოლოდ. შიგა და შიგ ღიმილს ამასაც დაუმატებდა: „მე ნერვები არა მაქვს“.

„ყოჩაღ ჯიმი!“ წაიხურჩულა თავისთვის მაკ კოლახმა. შემდეგ გულში: ბედი მართლაც მისია, ვისაც არ აქვს ნერვები. უფრო მაგრად მოსწია სიგარა და განაგრძო.

ჯიმი პატივმოყვარე იყო. მას უყვარდა პოზა და თეატრალობა. იგი ამაყოფიდა ჩეკით (რვა მილიონი სტერლინგი), რომელიც მან მისცა ბედფორდის ჰერცოგს ერთ ნაჭერ მიწისათვის ლონდონის შუაგულში. არ ეშინოდა ბედის და ბედიც მისი იყო. იყო დღე მის სიცოცხლეში, როცა მან ერთი დაკვრით 750.000 სტერლინგი იშოვა. ას მილიონზე მეტი ჩაუდვია მას სხვადასხვა საქმეში. ერთხელ ჯიმი მონაკოს სამ-

თავროს ეწვია. დააპირა კაზინოში შესვლა. არ შეუშვეს: სამგზავრო ტანსაცმელი ეცვა. მაშინ ჯიშმა მიიღო რომაული პოზა და გასძახა ყველას გასაგონად: მე თავს არ ვიწუხებ ტანსაცმელის გადაცმით, ხოლო მზადა ვარ ეხლავე ვიყიდო მთელი მონტე-კარლო.

„ვაშა ჯიში!“ გაიძახოდა გულში მაკ კოლახ.

ქრონიკა თავდებოდა. მის ბოლოში გაკვრით იყო ნათქვამი, ვითომ ჯიში, რამოდენიმე წელია, ყიდულობს ჩუმად ბრიტანეთის სანავთო საზოგადოების აქციებს. ამ საქმეში, ამბობენ, ერთი ვინმე ეხმარება მას: ვინმე, რომელიც ძალიან ახლო პირი უნდა იყოს ხსენებული საზოგადოებისა, — აბოლოვებდა ქრონიკა.

მაკ კოლახ შეჩერდა.

გაზეთმა თითქო რალაც იცოდა და განგებ მალავდა მას. ან და: „იხვს“ უშვებდა და განზრახ ჰბადებდა დაეჭვებას?!

მაკ კოლახ ჩაფიქრდა:

გაზეთებს აქვთ წინასწარი ყნოსვა. ხშირად ისინი „იხვებს“ აფრენენ, მაგრამ „იხვების“ კამარა ატმოსფერულ იჭერს მოახლოებულ ამბავს. გაზეთით გაფრენილი „ჭორი“ ხანდახან სეისმოგრაფის როლს ასრულებს. (რამოდენიმე თვის შემდეგ მაკ კოლახმა იმავე გაზეთის ფურცელით შეიტყო, თუ როგორი კატასტროფით დამთავრდა ჯიშის თამაში: სწორედ მის თანაზიარს ელაღატნა მისთვის).

უეცრად მაკ კოლახმა ხელი მოავლო მონოკლს: თითქო უკანასკნელს გადმოვარდნა სურდა. შეირხა მეორე ხელიც. თითებში გარჩენილი იყო დიდი ხნის მოუწვეველი სიგარა. ხელი მოსხლეტით დაეცა და სიგარას მოძვრა გრძელი მაგარი ფერფლი. მაკ კოლახ შეირხა: თითქო რალაცას გამოერკვა. გაზეთი გვერდზე გადადო. წამოდგა და იწყო იქითაქეთ სიარული. მაკ კოლახიც ხომ ჯიშია?! ერთი ვინმე, ან რომელიმე: ამ საქმიან ქვეყანაში. უეცრად მოაგონდა ერთი საფინანსო საქმე, ჰამბურგში დაწყებული. მაკ კოლახის ხმელი ტანი აღვივდა: იგზნო ტემპერამენტი. თუ რამდენიმე წუთის წინად იგი „ნება“ იყო მარტო, ნება, ასე ვთქვათ, „თავისთავად“, ეხლა მისტერ განზრახულ საქმისათვის მოიმართა: ნებას მიეცა გეზი. აიღეწა მაკ კოლახ, აიწვა, აცეცხლდა. მაგრამ ცეცხლშიაც ცივი დარჩა ამერიკელი. იცის: იბრძოლებს, იომებს. იბრძოლებს, იომებს საქმისათვის. არ დაზოგავს საკუთარ ძალას. არ შევა არჩევანში საშვალების ასარჩევად. იქნება იგი სასტიკი, ულმობელი, შეუბრალებელი, ოლონდ..... ოლონდ კი მიადწიოს მიზანს. მაკ კოლახიც ხომ ჯიშია?! ერთი ვინმე, ან რომელიმე:

ამ საქმიან სამყაროში. მაკ კოლახ აენტო ნდომით. ნდომაში ცეცხლის ელემენტი მარტო დინამიკა იყო. დაძაბა ტვინი. ტვინში მარტო ლოგიკა იყო. მოშვილდა მთელი არსი. არსში მარტო ანგარიში იყო. წინ მაკ კოლახ! დეე იყოს: ცრემლი, ტკივილი, სიმშილი, სისხლი, უბედურება ყოველგვარი. მაკ კოლახ არ უნდა შედრკეს. ერთ წამსაც არ უნდა მოეღბოს გული. არ უნდა შეირყეს: ოდნავაც. ჯიმი მართალია: შორს ნერვები!

მაკ კოლახ მაგიდასთან შეჩერდა.

ეხლა იგი მართლაც უნერვო არსი იყო: მათემატიურ სწორი და დემონურ ლოგიკით ნაჭედი. იდგა როგორც ცივი გილიოტინა. ამ წამს მართლაც შეეძლო მას მძინარე ადამიანის ყელი სამართებლით გადაეჭრა. მაგრამ არა ვნებით, არა ღელვით, არა: ცივად, მოზომილად, სწორედ იმგვარად, როგორც ხარაზი ტყავს გადაჭრის ხოლმე ფეხსაცმელისათვის. და ეს მჭლე და მჭნარი კაცი, რომელიც გაღვიძებისას მხოლოდ სიბრალულს გამოიწვევდა მნახველში, ეხლა, ამ წამს, უშიშარ შემხვედრსაც შეარხევდა.

გადაწყვიტა: ჰამბურგს წასულიყო.

დახედა საათს: 12. უეცრად შეირხა: თითქო ლითონს ჩაეშვა „რადი“. როგორ მოხდა, რომ დაავიწყდა: 11 საათზე კავასთვის უნდა დაერეკნა. მივიდა ტელეფონთან. გამოიძახა. ხმაზე იცნო მსახური ქალი. შეეკითხა: არის თუ არა „მადმაზელ კავალა“ შინ. მოესმა: არ გახლავს. მაკ კოლახ მოიღუშა. შემდეგ — ბეჯითი მოსხლეტით: „გადაეცით: საღამოს 5 საათზე — კაფე Wien... მაკ კოლახ“...

ტელეფონს ტარი ჩამოეკიდა.

ხელი კი მაკ კოლახს ჩამოეკიდა: თითქო მოტეხილი. ერთი წამით „გრძნობამ“ (ამურის?) გაურბინა სხეულს: შემდეგ — „გრძნობა“ გამოძვრა და გაჰქრა (თუ მოკვდა). მაკ კოლახ გაიმართა მხრებში: კვლავ მიეცა ტანს ლითონის სიმტკიცე. იდგა როგორც თუჯის მონუმენტი — მისტერ მაკ კოლახ. გაჰქრა ასანთი და სიგარას ცეცხლი მოუკიდა. მოსწია მაგრად — და ამ მოწევაში დაინახავდით: თითქო კაცმა სამყარო მოსწია. ბოლოს, თითქო დაცხრა — ისევ ტახტს მიმართა. მისი თვალებიდან ეხლა მართლაც გამოიყურებოდა რამზეს მეორე თუ პირველი.

ქალი შესლონგზე იყო გაშხვართული. ტანზე კიმონო ეცვა ლანდ-შაფტური მარმარის (Brocatelle d'Espagne) ყვითელი ფერის. გვერდით პატარა მაგიდა ედგა დაბალი. მაგიდა დაფარული იყო სხვადასხვა ხატული ჟურნალებით: კინოსი, სპორტის, თეატრის, მოდის. იქვე ახალი რომანი ედო ფრანგული, შუაზე გადაშლილი.

ქალს ახსოვდა, რომ მას 11 საათზე დილით მისტერ მაკ კოლახ დაურეკდა. მაგრამ აღნიშნულ დროს მან არ დარეკა. ქალს კიდევ გაეხარდა. მას არ უყვარდა მისტერის დაბეჭილი ხმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ხმა ტელეფონში ისმოდა. და ქალმა გადასცა მსახურს: „თუ ვინმემ მიხმოს — შინ არა ვარ“. მაგრამ დღეს მარტო მისტერის ხმა არ იყო მიზეზი ქალის გარინდების.

ქალი ახლად მოსული იყო ევროპაში. მას მოსწონდა დიდი ქალაქების ხმაური: მრავალსართულიანი შენობები, უბოლოო ქუჩები, დაქსელილი მითოლოგიურ ობობას მიერ, მუსიკ-ხოლლები, კინოები, თეატრები, კაფეები, მაღაზიები, რკინის-გზები (მიწაზე და მიწის ქვეშ), ტრამვაები, ომნიბუსები, ტაკსები უთვალავი, ხალხის მასები დენა-დაულეველი. ხშირად შესცურავდა ხოლმე ქალი ამ რიტმების დენაში: ხდებოდა ერთერთ მათ რგოლად, მოლექულად. თავი თითქო ავიწყდებოდა ქალს: მისი „მე“ სადღაც სულ ძირსა და ძირს იყვინებოდა. სხეულის ძრაობა კი რაღაც გამძაფრებულ ხილულობას ღებულობდა: თითქო მთვარეული ხდებოდა იგი, რომელიც უფსკრულზე გადებულ ხიდზე ისე გაივლის, რომ ფეხიც არ აუცდება. ქალის შეცნობა შორეულში მიდიოდა: გადადიოდა ქვეშეცნეულში, თითქო თვალღია სიზმარს ხედავდა. მაგრამ ხშირად თვალღია სიზმარი ჰქრებოდა, სომნამბულას რაღაც აღვიძებდა — და გრძნობდა ქალი უეცრად, ბურუსიდან გამოსული: თითქო თავს დაეცა მას ნადირის ბოღმა. საშინელი, როგორც გაღესილი სამართებელი უცბად გაგიჟებულის ხელში. ქალი მაშინ შინ ბრუნდებოდა. მაგრამ აქ მას მარტოობა უცდიდა: მძაფრი, აუტანელი. ოთახში მაშინ იგი ისე გრძნობდა თავს, როგორც ხომალდის კაბინაში: როცა ზღვაზე ღელვაა და დაწოლილს გული ერევა. მისი გუნება „ზღვის ავადობას“ ედარებოდა: უჩვევს. წუთხეს, ამღვრევს.

ეხლაც ამ გუნებაზე იყო ქალი. ჟურნალები დაეყარა. წიგნი დაეგდო. თვითონ კი, გასუდრული და თვალეზ-გაგანიერებული, ატყ-

ხილ მენადასავით სივრცეს მიშტერებოდა: მენადასავით, რომელიც ნესტოებით ჰაერს ზომავს და გამახვილებული სმენით დიონისოს მოახლოვებას გზნობს შორიდან. ქალი იწვა გასუდრული: რაღაც აგონდებოდა — შორეული.

.....

იგი დაიბადა ჩრდილო-კავკასიაში. მამა მისი იყო კაზაკი კოვალოვ, სწორედ ამ სტანიციდან, რომელიც ლევ ტოლსტოიმ თავის „კაზაკებში“ უკვდავ-ჰყო. მამა მცველების უფროსი იყო. მსახურობდა გროზნაში. მალალი, ზორბა, წითური, მკლავ-მაგარი, რუხთვალეა, ჩასხმული, ველური, მრისხანე, სისხლით დაგეშილი, მოლხინე, მოჯირითე. კავკავში ქალი ნახა. ქალი ქართველი მოხელის შვილი იყო (სამეგრელოს კუთხიდან). მოეწონა ქალი. მოეწონა ქალსაც. დაქორწინდენ. ერთი წლის შემდეგ შვილი ეყოლათ: ქალი. სახელად ელენა დაარქვეს. ქალიშვილი იზრდებოდა. იგი ქართველად უფრო გრძნობდა თავს ვიდრე კაზაკის ასულად — (თითქმის ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, როცა ცოლი ქართველია და ქმარი კი სხვა ტომის). წამოიზარდა ელენა: აივსო, დაქალდა. სწავლობდა გროზნაში. უბელო ცხენს ისე ვერავინ გააჭენებდა, როგორც იგი. ვერც „მთიულს“ ჩამოუარდა ვინმე ისეთი ცეცხლით და იერით, როგორც იგი. იყო მხოლოდ ერთი — და ისიც: არა ქალი, არამედ ვაჟი — რომელსაც შეეძლო მასთან გაჯიბრება: როგორც უბელო ცხენის გაჭენებაში, ისე „მთიულის“ ცეკვაში. ეს იყო ვინმე ახალგაზრდა ყაზი-ბეი.

ყაზი-ბეის ვაჟკაცობა მთელს ჩრდილო-კავკასიაში იყო გავარდნილი. მოსხმულობით იგი შამილის ნაიბს ჰგავდა: ისე მაგრად და სხარტად იყო აწურული ტანში. და მართლაც ნაიბს გაგონებდათ: ყოველთვის ალესილი, ყოველთვის მზა, როგორც ვეფხის ტორი, ყოველთვის „ჩახმახზე-აყენებული“, მსხვილ-მხრებიანი, მაგარ-მუხლიანი, მალალ-თეძოიანი. სახეზე ჰქონდა შამილის სუნთქვა. ამბობდენ კიდევ: შამილის ნაშიერიიო. საშინელ ცეცხლთან, რომლითაც იგი იწვოდა მუდამ, მას ჰქონდა საშინელი ნება: მაგრად მოშვილდული და ცივი. პროფილს ორბის მკაცრი იერი გადაურბენდა. უყვარდა ცხენი და ცხენთან ხმალი. როცა იგი ცხენს მოახტებოდა და გააქანებდა, აულებში იღვიძებდა შამილის ნაიბის ლანდი: და აულების ფერდობებზე სიხარული გადაირბენდა მიწის, რომელსაც პირველად მოხვდა მეწამული მზის ტორი. ხმალის მოქნევაში მას ვერავინ შეეჯიბრებოდა: ხანდახან კლდიდან გადმოხეთქილ ჩანჩქერს ხმალს შუილით

ტიტველ ტანზე გადაჰკრავდა — დახედავდა მერე ხმაღს: ერთი წვე-
თიც არ აჩნდა. ხოლო მისი ცეცხლი მისი ცეკვა იყო მთიული. როცა
იგი რომელიმე მთის-გოგოსთან ცეკვას ააგიზგიზებდა, მაშინ ყაზი-
ბეი იყო — ნამდვილი: ველური და თანვე დახვეწილი რასის შვილი.
ცეკვის შემდეგ გოგო მისი იყო: თუ ხორცი თუ არა, გულით, თვალთ.

მოხდა ერთხელ, რომ ყაზი-ბეიმ ელენა გაიწვია ცეკვაში. ქალი
გაჰყვა. ჩრდილო კავკასიონს ძვირად ენახა ასეთი შეწყობილი წყვილი:
მოხდენილობით, ელვარით. კიდევ უფრო იშვიათად — ასეთი ცეკვა,
ან უფრო უკეთ, ასეთი შებმა ცეკვაში. ვერავინ შეატყობდა, რომლის
ცეცხლი უფრო გიჟი იყო და მედგარი. ამ ცეკვის შემდგომ ქალის
გულში ყაზი-ბეი იყო მარტო: ჩუმად, უხილავად. მაგრამ ყაზი-ბეის
გული კიდევ უფრო იყო ამწვარი კაზაკის ასულით.

როცა ამ ცეკვის ამბავი ქალის მამას მოესმა, მოიღუშა: არ
იამა რაღაც.

მისმა ტანმა მართლაც იგზნო წინასწარ უსიამოვნო. რამოდენიმე
დღის შემდგომ ხუთმა მხედარმა ელენა გაიტაცეს. ერთმა მათგანმა
წინ გაშხვართა: ქალიშვილი ცხენზე. მხედარმა პირველად ძუძუები
იგზნო კვრივი, რიყის ქვებივით მაგარი — (ეს შემდეგ გაახსენდა მხე-
დარს). ქალიშვილი ბურანში იყო. მხოლოდ ხმით გაიგო, რომ ის
მხედარი, რომელიც მას გავარდნილ ცხენით მიაქანებდა, იყო ყაზი-
ბეი. პირველი, რამაც გადასერა ქალიშვილის გული, ბრაზი იყო.
ხოლო სიბრაზეში რაღაც მწვავე ეწვეთებოდა უმჩნევი (შესაძლოა
ტკბილიც). პირი თუმცა შეკრული ჰქონდა ქალს, მაგრამ, რომც არ
ჰქონოდა, იგი სიტყვას ვერ დასძრავდა: ისე იყო გატენილი (მედი-
დური რისხვით, თუ კიდევ რამეთი, რომელიც მას თვითონ ვერ გაე-
რკვია). გზობდა მხოლოდ: ვაჟკაცის მკლავებს, ცხენების თქარა-
თქურს, მხედრების ყიჟინას, გარბენილ ველებს, გარღვეულ მდინა-
რეებს. ღამე იყო, როცა უღრან ტყეში შეიჭრენ. ჩამოხტენ. ჩამოსვენს
ქალი. გაჰფინეს ნაბადი და მიაწვინეს. სასთუმლად უნაგირის ბალი-
ში დაუდვენს. მაგრამ ქალს ბალიშზე თავი არ მიუდვია. იგი იჯდა
თავჩალუნული და მდუმარე. განზე კოცონი გააჩაღეს. ენებ-აწვდილ
ალთან ქალის ლოყები კიდევ უფრო აიღეწენ. ცხენები გვერდით
ლაგამს ხრავდენ და თვალებს აბრიალებდენ. ყაზი-ბეი შორიახლო
იდგა: არც ქალს უახლოვდებოდა და არც ამხანაგებს — (რცხვენოდა?).
შემდეგ მიწვენ მხედრები. დაწოლის წინ ჰაერი ისუნთქეს: თითქო
გამოცნობა სურდათ რაიმე ხიფათის. ქალს არ ეძინა. არ ეძინა არც

ყაზი-ბეის. განვლო ხანმა: შუალამე გადავიდა. დარცხვენილი ვაჟ-
კაცი ფეხ-აკრეფით მივიდა ქალთან. დაემხო მის წინ და წაიჩურ-
ჩულა: „მაპატიე!.. მძლია შენმა სილამაზემ... გამახელა გრძნობამ“..
ქალს თავი არ აუღია. ჩურჩულითვე გასცა პასუხი: „სხვა გზით შეი-
ძლებოდა... ეხლა უფსკრულია... ჩვენ შორის“... ყაზი-ბეი მიხვდა
წამსავე ქალის ბოღმას. ბოდიში მოიხადა და ალიონზე მამას დაუ-
ბრუნა ქალიშვილი. ორი სიტყვაც არ უთქვამს ზედმეტი. განშორება-
სას მხოლოდ ნაწნავს მოჰკიდა ხელი ქალისას და კოცნით დააკვდა
მას. არც ქალს უთქვამს არაფერი. ყაზი-ბეი ცხენს მოახტა და გავარდა
დაჭრილივით.

მამას ლახვარივით მოხვდა ქალიშვილის გატაცება. აულებს მოე-
დო ეს ამბავი. ვინ რას არ ამბობდა? შეიქნა მითქმა-მოთქმა. კაზაკი
აიმღვრა რისხვით. ასეთ შეურაცხებას იგი ვერ აიტანდა. ეს ყველამ
იცოდა. მით უმეტეს: ქალიშვილი პატივ-აყრილი ეგონა. ყაზი-ბეი
მიუვალ მთებში გადავიდა: ერიდებოდა კაზაკის შეხვედრას. მაგრამ
კაზაკი, შეღვინიანებული, თვითონ მიეშურებოდა ხოლმე მთებისაკენ.
აუცილებელი მოხვდა: შეხვდენ ერთხელ ერთმანეთს. ყაზი-ბეიმ
აუხსნა ყველაფერი. მაგრამ კაზაკის მღვრია თავი არაფერს ისმენდა.
სიტყვას სიტყვა მოყვა და რისხვას განრისხება. გაიმართა ნამდვილი
ომი ხმალ და ხმალ. ომი თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა. ყაზი-
ბეის არ უნდოდა, სიკვდილი ამართულიყო კაზაკის ასულისა და მის
შორის. ამისათვის ხმალ და ხმალ ბრძოლაში იგი უფრო „მოთამაშე“
იყო: თითქო განგებ აცდენდა თავის მოქნეულს, — კაზაკის მოქნეულს
კი იგი ნადირის სიმარდით იგერიებდა. მაგრამ ამით კიდევ უფრო
ბრაზდებოდა კაზაკი. სიბრაზემ სიმარდეც მისცა ერთ წამს სისხლ-
მორეულს და მკლავში დასჭრა მოპირდაპირე. მაშინ ყაზი-ბეი ანა-
დირდა თვითონაც და ერთი საშინელი მოქნევით კაზაკის თავი ძირს
გააგორა. შემდეგ დაჭრილი მკლავი (მარცხენა) ტუჩებით მოწოვა:
მოწმინდა სისხლი და შეიხვია. გაუდგა დაღუშული გზას. ამ დღიდან
მას მხოლოდ განდობილი თუ ნახავდა. გადავარდა აბრეკად. ტოლე-
ბიც ბევრი გაჰყვა.

დაბნელდა მზე ახალგაზრდა ქალის. დედა, დიდი ხანია, მოუკვდა.
მამა მოუკლეს. მერე ვინ მოჰკლა? ყაზი-ბეიმ, სასურველმა. დარჩა
მარტო: არც დაპ, არც ძმა, არც ახლო ნათესავი. ეს ის დრო იყო,
როცა ბოლშევიკები ჩრდილო-კავკასიონს იღებდენ. ბევრი საქართვე-
ლოსაკენ გამოიქცა. ელენას გაახსენდა: ტფილისში მას დედის მხრით

მრავალი ნათესავი ჰყავდა — (თვითონაც ხომ ქართველად უფრო გრძნობდა თავს!) — და გადაწყვიტა, ტფილისს წასულიყო. ერთხელ, ღამით, როცა ხმაური მოესმა და გარეთ გაიხედა, მის წინ კაცის მაგარი ლანდი აიბართა: ეს იყო ყაზი-ბეი. ქალი შედრკა, აღვივდა. ერთი სიტყვა არ წაცდენია. ვაჟმაც მხოლოდ ორიოდ სიტყვით მიმართა: ვერ გაუძლო უნახავობას... მოესურვა მისი ნახვა... მამა?! მამა შემოაკვდა... მისი ბრალი არაა... ქალს არაფერი უთქვამს. მხოლოდ ერთი წამით ვაჟის ხანჯალის ტარს მოავლო ხელი. (ნეტავ, რა იგრძნო ამ წამს ვაჟმა?): ვაჟი არ განძრეულა. ქალმა ხელი მოაცილა. ვაჟი დანელდა. შემდეგ მოჰკიდა მის მაგარ ნაწნავს ხელი და ტუჩებთან მიიტანა. ქალი სდუმდა თავდალუნული. სურდა რაღაც ეთქვა (ალერსისათვის საალერსო?), მაგრამ უეცრად მოკლული მამა მოაგონდა და ოდნავ ადგმული თქმა ისევ შეაყენა — (არა, მამის მკვლელს ვერ ეტყვის ასეთს რამეს). თვალეზზე ცრემლები მოაწვა. ქალმა თავი დალუნა. ვაჟი მიუახლოვდა და ტუჩები ოდნავ შეახო ქალის თმას. ქალი აცახცახდა. იყო წამი, როცა ყაზი-ბეი, ეს არის, უნდა გადახვევოდა ქალის აშოლტილ ტანს, მაგრამ ამ დროს ვაჟს ღობეზე მიბმული ცხენის ფრუტუნის მოესმა. ყაზი-ბეი შეჩერდა წამსვე: ნადირის ნესტოები გაუგანიერდა, ყური უგდო — შორიდან ხმაური ისმოდა: კიდევ ახლოვდებოდა. „ნახვამდის, ჩემო მზეო!“ შეჰკივლა და ცხენს მოახტა. ქალს უნდოდა რაღაც მიეძახნა გავარდნილისათვის, მაგრამ ძახილი ყელშივე ჩაეხრჩო. შევიდა სახლში და ტირილით ლოგინზე დავარდა. მეორე დღეს ტფილისისკენ გამოემგზავრა. მთელი ღამე იმის არჩევანში იყო, დარჩეს თუ წავიდეს. „წავიდეს“ — გადაწყვიტა მასში ვილაცამ. „ყაზი-ბეის მერეც ნახავს“ — ამბობდა ვილაც.

ტფილისი უცნაური ქალაქია, ხოლო 1919 — 1920 წლებში კიდევ უფრო აუცნაურდა. გამორეკილი თუ გამოქცეული რუსები თავს აქ აფარებდნენ. სცენიდან გაისმოდა კაჩალოვის ხმა — („სამხატვრო თეატრი“ აქ იყო): ხან ეშმასა და ივანეს („კარამაზოვებიდან“) დიალოგს ორმაგ შლიდა, ხან პუშკინის „მეთევზე და თევზი“ ზღაპარს ეპიური დანელებით ხვითობად ჰყრიდა. ტფილისშივე იყო ნ. ნ. ხოდოტოვ. სცენიდან მისი ხმაც ისმოდა: თამაშობდა დოსტოევსკის მიშკინს, ან და ლექსებს კითხულობდა რუსეთზე რუსი პოეტებისას (უყვარდა მაქსიმილიან ვოლოშინის ლექსები და მათ შორის „სტენკა რაზინ“). კომპოზიტორი ნ. ნ. ჩერეპნინ კაფეში შედიოდა მთვრალი (სიმთვრალეს ვერ შეატყობდით) და ნალვლობდა რუსეთზე. შემდეგ

მუსიკაზე გადადიოდა და უეცრად წამოიძახებდა: აცადეთ ჩემს სა-
 შას — (საშა ძე იყო მისი სკვიტურ-სლავურ აღნაგობით) — აბა რა
 ჰქნას! მხატვარი იური სერგეევიჩ სუდეიკინ რესტორანს ხატავდა,
 რომელსაც ქართველმა პოეტებმა „ქიმერიონი“ დაარქვეს — (სუდეი-
 კინმა მართლაც აავსო რესტორანი ქიმერებით). მხატვარ საველი
 აბრამოვიჩ სორინს ქართველ ყელმოღერებულ თავადის ასულების
 პროფილები ტილოზე გადმოჰქონდა: „ლამაზი — მეტად ლამაზი“ ხა-
 ზებით. დრამატურგი და თეატრალი ნ. ნ. ევრეინოვ, როგორც ყველ-
 გან და ყოველთვის, აქაც „თეატრს თავისთვის“ სთხზავდა და შე-
 რჩეულ წრეებში „Самое Главное“-ს კითხულობდა. პოეტი სერგეი
 მიტროფანოვიჩ გოროდეცკი, კავკასიის ფრონტის დარღვევის შემდეგ,
 ტფილისში დარჩა და ამრავლებდა „პოეტების ცეხს“, საცა ქალი
 უფრო მეტი იყო ვიდრე ვაჟი და ერთი-მეორის „გაცნობა“ კიდევ
 უფრო მეტი ვიდრე პოეზია. პოეტი სერგეი ლვოვიჩ რაფალოვიჩი
 ჩამოვიდა ბაქოდან და არ შეუწყვეტია საწერმანქანის რახრახი, რომ-
 ლითაც იგი უთვალავ ლექსებს სთხზავდა. ვინ არ იყო მაშინ ტფი-
 ლისში? ფუტურისტებმაც აქ გადადგეს ნაბიჯი დადაიზმისაკენ. მათ
 შექმნეს ორგანო „41 გრადუსი“ — (ალბად სიცხის ნიშანი, როცა ბოდ-
 ვა იწყება).. ალექსეი კრუჩონიხს „как“-ისაგან გამოჰყავდა მთელი
 რუსული ლიტერატურა, და, როგორც დამშეული და ნაციები ქა-
 თამი ნაგავში ეძებს საკენკს, ისე ეძებდა გაძვალტყავებული კრუჩონიხ
 „СДВИГ“-ებს ლიტერატურაში. ან კი რა გასაკვირია: ქვეყანა შე-
 ქანდა და „აბრუნდი“ აზრი გახდა მისი. უნდა გენახათ, როგორ აკვინ-
 ტრიშდებოდა ხოლმე, როცა „აბრუნდს“ ნახულობდა. ამ ძებნაში
 კრუჩონიხს დიდი დამხმარეც აღმოუჩნდა: იგორ ტერენტიევი, რომ-
 მელსაც არ აკლდა თავისებური ინტუიცია. ტფილისშივე იყო ილია
 ზდანევიჩი, კაცი ნამლევა, მაგრამ გარდაქეშანის პათოსის. იგი ხმას
 ავარჯიშებდა მუდამ „Заумь“-ის წარმოსათქმელად, რომლით დაწე-
 რილი სიტყვები ალბად ასტრალურ სმენას თუ ესმოდა. დიდებული
 იყო იგი, როცა კაფეებში თავის „Смерть Гарро“-ს კითხულობდა.
 უნდა შეგეხებათ, თუ როგორ იზრდებოდა ეს პატარა კაცი და რო-
 გორ იპყრობდა თვალეზ-აცეცებულ საზოგადოებას — (ლექსის ბო-
 ლოში მართლაც ისმოდა სიკვდილის შრიალი). ვასილი კამენსკიც
 ეწვია მაშინ ტფილისს. კითხულობდა ესტრადიდან „სტენკა რაზინს“,
 და მოკვეთილი თქმა ფირალების — „Саринь на кичку!“ მოედო
 ტფილისის ქუჩებს. იყვნენ სხვებიც.

ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი. კაფე „ინტერნაციონალში“ იგი კიდევ გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი: გაიძახოდნენ — პოეზია მარტო ტფილისშიაო. პაოლო იაშვილი სწორედ ამ ხანებში თავს დაეცა ტფილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა მან, რომ ტფილისის ალექსანდრე ბოკემით და ლექსით უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის. ტიციან ტაბიძე ორპირის ჭაობში და მალარიაში ლაფორგის მთვარის სიყვითლეს ხედავდა და ლექსებში მასავით უყეფდა ამ ყბად-ალებულ მნათობს. მას ისიც ეგონა, რომ ორპირის ყანჩი ლოტრეამონის „მალდაროროვით“ დაიწყებდა დითირამბულ მონოლოგებს. გრიგოლ რობაქიძეს ამ დროს მხოლოდ ორი რამ აწვალებდა: აპოკალიპსი და დიონისო. ამავე დროს ამზადებდა იგი „ორლობის ეშაფოტს“ და „პატმოსის რიტმებს“. ქვეყანა მართლაც იქცეოდა — და მხოლოდ ტფილისი იყო ერთად ერთი ქალაქი, რომელიც ამ „ქცევას“ პოეტური მღერით ხვდებოდა — (უდარდებლობით ხომ არ აიხსნება, აღმოსავლურით თუ ქართულით?).

ტფილისი შეიქნა ფანტასტური. ფანტასტურ ქალაქს ფანტასტური კუთხეც ეჭირვებოდა — და ერთ დღეს იმავ პოეტებმა და მხატვრებმა რუსთაველის პროსპექტზე, № 12, შიგნით ეზოში, გახსნეს „Фантастический Кабачек“, პატარა ოთახი, საცა შეიძლება 10 — 15 კაცი დატეულიყო, მაგრამ რაღაც განგებით 50-მდე ეტეოდა. აქაც: მსმენელი ქალი იყო მეტი ვიდრე ვაჟი. ოთახის კედლებიდან ფანტასმები იხედებოდნენ: ისე იყო ოთახი მოხატული — (აქ მართლაც გამართლდა „41 გრადუსის“ ლოზუნგი). ეს „კაბაჩოკი“ თითქმის ყოველ-საღამო იყო ღია. კითხულობდნენ იგივე პოეტები და მხატვრები: ლექსებს თუ მოხსენებებს. მათ მიემატა სწავლული გიორგი არტემიჩ ხარაზოვ, სპეციალობით მათემატიკოსი და „განხრით“ ფროიდიანელი. დრო-გამოშვებით მექანიკურ ლექსებსაც „აკეთებდა“. იგი ყველაფერს ხსნიდა ფროიდის მეთოდით. ერთხელ ამ მეთოდით პუშკინის ტატიანას სიზმარიც ახსნა. უეცრად „კაბაჩოკის“ კარებს ვინმე ტფილისელი „მოქალაქე“ მოადგა: თურმე გაკვივებოდა სიზმარის ახსნა და ჩუმად აყუდებულყო იქვე. ხარაზოვმა რომ სიტყვა გაათავა, „მოქალაქემ“ უეცრად მსმენელ საზოგადოებას გადასცა: „ვა, სიზმრის ახსნა თუ გინდათ, ავლაბრელ ვანუას ქვრივს კითხეთ, რაღა“. საზოგადოება სახტად დარჩა. ხმაური, აურზაური. ხარაზოვს ეს შე-

ძახილიც ფროიდის მეთოდით უნდოდა აეხსნა — („მოქალაქის“ წინ ერთი სქელი ქერა ქალი იჯდა დაყურსული და ამ მეთოდისათვის ეს ბევრს ნიშნავდა) — მაგრამ ვინლა აცალა: ყველანი დაიშალენ. ხმაურში სიცილიც ისმოდა. ხანდახან კისკისიც.

ასეთი იყო ტფილისის ფანტასტიკა. მაგრამ უკანასკნელს „რეალობაც“ უყვარს. იქვე ახლო, იმავე რუსთაველის პროსპექტზე, ქვემოთ, სარდაფში, ამერიკული „ბარ“ იყო გამართული, სახელად — „არგონავტების ვარცლი“. „ბარშიაც“ ლექსები იყო, ფუტურისტული ესკიზები, სიმღერა. მაგრამ აქ სხვაც იყო: კოკტაილ „კახურს“ ეცილებოდა. იყო კიდევ სხვა, უფრო მიმზიდველი: თორმეტ ჩადედლებულ ქალიშვილებს მოჰქონდათ სტუმრებთან დაკვეთილი (სასმელი თუ საჭმელი თუ ორივე ერთად). ეს იყო ალბად იმ განზრახვით, რომ რომელიმე სტუმარი (და განა მარტო ერთი?) თავის თავს იაზონად წარმოიდგენდა (ეს უთუოდ!) და ამ ქალიშვილებში მედეას იხილავდა (გასაცნობად, თუ...). სტუმრებს (თითქმის ყველას) ერთი რამ ემჩნეოდათ: ცერი და საჩვენებელი თითი ხშირად ხვდებოდენ ცხვირს ნესტოებთან — (ეს ალბად იმის გამო, რომ ტფილისში მაშინ ძლიერ გავრცელებული იყო კოკაინი). „რეალობის“ მოყვარულთ სხვაგანაც ჰქონდათ ადგილი: ეს იყო „Павлиный Хвост“, ჭავჭავაძისა და გრიბოდოვის კუთხეში. აქ უფრო „რჩეული“ საზოგადოება იკრიბებოდა. საჭირო იყო სარეკომენდაციო ბარათი. ხშირად სმოკინგს დაინახავდით. უფრო ხშირად ქალის საბალო მოკაზმულობას. იყო შამპანური, დროს-ტარება, ქეიფი, ქალი. შეზარხოშებულნი დრო-გამოშვებით „ფარშევანგის ჰიმნის“ მღერასაც იწყებდენ, რომელიც სახელდახელოდ იყო ერთი მუსიკოსის მიერ შეთზული. აქ ხშირად მღეროდა ორდა. მღეროდა აგრეთვე საბანეევაც. განთიადისას სტუმრები იშლებოდენ. ბევრი მათგანი სასტუმრო „ორიანტისაკენ“ აშურებდა, რომლის საიდუმლო ყველასათვის გამოუცნობი რჩებოდა: არავინ იცოდა, თუ რით ცხოვრობდა „ორიანტში“ მცხოვრები — (ნუ თუ ესეც ტფილისის ფანტასტიკა იყო, ან კიდევ სხვა რამ?!).

თვრამეტი წლის ელენა უეცრად გამოჩნდა ტფილისში.

ტფილისში ლამაზი ქალი ლეგენდის ნატეხია. ლეგენდის საიდუმლო კი ის არის, რომ, რაც ლეგენდაში ექცევა, იზრდება თავისით. ლეგენდა მეტია ყოველთვის ვიდრე აღებული ლეგენდით. და კაზაკის ასული, რუსთაველის პროსპექტზე ხილული, ლეგენდის ხტილად გადაიქცა. ტფილისში მას პირველად მოხვდა სუნთქვა ბოჭემის. ამ

დროს ტფილისში ეპიდემია იყო „სტუდიისა“: დრამის, ოპერის, ცეკვის, კინოსი. ყველგან ქალი უფრო მეტი იყო ვიდრე ვაჟი და „შექცევა“ კიდევ უფრო მეტი ვიდრე სწავლა. ელენა უეცრად ბალეტ-მაისტერის მორდკინის სტუდიაში მოხვდა. ყველას ახსოვს ამ მანესტროს მიერ გამართული „კარნავალი“ საოპერო თეატრში, რომელიც ბევრისათვის ლამაზი ტანების გამოფენად გადაიშალა. და შიშველ ტანებში „მთიულ გოგოს“ ტანმა მთელი პარტერი ნახევრად ზე-წამოაყენა თვალეზ-აცეცებული — (გაისმა ხვნეშა და ხვნეშაში ცხოველის „ჰუუუ“). ეს ამბავი, წარმოიდგინეთ, „ფანტასტიურ კაბაჩოკშიაც“ შეიჭრა. მთიელი ქალის სასახელოდ ერთმა პოეტმა მოხსენებაც წაიკითხა ვრცელი — „აშტაროტ“. მოხსენებას ელენაც დაესწრო. მაგრამ მის სახეზე ვერავინ ამოიკითხა (საუბედუროდ ვერც მომხსენებელმა), იამა ეს ახალგაზრდა ქალს თუ არა. მრავალი ყმა-წვილი აიწვა მთიელი ქალისათვის, მაგრამ ვერც ერთი ვერ ახერხებდა მასთან დაახლოვებას. ქალი არ იყო მედიდური. ცხადია, არც ცივი იყო. ხოლო ყოველ ვაჟს „პირველ ნაბიჯზე“ ფეხი უსხლტებოდა მაინც. დაუახლოვდა მას მხოლოდ ერთი ჟურნალისტი: დაბალი, შავთმიანი, წყნარ-თვალეზიანი, ჩუმი. სამართებლის ხანაში იგი წვერს ატარებდა: ეს ალბად იმიტომ, რომ ღრანჭი, ცოტა არ იყოს, მოქცეული ჰქონდა. დაუახლოვდა იგი ქალს. მაგრამ ამ დაახლოვებას უფრო „მეგობრული“ ხასიათი ჰქონდა. სხვებს ქალის სიყვარული სწადდათ, მაგრამ ამისათვის წინასწარი ხიდი ვერ გაედვათ. ამის გამო ესენი განზე რჩებოდნენ. ჟურნალისტსაც სწადდა უთუოდ ქალის ტრფიალი, მაგრამ, იცოდა რა წინასწარ, რომ ამ ტრფილისაგან არა გაუვიდოდა რა, ბედს შეურიგდა და უბრალო მეგობრული დაახლოება ირჩია. არც მოსტყუვდა. ქალს უყვარდა იგი, როგორც მორჩილი მსახური, რომელსაც არასოდეს არ უჩვენებენ, რომ იგი „მსახურია“.

ტფილისიდან ელენა ბათუმს გაემგზავრა: რამოდენიმე დღით. თან გაჰყვა ჟურნალისტიც. ხოლო მთიელი ქალი უკან აღარ დაბრუნებულა. ბათუმში მან პირველად იხილა ზღვა. ქალი აიშალა. ველური თვალეზი დააკვდენ ზღვას. ქალმა იგზნო რაღაც სრულიად ახალი: ბუნებური ელემენტი — ურკვევი, რომელიც რკვევაშია მუდამ. ზღვა გადაშლილიყო მთვლემარე და გალემილი. ნელი და მძლევარი შუილი თრობად ლხვებოდა ქალის ამახვილებულ სმენაში. აქ იყო რაღაც პირვანდელი, პირველქმნილი: ხალასი და ცინცხალი. არსად ეპიგონური, მით უმეტეს — არსად პლაგიატი. ზღვა იშმუშნე-

ბოდა, ირხეოდა: თითქო განცხრომის შემდეგ ნელდებოდა დამცხრა-
ლი. ლივლივა ტალღებში იშლებოდა მარადი „დენა“. ათქორილ ქა-
ფებში — მარადი „ქცევა“. დენა: საცა სიცოცხლე იშვის თვითონ.
ქცევა: საცა გაქრობას ხელით ეხები. პირველი — ტკბილი. მეორე —
საშიშარი. და ორივე ერთად: წიაღი მიმზიდველი, საშო შორეული,
საცა გზნობ ფესვებს უკანასკნელს, თანეზრდები ყოველ ელემენტს.
არც თავი და არც ბოლო, არც კიდე და არც ზღვარი. რალაც უბო-
ლოო, დაუსრულებელი, საცა იკარგება ნაპირი და მასთან ერთად
ინთქება „პირი“. ზღვა — ბუნების უპიროვნო ელემენტი: ბნელი, ძა-
ლუმი, პირველ ქაოსის ატევილი ტანი... ქალი დაიღუნა. აიღო სა-
დაფი. მიიდვა ყურზე. სადაფში გარჩენილიყო ზღვის შუილი — (თუ
პირველქმნილ ქაოსის?). ქალი შეირხა: ვერ ერკვეოდა. იდგა გაო-
ცებული: ნადირივით. ველური თვალი ვერ აერთვა. თვალი იყურსე-
ბოდა ლუშად. თვრებოდა სხეული... შიშნარევი გზნებით უახლოვ-
დებოდა ქალი ზღვას. თვალავდა მის ატევილ ზურმუხტის მასსებს.
ეშინოდა, მაგრამ მაინც მიდიოდა: ზღვა იზიდავდა მას, თითქო თავი-
სიანს. ერთხელ, მზის დახრისას, ქალის ტიტველმა ტანმა პირველად
იგემა მისი მოლურჯო ჩქერები. ქალის ტანს ათასი თვალი აესხა:
ყოველ თვალში საშო ისარკებოდა უძირო. ტანი გზნობდა, რომ იგი
ზღვის ელემენტია, რალაც განგებით მის საშოს მოცილებული. ქალს
ნდომა წაერთვა თავისი: ყოველი სურვილი, მასში წარმოშობილი,
ქალს „სხვისად“ ეჩვენებოდა, ხოლო, რა ტკბილი იყო მისთვის ეს
„სხვა“: დეე იყოს სურვილი „სხვის“ — ქალი მას გაჰყვება შორს-
შორს, თუ გინდ კიდევც რომ შთაინთქეს და გაითქვიფოს მასში. ქა-
ლის ველურ თვალებს მთვრალი დანელება გადაეფარა, როგორც და-
მძიმებული სქელი ფოთოლი მუხის. ტანმა იგზნო ქალობა. გამოერკვა
ნეტარ თვლემას. გამოვიდა ნაპირზე. ტერფები შეეხენ მხურვალე ქვი-
შას. ტანმა იგზნო „მიწა“. მოვარდენ ტალღების ტუჩები და ფეხები
დაულოკეს: და იგზნო ქალმა თანვე: ამიერიდან „ზღვისაა“ იგი, რო-
გორც მისი ელემენტი. ქალმა თავი დაღუნა: მზემაც დადალა.

მთიელი ქალი აიმღვრა.

ჟოზეფ — (ასე გაუფრანგულეს ჟურნალისტს სახელი: ზოგმა ირო-
ნიით და ზოგმა ალერსით) — ჟოზეფ ამჩნევდა ქალს რალაც ცვლი-
ლებას. მან იწყო სასიყვარულო ლექსების წერა. მაგრამ ლექსებით
ტფილისელ პოეტებმაც ვერ გაართეს მთიელი ქალი და საბრალო ჟურ-
ნალისტი აბა ამას როგორ შესძლებდა — (თუ გინდ ზღვის დახმარე-

ბითაც). ქალი ინისლებოდა, ვერ ისვენებდა, თავის ტანში ვერ ეტეო-
და. მაშინ ჟოზეფმა გადაწყვიტა, სტამბოლს წაეყვანა იგი. ქალი და-
ფიქრიანდა. ორიოდე წუთის შემდეგ შეეკითხა: „ფული?“ „არაფე-
რია, — მიუგო ჟურნალისტმა: ათას დოლლარამდე დაგროვილი მაქვს,
სტამბოლში კიდევ სხვა იქნება“. ქალი დასთანხმდა „სადათ“: ვაჟმა
ვერც კი შეატყო, იამა თუ არა. ეს ის დრო იყო, როცა ინგლისე-
ლები ბათუმს სტოვებდენ. მთიელი ქალი და მოხეტიალე ჟურნალის-
ტი გაჰყვენ ინგლისელებს.

სტამბოლი ივსებოდა ემიგრანტებით. გამრავლდა კაფე და შან-
ტანი. ემიგრანტების ცოლები და ასულები, დაყურსული ქალები და
ათქვირებული ქალიშვილები, გახელებულ სკასავით მოედვენ კაფე-
შანტანებს. ერთს ასეთს შანტანში მთიელი ქალიც მოხვდა როგორც
მოცეკვავე. საქმე მიდგა საარტისტო სახელზე. ჟოზეფმა ესეც გამოუ-
გონა. „ელენა კარგი სახელია, — უხსნიდა იგი ქალს, — თუნდაც მშვე-
ნიერ ელენეს ტრადიციით, მაგრამ იგი ხშირია და უკვე გადაცვეთის
პირი უჩანს. არც „კოვალიოვას“ უშავს რა თავისთავად, მაგრამ იგი
ევროპიელისათვის ძნელი წარმოსათქმელია. უნდა სხვა-რამ გამო-
ვძებნოთ. შესაძლოა იმავე „კოვალიოვისაგან“ გამოვიყვანოთ ეს სა-
ხელი. „კოვალა“ რომ ვთქვათ, არ ივარგებს: საქმეს აფუჭებს „ო“
და ისიც ორი. „კოვალა“ რომ ვთქვათ, არც ეს ივარგებს: რუსული
ზმნის ხვეული ეგონებათ. მე მგონია, ყველას აჯობებს „კავალა“.
ევროპიელებისათვის „ლასს“ ვავაძლიერებთ მეორე „ლასით“: გამოვა
„კავალლა“: აქ ფონეტიურადაც მოჭრილია ქალის ელვარი“... ჟურ-
ნალისტმა ჩაიციინა. ქალს გაელიმა: ეტყობოდა თანახმა იყო. და მთიე-
ლი ქალი ამიერიდან მოინათლა როგორც „მადმაზელ კავალლა“. ჟო-
ზეფის ჭკრეტა მართალი აღმოჩნდა: ყველას მოსწონდა ეს სახელი.
მოსწონდათ აგრეთვე ქალის ცეკვა. ასეთი ცეცხლი არც რუს) ემი-
გრანტებს ენახათ, არც ოსმალოებს, არც ლევანტინელებს და არც
ევროპიელებს. ცეკვავდა კავალლა და ჰონორარსაც კარგს იღებდა.
მაგრამ ცეკვის შემდეგ კიდევ უფრო ინისლებოდა და კიდევ უფრო
იღუშებოდა იგი. ვაჟი, რომელთან ერთად იგი ცეკვავდა, ყაზი-ბეი
არ იყო, — და ქალის ტანს სწვავდა ვაჟკაცის მოგონება.

ამას კიდევ სხვა რამ დაერთო. შანტანებში მოსწონთ ქალის ცეკ-
ვა, რასაკვირველია. მაგრამ შანტანებში სხვა-რამეც მოსწონთ: შე-
საძლოა ეს „სხვა“ უფრო — ვიდრე პირველი. ხოლო კავალლა ამ
„მეორეს“ როგორ გაიღებდა?! ჯერ უცადეს. შემდეგ ურჩად მონათ-

ლეს. ბოლოს შანტანიდანაც გამოაძევეს. დადგა ცუდი დრო. ჟოზეფს
 დოღლაჩემა გამოელა. დაპირებული სამუშაო ვერ იშოვა. სიმშო-
 ლი კარს მოადგა. კავალლასაც ცოტა დარჩა გადანახული. უკლეს სია-
 რული „the dansant“-ზე „თოქატლიანის“ სასტუმროში თუ „პერა-
 პალასში“. ტანსაცმელიც შეეღანძღათ. ჟოზეფის ტვინმა იწყო დინა-
 მიური მუშაობა. ერთ საღამოს მოუთხრო ქალს: „დამიგდე ყური,
 კავალლა, — (უკვე „შენობით“ ელაპარაკებოდა) — მე ბევრი რამ მი-
 ნახავს ქვეყანაზე, მაგრამ შენისთანა არაფერი. ბედნიერი ხარ დიდათ,
 რადგან ასეთი სილამაზე ჯილდოა ბუნების. მაგრამ უბედურიცა ხარ:
 ვინ უნდა მონახო შენ სიყვარულისათვის, ან, ვინ უნდა დაგაბრმავოს
 შენ ტრფიალით? მე ასეთი არ მეგულება. მე ბევრი მიკითხავს და
 ეხლა მახსენდება ერთი პოეტის ნათქვამი. იგი ამბობს: კოსმიურად
 თუ ავიღეთ ქალი და ვაჟი, ნათელი გახდება ის მოვლენა, რომ ვაჟი
 „პერიფერიულ“ წვდება ქალს. მას მრავალი მაგალითი მოჰყავს ძვე-
 ლი მითოსებიდან. არ მახსოვს. და თუ ეს ასეა საერთოდ, რაღა უნდა
 ვიფიქრო შენზე?! შენ ვაჟი სულ ვერ მოგწვდება: ძალა არ ექნება,
 გძლიოს სიყვარულით“... ჟოზეფ შეჩერდა. ქალი სდუმდა: თითქო
 შინაგან კითხულობდა თავის თავს. „მერე?“ შეეკითხა ჩუმად ქალი.
 „მერე და, აქედან ასეთი დასკვნაა პირდაპირი, — მიუგო ჟოზეფმა:
 შენ შეგიძლია მხოლოდ სიყვარულის „გასაჩუქრება“, სხვა არაფე-
 რი“.. ჟოზეფ შეჩერდა. ქალი კიდევ უფრო დადუმდა. შემდეგ ერთ-
 ბაში მოსხლეტით: „კიდევ რა?..“ „კიდევ რა?! — დაფიქრდა ჟოზეფ:
 კიდევ ერთი ამბავი, რომელსაც წინასწართან აქვს კავშირი. ეს ამბავი
 შემდეგია: საისში ქალღმერთის ქანდაკი იყო ერთი. ქალღმერთი ბურ-
 ვილით იყო მოცული. ქანდაკის საფეხურზე ეწერა: „მე ვარ ის, რაც
 იყო და რაც არის და რაც იქნება, და არც ერთს მოკვდავს და არც
 ერთ უკვდავს არ აუხდია ჩემი საბურველი“. ამ ქალს ეგვიპტურად
 „ნეიფ“ ერქვა. საკვირველი ისაა, რომ ეს ქალი გადმოცემით ავხორცი-
 იყო და მრუში“... „არ მესმის“: ჩაილაპარაკა თავისთვის ქალმა...
 „არც მე მესმის სავსებით, — აიღო ისევ ჟოზეფმა სიტყვა, — მაგრამ
 ცოტა რამის გამოცნობა აქ მაინც შეიძლება: მე მგონია, ეს სიტყვები
 დასტურია ზემოთქმულის—ქალს ვაჟი მხოლოდ ზერელედ წვდება“...

ქალმა თითქო რაღაც გაიგო. დადუმდა. თვალები კიდევ უფრო
 დაენისლა: მხოლოდ ხანდახან ისვრიდენ ელვარს, როგორც ნადირია
 თვალები სიბნელეში. ტანი აემღვრა ქალს. მოიღუშა. აიმრიზა. აი-

ლევია. აიწვა. აცეცხლდა. ხოლო „ცეცხლში“ აღარ იყო სიხარული. ვაჟი მოსცილდა.

ხანი მიდიოდა და ჭირი მოდიოდა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა სტამბოლში მისტერ მაკ კოლახს. ცივი და ხმელი ამერიკელი აენტო, კავალა რომ იხილა. აედევნა. გაეცნო. კავალა მიხვდა მის ნდომას. დაფიქრდა: „შეიძლება „ნეიფ“ მართალია“... ცივად, სადათ, მექანიკურად მისცა თავის თავი ცივს, სადას, მექანიკურ ამერიკელს. გამოჰყვა ევროპაში. ხასად მისცა თავის თავი მაკ კოლახს.

.....

მისცა კი?! და გაშხვართული ქალი წამოვარდა. გუგები გაგანერდენ: თვალები მთლად მოიცვეს. გული ფეთქდა ახლად დაჭერილ მწყერივით. ჰბორგავდა ქალი. „სტყუის ნეიფ!..“ „სისულელე მოროშა შემპარავმა ჟოზეფმა!..“ რის მექანიკა, — როცა მისი ხელისჩამორთმევაც კი ორგანიულია, მზერაც!.. ტანს ჩაიცვა და გავიდა. მანტო არშობილ ხბოს ტყავისაგან იყო ნამზადი. ქუდიც. ქალი. მიდიოდა ქუჩაში. მიმავალთა თვალები ჩერდებოდენ: ქალს ჰქონდა რაღაც უცხო იერი, ნადირის ელვარი. მიდიოდა. მიწას ვერ ხედავდა: მიწის მაგიერ აქ ასფალტი იყო და ქვა. სული ეხუთებოდა. თითქო: ეს სახლები, ეს ქუჩები, ეს თეატრები, ეს კინოები, ეს მუსიკ-ხოლლები, ეს რკინის-გზები, ეს ტრამვაები, ეს ომნიბუსები, ეს ტაკსები, ეს მასსები — თითქო ყველაფერი ეს მაკ კოლახია თვითონ. ქალს რაღაც საზარელმა დაუარა ტანში: თითქო მხრებზე ასფეხამ გადაუარა. დაუძახა შოფერს. მოგორდა ბურღლუნით ავტო. შეხტა ავტოში ძუ ლეოპარდის მოსხლეტით — და გაემართა ქალაქის გარეთ. არც ავტო იამა, მიწა რომ იხილა. ჰო, რა იქნება, ჩრდილო-კავკასიაში რომ იყოს ეხლა!.. როგორ მოახტებოდა თავის „ლურჯას“ და როგორ გააქანებდა მას ატეხილ ველებზე!.. ქალის სურვა ისე ძლიერი იყო, რომ მოეჩვენა კიდევ: თითქო მართლაც მიაჭენებს მუხლმაგარ ლაფშას... მიჰქრის, მინავარდობს: ველური და თავისუფალი... უკან კი ცხენის თქართქური მოისმის... ნეტავ, ვინ უნდა იყოს?! ქალი უკან ვერ იხედება... მიაჭროლებს ალესილ „ლურჯას“... წინ — პატარა მდინარეა ხრამში... უახლოვდება... უნდა გადახტეს... ცხენის თქართქურიც ახლოვდება, მისკენ გადევნებული... მივიდა ხრამთან... გადახტა ცხენი... გავარდა ნაპირს ტალღებით ავერცხლილი... უკან დგვეფა გაადინა მეორე ცხენ-მაც... ერთი წუთი — და ქალი ცხენიდან მოხსნა მხედარმა... გაშხვარ-

თა წინ და გაეჭანა ნადავლით... სიგიჟე მოედო ცხენის ფლოქებს..
ქალს დაეცა ცეცხლის სუნთქვა: ტანმა იცნო ყაზი-ბეის მკლავები...
ავტო შეხტა: ქვას გადაუარა... ქალიც შეხტა: გამოერკვა... დახედა
საათს 4. 35... „კაფე Wien“ — გასძახა შოფერს... შოფერმა ავტო
მოაბრუნა... ქალი გაემართა კაფესაკენ... თითქო სისხლის-ასაღებად...
სახე ქვაური იყო... კრთოდა ხანდახან... კრთომაში ხტებოდა რისხვა
წაგუბარი...

(დასასრული მეოთხე კამარის — გაგრძელება იქნება).

— : —

უცხოეთის ლიტერატურა

აბელ გარსია ასორინ

ვინცენტე ბლასკო იბანიესი

ჩემი ძვირფასი მასწავლებელი *) გარდაიცვალა ამა წლის იანვრის 28-ს, ნაშუალამევის 3 ნახევარ საათზე. უკანასკნელ წუთებს დაესწრო მისი ორი შვილი — მარია და ზიგფრიდი, რომელთაც სიკვდილს ორი საათით მოუსწრეს. მრავალ ბრძოლაში გამარჯვებულმა მისმა გულმა ვერ გაუძლო სენს, რომელმაც რვა დღეში ბოლო მოუღო ამ მუხასავით ძალოვან ადამიანს. საფლავში ჩავიდა არა მარტო ესპანელი მწერალი, არამედ შეუდრეკელი მებრძოლი თავისუფლებისთვის.

მასწავლებლის სიკვდილის ამბავი რამდენსამე საათში მთელ დედამიწას მოედო. ტელეგრამა ტელეგრამაზე მოდიოდა. ჯერ კითხულობდენ მის ჯანმრთელობას, ხოლო შემდეგ დედამიწის ყველა კუთხიდან წვიმასავით წამოვიდა თანაგრძნობა, თითქო ყვავილები ეფინებოდა მის სხეულს, რომელიც, განსვენებულის უკანასკნელი სურვილის თანახმად, გახვეული იყო „სენიორა“-ში — ვალენსიელ რესპუბლიკელებისაგან მიღებულ დროშაში.

ვინცენტე ბლასკო იბანიესი დაიბადა 1867 წლის იანვრის 29-ს. სიკვდილის მეორე დღეს ბლასკოს სწორეთ 61 წელი უსრულდებოდა.

*) აბელ გარსია ასორინი, რომლის კალამსაც ეკუთვნის ეს მოკლე აღწერილობა გამოჩენილი ესპანელი მწერლის და რევოლუციონერის ბლასკო იბანიესის მოწაფე და მდივანი იყო.

მისი დედა და მამა წვრილი მოვაჭრეები იყვნენ არაგონიიდან. შემდეგ ვალენსიაში გადასახლდნენ.

ბლასკო იბანიესი ბავშობიდანვე ძალზე განირჩეოდა თავისი ამხანაგებისაგან არაჩვეულებრივი გატაცებით, რაც სიკვდილამდე შეინარჩუნა. კითხვას პატარაობითვე შეეჩვია და ისე გულმოდგინეთ მიეცა, რომ დედ-მამა ხშირად იძულებული ხდებოდა წიგნი ხელიდან გამოეგლიჯა.

იმ უბანში, სადაც იბანიესები სცხოვრობდნენ, ბლასკო მთელი უბნის ბიჭების მეთაური და წინამძღოლი იყო. თამაშობასა და ცელქობაში პირველობა ყოველთვის მას ეკუთვნოდა. ზოგჯერ ბლასკო იმალებოდა და დიდი ხნით ივიწყებდა თავის ამხანაგებს. ამ დროს ის ფართული იყო წიგნების კითხვით. კითხულობდა ახალი ქვეყნის — ამერიკის — აღმომჩენთა თავგადასავალს. ალბად ამ კითხვამ გაუღვიძა მას მეზღვაურად გახდომის სურვილი. წვიმიან ამინდში ბლასკო ამხანაგებთან ერთად თავს აფარებდა რომელსამე ეზოს, სადაც თავისი თხრობით და ამბებით აღტაცებაში მოჰყავდა ახალგაზრდა მეგობრები.

როგორც მშობლების ერთად-ერთმა შვილმა, მან, დედის გულის მოსაგებად, უარი სთქვა მეზღვაურის კარიერაზე, რადგან მეზღვაურობა დედას ძალიან აშინებდა. ბლასკო სამართლის შესწავლას შეუდგა. მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იბანიესი მხოლოდ ერთხელ გამოვიდა დამცველად. ეს იყო რესპუბლიკელთა ჯგუფის პოლიტიკური პროცესი. მისმა ცხარე და გაბედულმა სიტყვამ მრავალი შენიშვნა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბრალდებულნი გაამართლეს, მაგრამ იბანიესმა დარბაზის დატოვებისათანავე ფიცი დასდო — აღარ ჩაეცვა ვეჭილის სამოსელი, რადგან ნება არ მისცეს ეთქვა ყველაფერი, რაც გულში ედო.

იბანიესი 16 წლისა იყო, როცა ვალენსიურ კილოზე დაწერილა თავისი პირველი მოთხრობა — „ფატიმა“ — გამოაქვეყნა. იგი ოცნებობდა ესპანელ მწერლების ბენიტო პერეც გალდოსის და ჟოზე მარია პერედის მოწაფედ გახდომას — მწერლების, რომელნიც იმ დროს სახელისა და დიდების უკანასკნელ საფეხურზე იდგნენ. სწორედ ამ დროს, მოახერხა მან თავისი პირველი მგზავრობა მადრიდს, ამასთან ბლასკოს ერთად-ერთ ბარგს მისი ხელნაწერები შეადგენდნენ. თექვსმეტი წლის ჭაბუკმა სერიოზული სახით და დინჯი გამომეტყველებით შემოიარა მადრიდელი გამომცემელი და შეაძლია მათ თავისი თხზულებანი. ჯილდოდ ორიოდე პეზეტი მოითხოვა მხოლოდ.

გამომცემელნი გაკვირვებულნი იყვნენ ახალგაზრდა იბანიესის სითამამით, მათ აზრად არ მოსდიოდათ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ თვით დაუწყებდენ თხოვნას და შეაძლებდენ უზომო ფულს, ოღონდ მცირე რამ მაინც მიეწოდებინა.

მადრიდში ბოჰემურ ცხოვრებას ატარებდა, რომლის დროსაც არა ჰქონდა მუდმივი ოთახიც-კი. სრულიად მოულოდნელათ იბანიესი მდივნად გახდა იმ დროს ცნობილ, მაგრამ ნახევრად ბრმა და ღარიბ, მწერლის ფერდინანდ გონზალესის.

რამდენიმე კვირის შემდეგ იბანიესი პოლიციელების თანხლებით უკან დაბრუნდა — ვალენსიაში. მას ხელი სტაცეს რევოლუციონური პარტიის კრებაზე.

ვალენსიაში იბანიესი უკვე გარკვეული იდეალით დაბრუნდა. მადრიდში ყოფნის დროს მან რამდენჯერმე მოუსმინა მარგალას, იმ ხანად პოპულიარულ რესპუბლიკელს და ორატორს, და გადასწყვიტა გამხდარიყო მის მოწაფედ და მიმდევრად. 18 წლისას დაპატიმრება გადაუწყვიტეს ერთი სღნეტის გამოქვეყნებისთვის, მაგრამ ახალგაზრდობის გამო სასჯელისაგან გაანთავისუფლეს.

უარპყო რა ვეჭილობა, საბოლოოდ გადასწყვიტა შესდგომოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, და იმ დროს, როცა ესპანიაში არსებობის უფლება მარტო კათოლიციზმს ჰქონდა, ვალენსიაში მან რესპუბლიკური პარტია დააარსა. მაგრამ 23 წლის იბანიესი უკვე იძულებული გახდა გახიზნულიყო — წავიდა პარიზს. ეს მოხდა მაშინ, როცა გამოააშკარავეს რევოლუციონური შეთქმულება, რომელშიაც იბანიესიც იყო გარეული. მალე ამნისტიამ ვალენსიაში დაბრუნების ნება მისცა. იქ ცოლი შეირთო და დააარსა დიდი რესპუბლიკური გაზეთი „ელ-პუებლო“ („ხალხი“), რომლის რედაქტორადაც თვითონ იყო. სახსრის უქონლობა საშუალებას არ აძლევდა თანამშრომელნი დაეჯილდოვებინა, ამიტომ იბანიესი მთელ გაზეთს თითონ ადგენდა — მგზნებარე და ცეცხლმფრქვევი მეთაურებიდან დაწყებული უკანასკნელ ქრონიკამდე. ჟურნალის რედაქცია ღამ-ღამობით რევოლუციონერთა საკრებულოს წარმოადგენდა. პოლიცია არა ერთხელ დასცემია რედაქციას და გაუფანტავს რევოლუციონერები. ზოგჯერ ცენზურა კრძალავდა ცალკე ნომრების გამოშვებას და გავრცელებას. რედაქცია ასეთ შემთხვევაში ჩუმათ აპარებდა სტამბიდან აკრძალულ ნომერს.

პოლიტიკური ბრძოლის ამ ხანაში დაიწერა ის შრომები, რომლებიც შეგვიძლია ბლასკო იბანიესის პირველ სერიოზულ ლიტერატურულ ნაწარმოებებად ჩავთვალოთ: „მაისის ყვავილი“ და „დაწყვეტილი სახლი“.

როდესაც კუნძულმა კუბამ აჯანყების დროსა ააფრიალა, იბანიესი აჯანყებულთა მხარეზე დადგა. მან თავის გაზეთში დაიწყო კამპანია კუბის დამოუკიდებლობისთვის, რისთვისაც გაასამართლეს და 8 წლის დაპატიმრება მიუსაჯეს. მაგრამ 14 თვის პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლეს, რადგან ვალენსიამ იგი თავის დეპუტატად აირჩია პარლამენტში.

რვაჯერ იქნა იბანიესი დეპუტატად არჩეული. ამ ხნის განმავლობაში მისი ცხოვრება მეტად აქტიურათ და მღელვარეთ მიმდინარეობდა. მისი პოლიტიკური გამოსვლა მეტ წილად ხდებოდა გარეთ, ცის ქვეშ, როგორც ძველათ რომში. რათა მსმენელებისთვის გასაგები ყოფილიყო, ლაპარაკობდა უბრალოთ, ერიდებოდა რიტორიულ ხრიკებს. სოფლად ხშირათ ადგილობრივ კილოს მიმართავდა ხოლმე.

რამდენიმე წლის შემდეგ იბანიესმა გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი პროტესტი დიქტატურის წინააღმდეგ. პროტესტი იბანიესმა დასწერა უდიდესი აღშფოთების ჟამს, როდესაც იგი საფრანგეთში სცხოვრობდა და როდესაც დიქტატურის მსხვერპლთა კვნესა და ვაება აღწევდა არა მარტო საფრანგეთს, არამედ ევროპის ყველა კუთხეს. იბანიესის მტრებმა ხმა დააგდეს, რომ პროტესტი მან გამდიდრების მიზნით დასწერაო. ამ ხმების სიბოროტეს ყველაზე უკეთ ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი წერილი, რომელიც იბანიესმა 1925 წლის მარტში გაუგზავნა ერთ თავის მეგობარს, ჟურნალისტს პორტო-რიკოდან:

„ამას წინათ რამდენიმე წერილი მივიღე პორტო-რიკოდან, იმ საცოდავ ადამიანთაგან, რომელთაც გულწრფელათ სჯერათ, რომ ჩემ გალაშქრებას აღფონს მეცამეტის წინააღმდეგ სარჩულად გამორჩენა ედვა. გადაეცით მათ, რომ ჩემს მანიფესტ-პროტესტში არ მიმიღია საავტორო ჰონორარის არც ერთი სანტიმი. ყველა ხელნაწერი, რომელიც ამ გალაშქრებას შეეხებოდა, სრულიად უფასოთ გადავეცი გამომცემლებს. აღარას ვამბობ წიგნის ესპანურად გამოცემაზე. ეს უკანასკნელი გასაღდა 2 მილიონ ცალად, ხოლო თითო ცალი დაჯდა 12 სანტიმად. ეს ორი მილიონი უფასოთ დავარიგე, ამასთან მევე გავიღე გაგზავნის და ყველა სხვა ხარჯი. ორიოდე წიგნი კიდევ რომ გამოცემაგვარათ, სულ ერთიან ვავკოტრდები და მათხოვრად გადავიქ-

ცევი. როგორც ხედავთ, გამდიდრების მეტად ორიგინალურ საშუალებებისთვის მიმართავს“.

ხალხმა ადვილათ გაარჩია ცილისწამება ჭეშმარიტებისაგან. მწერლის დასაფლავების დღეს 500.000 კაცმა, პატივისცემის ნიშნად, მწყობრად ჩამწკრივებულმა, ჩაუარა ვალენსიაში იმ სახლს, სადაც ბლასკო იბანიესის შვილები სცხოვრობენ. ხალხი მოითხოვდა განსვენებულის დასაფლავებას სამშობლოში, რათა სათანადო პატივი ეცემისი ხსოვნისთვის. მაგრამ ხალხს აცნობეს მასწავლებლის უკანასკნელი სურვილი: „იმ დრომდე, ვიდრე ესპანიაში ბატონობს დღევანდელი რეჟიმი, მე არ დავბრუნდები სამშობლოში არც ცოცხალი და არც მკვდარი“-ო.

დაწყებული იმ დღიდან, როცა პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა, ვიდრე 1909 წლამდე, როცა ანატოლ ფრანსთან ერთად არგენტინაში წავიდა, იბანიესმა დასწერა შემდეგი რომანები: „ტოლედოს ტაძარი“, „ცრუ სახელის მატარებელი“, „ველური ურდო“, „სისხლი და ქვიშა“.

1914 წელს, არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ, გამოაქვეყნა რომანი „არგონავთები“. ომის შემდეგ პარიზში დამკვიდრდა. ერთი წლით ადრე ომამდე დასწერა: „აპოკალიპსისის ოთხი მხედარი“, „მარე ნოსტრუმ“, „დედაკაცის მტრები“. თუ „დაწყველილმა სახლმა“ იბანიესს სახელი მოუხვეჭა, სამაგიეროთ „აპოკალიპსისის ოთხმა მხედარმა“ ქონებრივი უზრუნველყოფა მოუპოვა.

1923 წელს იბანიესი „ფრანკონია“-ს გემით შეუდგა მგზავრობას დედამიწის გარშემო. დაბრუნებისას გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებანი სამ ტომად და შემდეგი სათაურით: „რომანისტის მოგზაურობა დედამიწის გარშემო“. იმავე დროს დასწერა რომანები: „ზღვის მამა“ და „ვენერის ფერხთა წინაშე“.

1919 წლიდან იბანიესი სცხოვრობდა რივიერაზე, საფრანგეთში, სამშობლოდან ნებაყოფლობით გახიზნული. აქ იყიდა „ფონტანა როზა“-ს მამული და გააშენა საუცხოო ბაღი. იქვე გარდაიცვალა, როგორც მისი სურვილი იყო. აღარაფერი დარჩა წინანდელ „ფონტანა როზა“-დან: მან მთელი ეს მამული თვალწარმტაც ბაღად გადააქცია. ისეთ ბაღათ, როგორიც აწერილი აქვს „დაწყველილ სახლში“ და თავის სხვა რომანებში.

მოულოდნელმა სიკვდილმა აღარ დააცადა თავისი დიდი ხნის ოცნების განხორციელება. განზრახვა ჰქონდა, „ფონტანა როზა“ გა-

ჭირვებულ მწერალთათვის მოეწყო. ჯერ-ჯერობით ამ განზრახვას მოწმობს მამულის შესავალთან მიკრული ფირფიტა, რომელზედაც ესპანურად, ფრანგულად და ინგლისურად სწერია; „მწერალთა ბალი“. ფირფიტას თავზე ამართულია დიკენსის, სერვანტესის და ბალზაკის გამოსახულება.

ბლასკო იბანიესის ოცნება იყო, რომ გაჭირვებული მწერლები, ეროვნების განურჩევლად, „ფონტანა როზა“-ში დამტკბარიყვნენ სიმშვიდით და სილამაზით, აქ, სერვანტესის, ვიქტორ ჰიუგოს, დოსტოევსკის, ტოლსტოის ძეგლებს შორის, მისცემოდენ ფიქრსა და შემოქმედებას.

იბანიესი, რომელმაც ახალგაზრდობაში დიდი გაჭირვება განიცადა და რომელიც არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში მუშაობდა, გატაცებული იყო, შეექმნა განსაკუთრებული კუთხე, სადაც მწერლებს შეეძლებათ დაისვენონ, იოცნებონ და იმუშაონ, — ცამდე აზიდული ალპების ძირში მდებარე და ფორთოხლის და ლიმონის ხეებით ამწვანებული კუთხე, საიდანაც იშლება თვალწარმტაცი სანახაობა ზღვაზე. მის ბაღში სტუმართმოყვარეობა ჰპოვეს დედამიწის უდიდესმა მწერლებმა, ეროვნების განურჩევლად, რადგან იბანიესისთვის საზღვრები არ არსებობენ: ეს ლამაზი წალკოტი მოფენილია მწერალთა ძეგლებით. დაღლილი და მოქანცული მწერლები, რომელნიც „ფონტანა როზა“-ში მოვლენ დასასვენებლად, აქ, ამ წალკოტში, ადამიანის აზრის ამ უდიდეს ხელოვანთა ძეგლების წინაშე, ჰპოვებენ ახალ ძალას ახალი შემოქმედებისა და აღმაფრენისთვის.

— : —

მრგვალი კალით

როდესაც სენტომ თავისი ქოხის კარი გააღო, ნახვრეტში რაღაც ქალაქი შენიშნა.

უსახელო ბარათი იყო, მუქარით სავსე. მოითხოვდნ ორმოცდუროს: ამაღამ ეს ფული პურის საცხობ ღუმელში უნდა შეედო, ქოხის პირდაპირ.

მთელ სოფელს შიშის ზარი დასცეს ამ ყაჩაღებმა. ვინც მოთხოვნილებას არ აასრულებდა, მწარე დილა გაუთენდებოდა: მეორე დღეს მინდორი აოხრებული და ნათესი აკლებული დახვდებოდა. შეიძლება ურჩს უარესი საქმეც დამართოდა: ცეცხლ-წაკიდებულ და ჭერ-ჩამონგრეულ სახლიდან გარეთ გავარდნაც ვერ მოესწრო.

რუსაფელმა გაფარომ, პირველმა ვაჟკაცმა იმ მიდამოში, ფიცი დასდო — აღმოეჩინა ყაჩაღები. მთელი ღამეები თოფით ხელში ჩაღიანში იყო ჩასაფრებული ან ბილიკებს სთელავდა. მაგრამ ერთ დილას ორი ტყვიით განგმირული და თავმოკვეთილი ვაჟკაცი ხრამში იპოვეს... მოდი და მიხვდი, ვინ იყო ამისი ჩამდენი!

ვალენსიის გაზეთებშიაც კი სწერდნ ამ ამბებზე, ამ სოფელზე, სადაც დაღამებისასვე ყველა ქოხის კარი მაგრა იკეტებოდა. დიდი შიში ჩამოვარდა, ისეთი, რომ ყველა თავის თავზე-ლა ფიქრობდა და მეზობლებს ივიწყებდა.

მიუხედავად ამისა, ბიძია ბატისტი, იმ არე-მარეს ალკადი*), ცეცხლსა ჰყრიდა, როცა მთავრობა, ამ საქმეზე ლაპარაკს ჩამოუგდებდა. ირწმუნებოდა: მე და ჩემი ერთგული ალგუასილი სიგრო მალე მოუღებთ ბოლოს იმ ავაზაკებსო. ბატისტი ძალას წარმოადგენდა არჩევნების დროს, ამიტომ მის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა.

სენტოს მაინც აზრათ არ მოსვლია ალკადთან მისვლა დახმარებისთვის. რატომ უნდა მოესმინა ცარიელი ტრაბახი და ლაყბობა?

*) ალკადი — ხელისუფლების წარმომადგენელი.

სარწმუნო იყო მხოლოდ ის, რომ მისგან ორმოც დუროს მოითხოვენ, და თუ ამ ფულს პურის საცხობ ლუმელში არ შესდებდა, ქოხს გადაუწვავდნენ. სენტო ისე უყურებდა უკვე ამ ქოხს, როგორც სასიკვდილოთ განწირულ შვილს. ქოხის კედლები თეთრათ ბზინავდენ. სახურავი ჩაშავებული წალმისაგან შესდგებოდა. კუთხეებს ჯვრები ამშვენებდენ. ფანჯრები ცისფრათ იყო შეღებილი. შესავალ კარს ვაზის ყლორტები გადასწოლოდენ. მის მწვანე ფოთლებში მზის სხივები ოქროს ფრათ ლილვივებდენ. სახლს პირწითელა ყვავილის და ზამბახის არშია ჰქონდა შემოვლებული და ყველა ამას ლერწმის ლობე აცავდა. ხოლო ბებერ ლელვს უკან პურის საცხობი ლუმელი იყო, თიხით და აგურით ნაგები, აფრიკის ჯიშის ჭიანჭველების ბუდე-სავით რგვალი და გაბრტყელებული.

ეს იყო სენტოს მთელი სიმდიდრე, ბუდე, რომელსაც თავს აფარებდენ ისინი, ვინც ამ ქვეყნად ყველაზე მეტათ უყვარდა: მისი ცოლი, სამი შვილი, ორი ბებერი ცხენი — ორი ერთგული ამხანაგი ლუკმა პურისთვის ბრძოლაში, და წითელ წინწკლებიანი ძროხა, რომელიც ყოველ კვირა დღეს მიემგზავრებოდა ქალაქს, სადაც თავისი ეჟენების სევდიანი ხმით აღვიძებდა ხალხს იმ დროს, როცა მისი ფოველთვის სავსე ცურებიდან ექვსი რეალის საფასურის რძე ჩხრილით ჩამოდიოდა.

ვინ იცის, რამდენი შრომა დასჭირდა მიწის პატარა ნაჭრის დამუშავებას! ამ მიწას, მამა-პაპიდან დაწყებული, მთელი ოჯახი ოფლით და სისხლით რწყავდა იმისთვის, რომ თავი მოეყარა ერთი მუჭა დუროსთვის, რომელსაც სენტო ახლა ტახტ ქვეშ ჩაფლულ ქილაში ინახავდა. და განა სენტო მისცემს ვისმეს ნებას, რომ ორმოცი დურო ხელიდან გამოგლიჯონ!..

სენტო მშვიდობისმოყვარე კაცი იყო. მთელი სოფელი დაადასტურებდა ამას. ლაპარაკიც კი არავისთან მოსვლია სარწყავ წყალზე. სამიკიტნოში არ დადიოდა. არა ჰქონდა თოფი, რომ ხალხისთვის ტრაბახით ყურები გამოეჭედა, ერთად-ერთი მისი სურვილი იყო მუშაობა, მუშაობა დღე და ღამ პეპეტასა და სამი ბავშვისთვის. მაგრამ რაკი ახლა გაძარცვა მოუნდომეს. თითონ იცის, როგორც გაუმკლავდება!

სენტო დინჯი და წყნარი კაცი იყო. მაგრამ ამ სიღინჯეს უკვე არღვევდა არაბი ვაჭრის სიშმაგე, — იმ ვაჭრის, რომელიც ბედუინებს

შეურაცყოფის და ცემის ნებას აძლევს, მაგრამ როცა მის ქონებას შეეხებიან, ლომად გადაიქცევა ხოლმე.

ღამე ახლოვდებოდა, სენტო კი ჯერ ვერავითარ გზას ვერ დასდგომოდა. ბოლოს გადასწყვიტა, რჩევისთვის მახლობელ მეზობელთან წასულიყო. ეს მეზობელი მოხუცი იყო. იგი ფიჩხის მოსაგროვებლად თუ გამოდგებოდა, მაგრამ, როგორც ხმა დადიოდა, მას ახალგაზრდობაში ორი თუ სამი კაცი ჰყავდა გასტუმრებული საიქიოს.

მოხუცმა გულდასმით მოუსმინა. ყურს უგდებდა და თან თავისი გამხმარი და აკანკალებული ხელებით სქელ სიგარას ახვევდა. სენტო მართალი იყო. ან კი რათ უნდა გამოეთხოვოს საკუთარ ფულებს? თუ ვაჟკაცები არიან, რატომ შარაგზაზე არ გავლენ და პირისპირ არ შეხვდებიან განსაცდელს? თითონ სამოცდაათი წლისაა, მაგრამ აბა გაბედონ და შეუგდონ ასეთი ბარათი! ახლა ვნახოთ, შესწევს თუ არა სენტოს ვაჟკაცობა დაიცვას თავისი ნაოფლარი.

მოხუცის სიმტკიცე სენტოსაც გადაედო. უკვე გრძნობდა ძალას, გრძნობდა, რომ ყველაფერს შესძლებდა შვილების ლუკმა პურისთვის.

მოხუცმა ზეიმით, თითქოს უდიდესი სიწმინდეაო, კარს უკანიდან გამოიღო ოჯახის საუნჯე — ფისტონის თოფი და დიდის მოწიწებით გადაუსვა ხელი ჭიებისაგან გამოხრულ მის კონდახს.

თითონ გატენა, რადგან მან უკეთ იცოდა ეს საქმე. აკანკალებულ ხელებში ახალგაზრდური სისხლი ჩაუდგა. აი აქ წამალს ჩაჰყრის. მთელ მუჭას! ახლა საჭიროა მსხვილი საფანტი, ხუთი ან ექვსი ცალი. შემდეგ — წვრილი საფანტი, დაუთვლელათ. ბოლოს, ყველაფერი ეს კარგათ უნდა ჩაიჭედოს ძონძით. თუ ამის შემდეგ თოფი არ გასქდა, მართლა რომ ღვთის წყალობა იქნება.

საღამოთი სენტომ ცოლს უთხრა — ჩემი მინდვრის მორწყვის ჯერი დადგაო. მთელმა ოჯახმა დაუჯერა და ადრე დაიძინა.

როცა გარეთ გავიდა და ქოხის კარი კარგათ ჩაკეტა, ლელვის ქვეშ ვარსკვლავების შუქზე ჭარმაგი მოხუცი დაინახა, რომელიც თოფს ფისტონს უდებდა.

მოხუცი უკანასკნელ გაკვეთილს მისცემს, რათა გასროლამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს. საჭიროა ლუმელის ხვრელის მიზანში ამოღება და ცდა. როდესაც დაიკაკვებიან ფულის საძებნელად და თავს ხვრელში შეჰყოფენ... გაისროლე! სულ უბრალო საქმეა, ამას ბავშიც კი მოახერხებს.

მასწავლებლის რჩევით სენტო გაწვა წითელთავას ბუჩქებს შორის, ქოხის ჩრდილში. მძიმე თოფი ლერწმის ღობეში იყო გაშვერილი და ლულა სწორეთ ღუმელის პირისკენ ჰქონდა მიმართული. შეუძლებელია მიზანს ასცდეს. საჭიროა მხოლოდ სიმშვიდე და თოფის ფეხის დროზე დაშვება. აბა, მშვიდობით, მეზობელო! თითონ ის ასეთ რამეებისათვის არის გაჩენილი, მაგრამ უკვე შვილის-შვილები ჰყავს და, საერთოდ, ამგვარ საქმეს ერთი კაცი უკეთ გაუძღვება...

მოხუცი ფრთხილათ განშორდა, როგორც ისეთი კაცი, რომელიც ყოველ ბილიკზე მტერს მოელის და ამიტომ ნაცნობ ადგილებშიაც ყურმახვილ სიარულს არის შეჩვეული.

სენტოს მოეჩვენა, თითქოს მარტო-მარტო დარჩა ამ ქვეყნად, თითქოს დაუსრულებელ ველში, რომელსაც ქარი დასისინებდა, არ იყვნენ სხვა ცოცხალი არსებანი, გარდა მისი და იმათი, ვინც უნდა მოსულიყვნენ. ოჰ, ნეტავ კი არ მოვიდნენ! ხელების კანკალისაგან თოფის ლულა ღობეში წკრიალებდა. შიში აკანკალებდა და არა სიცივე რას იტყოდა მოხუცი, აქ რომ ყოფილიყო? სენტოს ფეხებზე ქოხის კედელს ეხებოდნენ, და იმ აზრმა, რომ ამ თიხის კედელს იქით ეძინათ პეპიტას და ბავშვებს, რომლებსაც გაძარცვას უპირებდნენ და რომლების ერთათ-ერთი დამცველიც მისი მარჯვენა იყო, კვლავ გარეულ ნადირად აგრძნობინა თავი.

რადაც ხმამ სივრცე გააპო, თითქოს შორეულ სიმაღლიდან სიმღერის ჰანგი მოსწყდაო. საათი იყო ქალაქის სამრეკლოდან. ცხრაჯერ დაჰკრა. გაიჭრიალა ურემმა, რომელიც სადღაც შორს მიგორავდა. ძაღლებმა შეჰყეფეს, მათი მოუსვენარი ხმა ეზოდან ეზოს გადაეცა. ბაყაყების ყიყინს მახლობელ არხში გომბეშოები და ვირთაგვები არღვევდნენ: ლერწმიან ნაპირებიდან ისინი ხმაურით ეშვებოდნენ წყალში.

სენტო საათს ითვლიდა. რომლის ხმაც სამრეკლოდან მოისმოდა. ეს ხმა ერთათ-ერთი იყო, რომელიც მოლოდინის სიწყნარეს არღვევდა. თერთმეტი საათია! ნუთუ მოკლენ? იქნებ ღმერთმა მოაღბო მათი გული...

უეცრად ბაყაყები მიყუჩდნენ. ბილიკით ახლოვდებოდა ორი ბნელი არსება, რომელნიც სენტოს უზარმაზარ ძაღლებად მოეჩვენნენ. ერთი ცოტა ხნით წელში გასწორდა. ადამიანები იყვნენ. მოდიოდნენ წაკაკულნი, თითქმის დაოთხებულნი.

— უკვე აქ არიან, — წაიჩურჩულა სენტომ და ყბები აუკან-კალდა.

მომავალნი აქეთ-იქით იყურებოდნენ, თითქოს ეშინოდათ რაიმე მოულოდნელობის ღობესთან მივიდნენ, მიმოიხედეს, შემდეგ ქოხის კარებს მიუახლოვდნენ, ყური მიადეს ნახვრეტს, მერე სენტოს გვერდით გაიარეს. მაგრამ მან ვერ იცნო. სახე შებურული ჰქონდათ წამოსასხამებით, საიდანაც თოფის ლულები მოსჩანდა.

ამან სენტოს ვაჟკაცობა გაუორკეცა. ალბათ ისინი არიან, გაფარო რომ მოჰკლეს. საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად საჭიროა მათი დახოცვა.

უკვე ღუმელისკენ გაემართენ. ერთი მათგანი დაიხარა. ხელები შეჰყო ღუმელში. თოფის ლულა პირდაპირ გაჰყურებდა. გასროლა ერთბაშათ მოუღებს ბოლოს. მაგრამ მეორე — ის ხომ გადარჩება? საწყალი სენტო აუწერელმა შიშმა აიტანა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. ერთს მოჰკლავდა, მერე უიარაღო დარჩებოდა, მეორეს კი თოფი ეკიდა. ხოლო თუ ხელიდან გაუშვებს, შემდეგში გადაუხდიან — ქოხს გადაუწვავენ.

მაგრამ მეორეს მობეზრდა ცდა. ისიც დაიხარა და ძებნას შეუდგა.

სენტოს წინ ერთიანი მასა გაჩნდა, რომელმაც ღუმელის ხვრელი დაფარა. ოო, ეხლა კი დროა! არ შედრკე, სენტო, დაუშვი ფეხი!

თოფის ხმამ მთელი სოფელი შეაშფოთა. გაისმოდა ერთმანეთში არეული ყვირილი და ყეფა. სენტოს თვალების წინ ნაპერწკლების მარაომ გაიელვა, სახეზე შეტრუსვა იგრძნო, თოფი გაუვარდა, ხელები მალლა ასწია და გაასავსავა: უნდოდა დარწმუნებულიყო, მთელი ჰქონდა თუ არა. თოფი ალბათ გასქდა.

ღუმელთან ვერავის ხედავდა. უთუოდ გაიქცენ, და როდესაც აითონაც გაქცევა დააპირა, ქოხის კარი გაიღო და გამოჩნდა პეპეტა — ქვედა ტანის ამარა და სანათით ხელში. თოფის ხმამ გააღვიძა, შეშფოთდა ქმრისთვის, რომელიც შინ არ იყო, და გარეთ გამოვარდა.

სანათის წითელმა შუქმა პირდაღებულ ღუმელამდე ციმციმიო მიაღწია.

იქ, ღუმელის წინ, ორი მამაკაცი ეგდო, ჯვარედინათ გაწოლილი ერთი მეორეზე, ერთ სხეულათ შესისხლხორცებული, თითქოს მიწაზე ერთი ლურსმით მიუჭედიათო.

ძველმა თოფმა თავის თავს არ უღალა: ორმაგი ძალით გასროლილმა ორი სიცოცხლე იმსხვერპლა.

და როდესაც სენტომ და პეპეტამ ელდანაკრავი ცნობისმოყვარეობით გვამები გაანათეს მათი სახეების გასასინჯად, გაოცებულებმა შეჰკივლეს.

ესენი იყვნენ ბატისტი, ალკადი, და სიგრო, მისი ალგუსილი. სოფელმა ხელისუფალნი დაჰკარგა, მაგრამ მშვიდობიანობა მოიპოვა.

მთარგმნელი: ი. ალლაძე.

ხომლელი

(1861 — 1928)

ჩვენი ჟურნალის მასალები უკვე აწყობილი იყო, როდესაც მივიღეთ ცნობა ძველი კრიტიკოსისა და ცნობილი მოღვაწის ხომლელის (რომანოზ ფანცხავას) გარდაცვალების შესახებ.

ხომლელი ჩვენი მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე 80-იან წლებში გამოვიდა, ხოლო ეს ეპოქა კი ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ეპოქით ხასიათდება: ერთის მხრივ, ალექსანდრე მესამის სასტიკი რეაქციით, მეორეს მხრივ — ნაროდნიკობის, უკვე სახელოვან ნაროდოვოლცების იდეოლოგიისა და რევოლუციონური ძოღვაწე აბის კრიზისით. ამ ორ გარემოებას არ შეეძლო თავისი დალი არ დაესვა ჩვენი ახალი თაობის საქმიანობასა და აზროვნებაზე.

ხომლელმა პოლიტიკურად იმ პერიოდში გაახილა თვალები, როდესაც ჯერ კიდევ უდრეკი ენერგიით იბრძოდა „ნაროდნაია ვოლიას“ რევოლუციონურ-ტერორისტული პარტია, ხოლო მისი პოლიტიკური დავაჟაკაცება მაშინ დაიწყო, როდესაც რუსეთში ნაროდოვოლცების იდეოლოგიის და ტაქტიკის კრიზისი ნათელი შეიქნა და საფუძვლები ჩაეყარა მარქსისტულ მიმდინარეობას რუსეთის წინადაგზე.

80-იან წლების პირველ ნახევარში ხომლელი განიცდიდა ნაროდოვოლცების დიდ გავლენას. ჯერ კიდევ სემინარიის მოწაფე იგი მხურვალე მუშაობას, აწარმოებდა ტფილისის მოსწავლე ახალგაზრდობათა და მუშების, წრეებში. ამავე პერიოდში გამოვიდა იგი სალიტერატურო ასპარეზზე და 1882 — 3 წლებში ქუთაისის გაზ. „შრომაში“ მოათავსა წერილი, — რომანოზის ფსევდონიმით — მუშათა

შესახებ. აღნიშნული გაზეთი „შრომა“ ნიჭიერ კრიტიკოსის ბოს-
ლეველის (ევ. მჭედლიძის) ხელმძღვანელობით გამოდიოდა ბოს-
ლეველმა ჩვენი ახალთაობის სულიერ აღზრდაში 80-იან წლებში
საგრძნობი როლი ითამაშა. ჩემთვის პირადათ არაერთხელ გადმოუ-
ცია ხომლელს ის თუ, როგორის აღფრთოვანებით შესცქეროდა ახალ-
გაზრდობა კრიტიკოს ბოსლეველს: მოსწავლე ახალგაზრდობა თავის
წრეებში, კითხულობდა ბოსლეველის ნაბეჭდსა, თუ ხელთნაწერ
შრომებს, — რომელნიც ცენზურის გამო ვერ იბეჭდებოდენ, — და
ადგენდა მათ კონსპექტებსო, — მეუბნებოდა ხომლელი.

1885 წელს იგი ოდესის უნივერსიტეტში მოხვდა მსმენელად.
აქ მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა მოძრაობაში,
მეთაურობდა ქართველ სტუდენტთა ჯგუფს და უახლოესი კავშირი
ჰქონდა ნაროდოვოლცების წრეებთან. ამ პერიოდის მისი მოღვაწეო-
ბიდან ჩემს ხელთ არის რამდენიმე მისი საინტერესო კერძო წერილი
ზ. ჭიჭინაძისადმი. 1885 წ. იგი სწერს: „საჭიროა, აუცილებლად სა-
ჭიროა საიდუმლო გამოცემა ქართულს ენაზე, რადგან უნდა შემუ-
შავდეს ჩვენი ახალგაზრდობის მიზანი, მოქმედების საშუალებანი და
მრავალი სხვანი, რომელნიც აკეთილშობილებენ და აცხოველებენ
ყოველი ერის მაჯის ცემასა და სიცოცხლის მოძრაობას... ამ საზო-
გადოებას ჩვენ პირი უნდა შევაქციოთ და, ვიტყვი კიდევ, იმათთან
უნდა შევკრათ კავშირი, რომლის ბედი და იღბალი ირკვევა დღეს
ყოველს განათლებულს ქვეყანაში. ამ ჩაგრულთ და მშრომელთ უნ-
და განუცხადოთ ძმობა სიტყვითა და საქმით, რადგან იმისია მომა-
ვალი. იმის ბედნიერებაზედაც უნდა აშენდეს ჩვენი საქართველოს
ბედიც. ჩვენ და ქართველი გლეხკაცობა და სხვა წოდებიდან პატიო-
სანი მშრომელი — ჩვენა და შრომა უნდა ვიყვეთ ერთმანეთზე გა-
დაბმული. თუ აქ ნაყოფიერად ვიმუშავებთ, თუ აქ სინდისიერად და
მართლა ახალგაზდურად ვიმოქმედებთ — გრწამდეს, რომ ჩვენსა
მომავალსაც მომავალი გაუღიმებს“...

ხომლელი იმ პერიოდში, როგორც ნაროდნიკული აზროვნების
მიმდევარი, საქართველოს ხსნას და მის აღორძინებას მშრომელი გლე-
ხობის ბედნიერებაში ხედავდა: რევოლიუციონური ახალი თაობა და
მშრომელი გლეხობა — ეს ორი განუყრელი მოკავშირე იყო მისი
წარმოდგენით. მაგრამ ამ ნაროდნიკულ აზროვნებაზე იგი არ შეჩე-
რებულა და უკვე ოდესაში ყოფნის დროს ხომლელი ეცნობა მარქ-
სისტულ ლიტერატურას, რის მიმდევარიც იგი შემდეგში გახდა. უნ-

და აღინიშნოს, რომ 1887 წ. ოდესის სტუდენტთა არეულობის გამო უნივერსიტეტი დახურეს, მრავალი სტუდენტი — მათ შორის ქართველებიც — დააპატიმრეს; ხომლელს წილად ხვდა 15 წლის პოლიციის საიდუმლო მზვერაობის ქვეშ ყოფნა. ოდესიდანვე იგი წერილებს ათავსებდა გაზ. „ივერიაში“.

1889 — 90 წლებში ხომლელი ხელმძღვანელობდა პატარა ორგანოს — თეატრს. რომელშიაც ათავსებდა კრიტიკულსა და პოლიტიკურ-მეცნიერული ხასიათის წერილებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის მის წერილებს უკვე ატყვიათ მარქსიზმის გავლენა, თუმცა იგი არ არის სავსებით მარქსისტული; ხშირად ხომლელი აკრიტიკებდა ქართველ ნაროდნიკებს, რომლებსაც თავი შეეფარებიათ გაზ. „ივერიაში“, და ააშკარავებდა მათ ყალბ მხარეებს. 1890—92 წლებში იგი უახლოვდება ე. ნინოშვილსა და მონაწილეობას ლებულობს ყვირილის კრებაზე. 1893 წლიდან იგი მონაწილეობას ლებულობს ჟურ. „კვალში“ და ათავსებს იქ საინტერესო მარქსისტული ხასიათის წერილებს. უნდა ვსთქვათ, რომ პირველი ოფიციალური მარქსისტული წერილი ქართულ ლიტერატურაში ხომლელის მიერ იყო გამოქვეყნებული. 1893 წელს „კვალში“ მან მოათავსა წერილები „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“ (იხ. № 16, 17, 20, 21), რომლებშიაც განიხილა მთელი რიგი მაშინდელი საჭირობოროტო საკითხებისა. ხომლელმა აღნიშნა ჩვენი ცხოვრების ეკონომიური ვითარების შინაარსი და დაასაბუთა, თუ კაპიტალისტური წყობილება როგორ არღვევდა ჩვენი ნატურალური მეურნეობის ფორმებს. ეს საკითხი შემდეგ წლებში ერთ-ერთ მთავარ სადავო საკითხად გადაიქცა ქართველ ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის.

ხომლელსვე ეკუთვნის ნაროდნიკობის პირველი ოფიციალური მკვეთრი კრიტიკა მარქსისტული საზომით. დასახელებულ წერილებში ხომლელმა პირველად ქართულს ლიტერატურაში გამოააშკარავა ნაროდნიკობის, — რომელთაც უწოდა „ტეტიათა მოტოფიალენი“, — სოციალური საფუძვლები და მათი წვრილ-ბურჟუაზიული რაობა. მეტად მკვეთრად დაახასიათა ილია ჭავჭავაძის ლიბერალური პოლიტიკა. მაშინდელ ხომლელის ლიტერატურული მიმდინარეობისა და პოლიტიკური შეხედულებათა დასახასიათებლად ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ ადგილს მის წერილიდან. 1895 წ. იგი სწერდა: „ჩვენ არ უნდა ვემსახურებოდეთ ინტერესებს იმ კლასისას (ე. ი. ბურჟუაზიის. ს. ხ.), რომელიც ამ ახლო მომავალში აბირებს

ჩვენში გაბატონებას და „გაძლიერებას“, იგი უჩვენოდაც კარგად გაიკაფავს გზას, რადგან დღევანდელი ცხოვრება, საზოგადოთ, სულ ერთიანად მისია. ჩვენ ფრთხილად და დიდი გამოცდილებით უნდა გამოვსახოთ და უჩვენოთ თანამედროვე ბატონის წინააღმდეგი ელექტენტი (ე. ი. პროლეტარიატი ს. ხ.) თვით საქართველოშივე, რომელიც თანდათან ბურჟუაზიის ზრდასთან უჩინრად იმალება დღეს ჩვენში, და რომლის ხელით და მეოხებით უნდა დამკვიდრდეს და განხორციელდეს ჩვენის ქვეყნის არე-მარეზე უკეთესი და უმაღლესი მგრძისი ჩვენი ერისა“ (იხ. „კვალი“ № 39 — 1895 წ.).

აღსანიშნავია, რომ ხომლელი იმ პერიოდში ჩვენი სოციალისტური წყობილების დამკვიდრების საქმეს პირდაპირ უკავშირებდა ქართველ ახალგაზრდა პროლეტარიატის განვითარების და გაძლიერების საქმეს.

მაგრამ ჩვენში ხომლელი ცნობილია არა როგორც მხოლოდ პუბლიცისტი, არამედ უმთავრესად როგორც კრიტიკოსი. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი კრიტიკულ წერილებისა, რომელშიაც იგი ახალი, მარქსისტული მეთოდით არკვევდა ჩვენი ლიტერატურის ვითარებასა და მის წარმომადგენლებს. როდესაც დაიწერება ქართული კრიტიკის ისტორია მასში საპატიო ადგილი დაეთმობა ხომლელს, როგორც ნიჭიერ — კრიტიკოს-ლიტერატორს. როგორც კრიტიკის დარგში, ისე პუბლიცისტურ სფეროშიაც იგი პირდაპირი მემკვიდრე იყო უდროოდ დაღუპულ ბოსლეველისა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხომლელის პოლიტიკური შეხედულებანი არ განვითარებულა იმ ხაზით, როგორითაც იგი გამოვიდა 90-იან წლებში „კვალის“ ფურცლებზე. მართალია, ხომლელი ბოლომდე დარჩა მარქსისტი, მაგრამ იგი თანდათან გადაიხარა ნაციონალიზმისა და ოპორტუნიზმისაკენ. ამ მხრივ მისი ნაწერები იმდენად საინტერესო არ არის, როგორც „კვალის“ პერიოდის მისი მოღვაწეობა.

ხომლელს ბოლომდე არ გაუგდია ხელიდან კალამი და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე იგი ხშირად ათავსებდა, როგორც ლიტერატურულ წერილებს, ისე თავის მოგონებებს.

ქართული აზროვნებისა და ქართული ლიტერატურის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ხომლელის ლიტერატურულ მოღვაწეობას. იგი შესაფერისს ადგილს დაუთმობს ხომლელს ჩვენს წარსულ მოღვაწეთა რიგებში.

ს. ხ.

ჰ ე ნ დ რ ი კ ი ბ ს ე ნ ი

(პორტრეტი).

ჩემს წინაშეა ჰერმან სტრუკის მიერ დახატული იბსენი. ლომისებური თეთრი ფაფარი გარს ევლება მის ფართო სახეს. მაღალი შუბლი დაუდალავს ღრმა, ხშირ ნაოჭებს, მოღუშულ წარბებს ქვეშ შეკუჟულან მსხვილი, შავი, უჟმური თვალები.

ისეთი გრძნობა მაქვს, მიყურებდეს თითქოს მარტოოდენ მარცხენა თვალით, ამ თვალს იოტის ოდნად დაუკარგავს მარჯვენასთან შეწონილება. და ასე გიცქერით ეს სქელ ფაფარიანი ლომის ბოკვერი. მის შემოხედვაში მეყვსეულად მხილდება რაღაც ცივი, უსიამო და ამაზრზენი.

უთუოდ იტყვიტ: იბსენის მზერაში ვეფხისებური სიფიცხე სჭარბობს კიდევ ლომისებურ სიდარბაისლეს. მისი ტუჩ-ბაგე საოცარად მაგონებს არტურ შოპენჰაუერის ჩრდილოს სპლინით, ჰიპოხონდრიით, მსოფლიო ჭმუნვით დაღვარჭნილ ტუჩებს.

როგორც რასიული ტიპი იბსენი არც რომანელია, არც გერმანელი. შოტლანდიელები, დანიელები და გერმანელები ყოფილან მისი წინაპრები. მხოლოდ მსხვილძვლიანობით იგი მაგონებს ახმას, გაბურძგვილ, ჯმუხა გლესს, ქრისტიანიის, ან ბერგენის ქუჩაზე შეხვედრილს.

* * *

1915 წელს ერთმა მიუნხენელმა მხატვარმა მიჩვენა კაფე „მაქსიმილიან“-ის კუთხეში პატარა, თეთრი მარმარილოს მაგიდა. იბსენის მაგიდა. 14 წელი გაატარა იბსენმა მიუნხენში. თითქმის ყოველ საღამოს შავი ცილინდრითა და ჯოხით ხელში შემოდისოდა თურმე იბსენი კაფეში, უთუოდ იმ მაგიდას მიუჯდებოდა და მთელი საღამო უჯდა ერთ ჭიქა ლუდს ან კონიაკს და სთვლემდა.

„და მე მგონია, — დასძინა მხატვარმა, — ამგვარად მოვლემარე იგონებდა იგი თავის დრამების სიუჟეტებს“.

* * *

ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია ბედითი სამანი გახდა ტრაგიკულ ზელოვნებისათვის.

სიტყვა მუსიკაში გადაიჭრა — და ასე საოცრად დაძმობილებულმა ორმეტყველებამ წარმოშვა მანამდის გაუგონარი ემოციები.

ვაგნერიც დარწმუნდა რომ ტრაგიკულ გრძნობის გამოთქმაში უმუსიკო სიტყვა ისევე უმწეოა, როგორც უსიტყვო-მუსიკა. ადამიანის კულტურის წინსვლასთან უთუოდ ტრაგიკულის შეგნებაც იზრდება!

იბსენმა ჩინებულად იგრძნო, რომ მარტოოდენ სიტყვით ტრაგიკული ეფექტის მიღება შეუძლებელი ხდება ჩვენს დროში.

ამიტომაც იბსენის უმთავრესი ხერხია: პარადოქსალობამდის მისული შემეცნების გესლისა ნთხევა.

გასულ საუკუნეს სამი დიდი მოზარე ჰყავდა: ფრიდრიხ ნიცშე, ჰენდრიკ იბსენი და ლეონ ტოლსტოი.

ფრიდრიხ ნიცშემ ესთეტიურის თვალსაზრისით დაიწუნა თანადროულობა და მისი უკულტურო ცივილიზაცია, იბსენი და ტოლსტოი ახალ მორალის მოციქულები იყვნენ — მათში ახალი მორალის ძიებამ დაახშო პოეტი.

პოეტობა არამცდაარამც არ გულისხმობს სიმძიმის ცენტროს მორალურ სიბრტყეზე გადატანას.

შეიძლება იბსენის უდიდესი ზადი და ღირსებაც აქ იყოს საძებარი. მე პირადად სწორედ აქ მაკლია კონტაქტი იბსენის სულიერ სამყაროსთან.

როგორც მწერალს მე ეს მეუცხოება, როგორც ადამიანს საუცხოოდ მესმის.

* * *

დაბადებულია იბსენი 1828 წელს,
(ტოლსტოის დაბადების წელში).
ნორვეგიის სამხრეთში, პაწია ქალაქ სკიენში.

იბსენმა წასაქცევად განმზადებულ მამის ოჯახში გაატარა ბავშობა და ადრე იგემა გესლი ამ გაუხარებელი წუთი-სოფლისა. ადრე ეახლა მის სულს მელანქოლია და კაცთ მძულვარება.

ხელმოკლე მშობლებმა უნივერსიტეტში ვერ ასწავლეს პატარა ჰენდრიკს, სამაგიეროდ აფთიაქის შეგირდის კარიერა შესთავაზეს.

დიდკაცებს ხშირად კურიოზული ამბებიც ემართებათ და „პერგინტის“, „ბრანდის“ და „აჩრდილების“ ავტორი ლათინურის გამოცდაზე ჩაიჭრა.

ვარჯიშობს პატარა ჰენდრიკ შაირობასა და დრამების წერაში. სიყმაწვილეშივე დაუწერია დრამა „კატილინა“.

შილლერის რევოლუციონურ-დრამატიული პათოსი აღიბეჭდა მის ჭაბუკურ შემოქმედებაში.

გაექცა იბსენი წამლების სუნს, ქრისტიანიას გადასახლდა — ეწადა ფაუსტივით შავმაგიასთან განდობილი სახალხო ექიმი გამხდარიყო. პურის ფული არ ეყო და ჟურნალისტიკაში გადავარდა.

ცოტა ხანს ერთ პოლიტიკურ ჟურნალს რედაქტორობდა, აქაც ვერ მოისვენა და თეატრს მიეკედლა.

ამ ხანებში მისი ალამის ლოზუნგებია: რომანტიკა, ვიკინგობა, ნორვეგიის დიდი წარსული, ნაციონალური ეპოსის აღდგენა, სკანდინავიის იდეური მთლიანობის ამბები, — მაგრამ მომავალი მსოფლიო კაცი ვერ დაეტია ეროვნული პოეტის ფარგლებში — შემდეგ იგი ველარც ნორვეგიაში დაეტია.

1865 წელს იბსენი და მისი მეუღლე სუზანა თორეზენ ქრისტიანიაში შიმშილობდნენ.

ამ პერიოდში იწერება „გმირები ჰელგოლანდზე“ და „სიყვარულის კომედია“.

ოჯახის არტახები იგრძნო პოეტმა და ამდროინდელ შემოქმედებაში იბსენი ოჯახის და ქალის საკითხითაა გართული.

* * *

ხომ დიდი ბედნიერებაა პატარა ერისათვის დიდი მწერალი? ასეთივე დიდი უბედურებაა დიდი მწერლისთვის პატარა ერის შვილობა. ევროპის სხვა ხალხებთან მონათესავენი რომ არ ყოფილიყვენ ნორვეგიელები, მათი ლიტერატურა ისევე უმწეოდ დაიხუთებოდა ნორვეგიის ეთნიურ ფარგლებში, როგორც ქართული.

თითქმის ყველა დიდი სკანდინაველი მწერალი გერმანიაში, ან საფრანგეთში გაითქვამს ჯერ სახელს, და მხოლოდ ამის შემდეგ ცნობილობს მას პატარა სამშობლო.

1863 წელს იბსენი გაექცა თავის „უმაღლეს სამშობლოს“ და რომს გაემგზავრა.

რომში დაიწერა „პერ გინტი“.

„პერ გინტი“ ჩემის აზრით გვირგვინია იბსენის ქმნილებათა შორის.

ჩემთვის მარად დაუვიწყარი დარჩება 1919 წელს რაინჰარტის მიერ დადგმული პერ გინტი.

ჩემი სტუდენტობის დროს ჯერ კიდევ არ იყო გადასული გერმანიაში „იბსენიზმის სენი“.

შარლოტენბურგელ ქუჩებზე და სკვერებზე ყოველ ნაბიჯზე გაიგონებდით, თუ როგორ ეძახდნენ დედები და ძიძვები პატარა ბავშვებს: იბსენის გმირების სახელებს.

შარლოტენბურგელ ვეჩილების ცოლებს ჯერ კიდევ ნორას მეამბოხე სული ედგათ.

მიუხედავად ამისა არასოდეს ვყოფილვარ იბსენიზმით გატაცებული. მაგრამ რაინჰარტის პერ გინტმა და გერმანული თეატრის „აჩრდილებმა“ გარდაუვალი კვალი დასტოვეს ჩემზე.

იბსენის ზედგავლენა კავკასიონის უღელტეხილს არ გადმოსცდენია და არც ქართულ თეატრსა და აზროვნებაზე მოუხდენია იბსენს რაიმე გავლენა.

ქართულ მსოფლიო კონცეპციას, რომელიც ჩემის აზრით უეჭველად ენათესავება ბერძნულ-წარმართულ მსოფლიო შეგნებას, ეუცხოება კიდევ იბსენისა და შოპენჰაუერის მოწამლული პესიმიზმი, გაუხარებელი მსოფლიო ჭმუნვა. ამიტომაც ჩვენ მარტოოდენ გაოცებით შევცქერით იბსენის მიზანტროპიას და ფეოდორ დოსტოევსკის თვითმწვალეობას და ღმერთის ძიებას.

იბსენის დრამებში მხოლოდ რამოდენიმე მინახავს და წამიკითხავს, ¹⁾ რადგან ყველაფრის კითხვა ისევე შეუძლებელია, როგორც ყველაფრის წერა.

¹⁾ ბიოგრაფიული ცნობები და ფაქტოლოგიური მასალა ამოღებულია შემდეგ წყაროებიდან: *Einiges Uber Ibsen*. დიუსელდორფელი იბსენის საზოგადოების გამოცემა. 1909. ვორნერის, დუმონტის, ჰერმან ბაჰრის, ანრი ლიხტენბერგის, ბერნარდ შოუს და სხვათა გამოკვლევანი. *Stephan Grossman. Ibsendämmerung*. ფრიც გურლიტის გამოცემა. ბერლინი. 1919 წ.

კ. ზ.

* * *

ნებსით ემიგრანტი — იბსენი შორიდან ეტრფის თავის ნორვეგიას და გულში იდუმალ გრძნობას ატარებს: პერ გინტით ასწავლის პატარა ნორვეგიას სიდიდეზე ოცნებას. რომშივე დასწერა მან ბრანდი.

მე მეუცხოება კიდევაც იბსენი და ტოლსტოი მსოფლიოსადმი ეთიური მისვლითაც.

ორივე დიდი ალამდარი გასული საუკუნისა, საუკუნის ცოდვებით დატვირთული იყვენ და საუკუნის ცოდვების განწმენდისათვის იბრძოდენ.

Dichten Gerichtshof halten über das eigene Ich.

პოეტობა — საკუთარი მეობის გასამართლებაა.

აღიარებდა იბსენი.

ბრანდი და ექიმი შტოკმანი ნიცმესებური ზეკაცობის იდეალებით მოწამლული ხალხია.

მაგრამ ზარატუსტრა თუ უდაბნოში მიიწევდა, იბსენის გმირები — საკუთარ სულში შექმნილ უდაბნოდან ადამიანებთან მიეშურებიან რათა ახალი, მორჯულებული, განწმენდილი ადამიანობის პოსტულატები უქადაგონ ხალხს.

ამიტომაც ასე გოლიათურად ერკინებოდა იბსენი ეთიურ პრობლემებს. ამიტომაც იგი უპირატესად ზნეობრივი რეფორმატორი იყო.

ქადაგი და სახალხო ტრიბუნი!

რამოდენიმე საუკუნით ადრე რომ მოსულიყო იბსენი ამ ქვეყნად, იგი მარტინ ლუტერსავით მუშტს დაარტყამდა ვორმსის სამსჯავროს მაგიდაზე და იტყოდა:...

...„ამ ქვეყნად რომ იმოდენი ეშმაკეულიც მეგულეობდეს, რამდენიც აგურია ამ ტაძრის სახურავზე, მე ჩემსას არ დავიშლიო“.

შემდეგ ვარტბურგში ჩაიკეტებოდა, რომ წმინდა წიგნები ეთარგმნა და ახალი რელიგია ექადაგნა.

რომშივე გაენდო იგი ბიერნსტე ბიერნსონს:

ესთეტიური ელემენტი გულისწიალიდან განვაგდეო.

გოეტე ღრმა სიბერემდის შერჩა წმინდა პოეზიას, რადგან მასში ვერც ეთიკამ, ვერც რელიგიამ პოეტი ვერ დაჩრდილა.

იბსენის და ლევ ტოლსტოის ტრაგედია ეს იყო.

– იბსენიც ისევე ფანატიკოსი, ქადაგად დავარდნილი იყო, როგორც ბრანდი.

ან ყოველივე ან არაფერი!

ბრანდი აპოკალიპსის ყალიბზე გამოჭრილი კაცია.

„რამეთუ არცა გრილხარ და არცა ტფილ მეგულვები აღმონერწყვად პირისაგან ჩემისა“!

იგი ქადაგია იმავე უცნობი ღმერთისა, რომლის საკურთხეველზე ჯვარცმული დიონისოს — ფრიდრიჰ ნიცშე ფიცულობდა.

ეს უცნობი ღმერთი როდი იყო ღმერთი ტრადიციისა, ბიბლიისა ან ქრისტიანობის, არამედ მარად ჭაბუკი ღმერთი-ადამიანი.

ბრანდი უსახსრო, რბილკანიანი ფილისტერი ინტელიგენტი როდია, არამედ დიდი ენტუზიაზისტი, არა მარტო სიტყვის კაცი, არამედ კაცი საქმისათვის განმზადებული. იგი რუსების „ნაროდნიკებსავით“, ან ჩვენ „ტეტიათა მოტრფიალებსავით“ იმისთვის კი არ მიდის ხალხში, რომ მის ზნეობრივ და გონებრივ დონემდის ჩამოქვეითდეს, არამედ თვით ტლანქ მთიელებს შორის მუშაობის დროს იგი იდეალიზმის სხივით ანთებული კელაპტარივით გზას უნათებს ერს.

იგი თავის იდეალს მსხვერპლად სწირავს საყვარელ შვილს, და მოხუც დედას უზიარებლად ჰკლავს.

მისი ცოლიც ამ საოცარი განდგომისა და მისი მამაკაცური უტეხი ნებისყოფის მსხვერპლი გახდება და აჰა, ჯიქური ასკეტი მოსთხოვს თავის მრევლს, ზურგი აქციონ კომპრომისებითა და წინააღმდეგობით სავსე ტრადიციულ ეკლესიას და უგუნური ბრბო ჩააქვავებს მას.

ასეთი ადამიანები ჰქმნიან სულიერ კულტურას, ასეთი ადამიანები ატრიალებენ ისტორიის ჩარხს, რადგან თევზივით ცივისსხლიან ხალხს, აშმორებული ფილისტერული ყოფის გარდა, არაფერი შეუქმნია ამ ქვეყანაზე.

ასეთივე ჯიქური ან ყველაფერი ან არაფერის ალამდარია მეორე გმირი იბსენისა პერ გინტი, შლეგი ჭაბუკი სიყმაწვილის ოცნებებს გადაყოლილი. ოცნებამ გაიტყუა იგი თავის ნორვეგიიდან და საოცარი ავანტიურები შეემთხვევა პერ გინტს.

იგი თავის უთავბოლო ყიალის დროს მდიდარი ბედუინის ქალის საყვარელი გახდება, მისი ექსპანსიური ენერჯია სექსუალურ ორგაზმში იხარჯება; როცა ეს ამბები მოსწყინდება სიძველეთა მკვლევარი ხდება და ბოლოს დაქანცული, მოთენთილი მოხეტიალე თავის ძვირფას ნორვეგიას უბრუნდება, სადაც მას სიჭაბუკის სატრფო — სოლვაიგ — მშობლიურ ნანას უმღერის.

იბსენი ბედმა აღჭურვა დიდი შესაძლებლობით, დიდი სახელი მოიხვეჭა მან უცხოეთში.

მან სიცოცხლეშივე მოასწრო დიდების მწვერვალების თვალის შევლება.

ოცდაათი წლის განმავლობაში მისი დრამები იდგმებოდა მთელს ევროპაში, ბერლინი, მიუნხენი, პარიზი, ლონდონი ყოველ საღამოს ტაშს უკრავდა მის გმირებს.

იგი გოეტეს, ნიცშეს, შოპენჰაუერის და ფრანგ დრამატურგების ჩრდილში გაიზარდა და არც ერთ მათგანს არ ღირსებია სიცოცხლეშივე ასეთი დიდი ტრიუმფით შესვლა ევროპის კულტურულ ცენტრებში, როგორც იბსენს.

მიუხედავად ამისა მართლაც დიდი კაცი და კარგი ევროპელი (ნიცშესებური გაგებით) — იბსენი მუდამ თავის პატარა, საცოდავ ნორვეგიისაკენ იყურებოდა — მის მზეს ფიცულობდა, ნორვეგია იყო მისი დედიკო და სატრფო — სოლვაიგ.

1869 წ. იბსენი აქვეყნებს პოლიტიკურ კომედიას „ახალგაზრდობის კავშირი“. ეს დრამა ბურჟუაზიული სოციალური წყობის გესლიან კრიტიკას შეიცავს.

მწერლის პიროვნების წონა მატულობს ამ გზით. მატულობს და ვრცელდება მისი ზედგავლენის პერიფერია. ეს კარგად ესმოდათ იბსენსა და ბერნარდ შოუს, რომელიც თავად აღიარებს, რომ მისი დრამები იბსენის ზედგავლენას არ ასცდენია, ეს კარგად ესმოდა ანატოლ ფრანსს. ბლასკო იბანიესს, მორისს ბარეს და თუნდაც ლევ ტოლსტოის.

1877, 79, 81 წლებში ზედიზედ ქვეყნდება: „საზოგადოების ბურჯნი“, „აჩრდილნი“, „ხალხის მტერი“. 1884 — 86 წლებში „გარეული იხვი“ და „როსმერჰოლმი“. მთელი ევროპის ფილისტერებმა ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს ამ ენაგესლიან ნორვეგიელ დრამატურგს.

მთელი ბურჟუაზიული პრესა ყალყზე დადგა.

ჩემს წინაშე ძვეს დიუსელდორფელი იბსენის საზოგადოების მიერ გამოცემული პრესის ანკეტა.

ბერლინელი გაზეთი „Post“, „გარეულ იხვზე“ სწერდა:

„ყოველივე ეს ბრუტალურ თავხედობას აჭარბებს კიდევ“.

„ნორდნოიჩე ალგემაინე“:

„ამ დრამასთან მონაგონია ფრანგული უზნეო კომედიების სიბინძურე“.

ერთი „ქრისტიანული“ გაზეთი „ატეისტურ არამზადობად“ ნათლავს იბსენიზმს.

ინგლისური „Daily Telegraph“,

„ბესტიანურ, ცინიკურ კოცებუას“ ეძახის იბსენს.

კარგად შენიშნა ბერნარდ შოუმ: მხოლოდ ჭკუათხელ იდიოტებს და ჭკუანაღრძობ ხალხს არ ესმით იბსენის სიდიდეო.

დასავლეთის მასშტაბითაც მე არ მეგულება არც ერთი მწერალი გასული საუკუნის მიწურულში, რომელსაც ასეთი დიდი რევოლუცია გამოეწვიოს არა მარტო ლიტერატურაში, არამედ პრესაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც.

მე ამ წერილის არე ნებას არ მაძლევს გადავწვე იბსენის მნიშვნელობას ფილოსოფიური აზროვნების დარგში.

დასაწყისშივე მე აღვნიშნე, რომ იბსენის გონება შეიცავდა გასაოცარ აფეთქების გამომწვევ თესლს.

ადამიანის გონებაში რევოლუციის გამოწვევა.

აი ეს გახლდათ იბსენის უპირველესი ლოზუნგი.

იგი უფრო შორს წავიდა.

„ძირს სახელმწიფო“, წამოიძახა ამ მეამბოხე დრამატურგმა.

იბსენი ფლანგს უსწორებს ამ მხრით ბურჟუაზიულ ევროპაში ანარქიზმსა და ბაკუნინს. ჰასაკში შესული კაპიტალიზმი ათახსირებს ადამიანს ზნეობრივად და ფიზიკურად — და ამ დამახინჯებულ ბურჟუაზიული ყოფისგან შექმნილი მანეკენები განასახიერა იბსენმა თავის სოციალურ დრამებში. განსაკუთრებით მეოცე საუკუნის კვირადღაში ლეშის სუნი იდგა მთელს ევროპაში. ნიცშე მთელ ფილისტერულ განათლებას და სასწავლო დაწესებულებათ იწუნებს და პედაგოგებს ურჩევს ბერძნებსავით სიარული და ცხენზე ჯდომა ასწავლონ ახალ თაობას — ე. ი. მანეკენები გახსნან არსებული სკოლების ნაცვლად. იბსენი ამასხარავებს ოჯახურ კომედიას (ნორა). ილაშქრებს ფილისტერული ქრისტიანობისა და გონება დაჩლუნგებულ განათ-

ლებულ ფილისტერების წინააღმდეგ ისეთივე დიდის პათოსით, როგორც ნიცშე, მხოლოდ ნიცშე კათედრიდან ლაპარაკობდა და იბსენი სცენიდან.

„სახელმწიფო წყევლა პიროვნებისათვის“ აცხადებს იბსენი. ძირეულად უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება ინტელექტუალურ კულტურისადმი, დამოკიდებულება ეკლესიისადმი, ადამიანისა და ადამიანს შორის არსებული დამოკიდებულება.

თავისუფლებაა პიროვნების უმაღლესი პოსტულატი.

ეს თავისუფლება აკლდა „ნორას“ იმიტომაც გარბოდა იგი ოჯახიდან და როცა იგი მიიღო, იგი კვლავ ოჯახს მოუბრუნდა.

ფარისევლობაა ფუძე თანამედროვე საზოგადოებისა და ამიტომაც „ხალხის მტერს“ — დოქტორ შტოკმანს ურჩევნია „უმაღლესი დიქტეს მისი სამშობლო ქალაქი, ვიდრე ნახოს იგი ამ ჭაობში აყვავებული“.

იბსენი თავისი ინტელექტუალური აღნაგობით, უნივერსალი სული იყო.

მის ნაწერებში განსახიერდა დიდი იდეები როგორც მეცხრამეტე საუკუნისა, ისე მეოცესი.

იდეები, როგორც ესთეტიური ხასიათისა, ისე რელიგიურ-ფილოსოფიური საწყისისა, იდეები სოციალური ყოფის რეფორმისა, მოკლედ ყველა ის წყეული საკითხები, რომელიც ეგზომ აწვალებდა როგორც გასულ საუკუნეს, ისე თანდროულობას.

ასმა წელმა განვლო მისი დაბადების დღიდან, მიუხედავად ამისა იგი დარჩება ადამიანის ხსოვნაში მარად ახალი, ჭაბუკური იდეალიზმის ალამდარი და დიდი რეფორმატორი.

იბსენი პოეზიას სთვლიდა საკუთარ თავის გასამართლებად, მისი შემოქმედება კი ჩემის აზრით უფრო ჩვენი საუკუნის გასამართლებას წააგავდა.

ამ უზენაესს სასამართლოს პირველი მსაჯული იყო სკეპტიკოსი, მიზანტროპი, მაგრამ მაინც დაუღალავი იდეალისტი, თეთრ ფაფარიანი ლომი — ჰენდრიკ იბსენი.

— : —

არიფიონი

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურა რთულ და მრავალწევროვან დიფერენციაციით ხასიათდება. ხელოვნების ისტორია სტილების, ჟანრების ცვლითა და ბრძოლით შენდება, მაგრამ ჩვენს დროში ამ მხრივ უფრო თავისებურ გარემოებასთან გვაქვს საქმე. მიმდინარე რევოლუციის პროცესში ერთის მხრივ ძველი და ახალი ესთეტიური ტენდენციები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ხოლო მეორეს მხრივ ახალი მხატვრული კულტურის საწყისების ძიება სხვადასხვა თვალსაზრისითა, სხვადასხვა იდეოლოგიურ-მხატვრული კონცეპციების ნიადაგზე ხდება. ამიტომ სავსებით არ არის გასაკვირი ლიტერატურულ შკოლებისა და მიმდინარეობის ის, ერთგვარი „ჰიპერტროფიული“ სიმრავლე რომელსაც ადგილი აქვს ოქტომბრის შემდეგ ლიტერატურის რკალში საბჭოთა ქვეყნებში.

ამ მხრივ ყოველი ახლად ამოძრავებული ლიტერატურული დაჯგუფება საყურადღებოა და მნიშვნელოვანი იმდენათ, რამდენათაც მას თავისებური თვალსაზრისი შეაქვს ახალი ხელოვნების მშენებლობის იმ დიდ ექსპერიმენტალურ ლაბორატორიაში, როგორათაც შეიძლება წარმოვიდგინოთ თანამედროვე საბჭოთა ხელოვნება.

ამ შემთხვევაშიც „არიფიონი“-ს დაფასებაც ამ თვალსაზრისიდან უნდა გამომდინარეობდეს, რადგან „არიფიონი“ შემთხვევით აღმანახი კი არ არის, არამედ გარკვეული პრეტენზიებით გამოსული ლიტერატურული დაჯგუფების ორგანოა.

„არიფიონში“ გაერთიანდნენ საკმაოდ ცნობილი და დამსახურებული ქართველი მწერლები; მათ როგორც უკვე დამთავრებულ სტადიის მწერლებს კარგად იცნობდა ლიტერატურული აუდიტორია და მით-უფრო ქართული მწერლობა. ვიცნობდით ჯვახიშვილს, შანშიაშვილს, დადიანს, გ. ტაბიძეს, ქიაჩელს და სხვ., მაგრამ რა თქმა უნდა ვერავინ იფიქრებდა, ამ მწერალთა ლიტერატურული შეხედულების, გაგების, გემოვნების რაიმე მთლიანობას.

*) საშუალებას ვაძლევთ ამხ. ულენტს, როგორც ერთ-ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის მწერალს, მოკლეთ გამოსთქვას თავისი შეხედულებანი „არიფიონის“ შესახებ. ჟურნალის შემდეგ ნომერში, ადგილისა და შესაძლებლობის ფარგლებში რედაქცია ასეთსავე საშუალებას მისცემს სხვა მიმდინარეობათა მწერლებსაც.

ჯერ კიდევ „არიფიონი“-ს გამოსვლამდე არა ერთხელ დასმულა საკითხი, თუ რა პრინციპზე, რა თვალსაზრისზე გაერთიანდენ ეს სრულიად სხვადასხვა თაობის და ხასიათის მწერლები. პასუხს „არიფიონი“-ს გამოცემით მოველოდით.

პრესამ უკვე საკმაოდ აღნიშნა ეს აღმანახი და შეიძლება ქართულ მწერლობაში, ამ უკანასკნელ წლებში, რეზონანსის მხრივ ეს კრებული გამონაკლისსაც წარმოადგენდეს. მაგრამ დღემდე გამოქვეყნებულ წერილებში „არიფიონი“-ს ანალიზი უფრო პუბლიცისტური იყო. ავტორები უმთავრესად პოლიტიკური თვალსაზრისის მომარჯვებით უდგებოდენ მას. რა თქმა უნდა ჩვენ არაფერს ვამბობთ ასეთ განხილვის საჭიროების წინააღმდეგ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ლიტერატურული მოვლენა მწერლობის სპეციფიური თვალსაზრისითაც უნდა შეფასდეს. სხვა გვარად ლიტერატურული კრიტიკა არ გვექნება. და ჩვენი მოკლე და სასწრაფო წერილის პრეტენზიაც სწორეთ ამაში მდგომარეობს.

I თეორია.

ყოველ ლიტერატურულ მიდინარეობას, შკოლას თუ დაჯგუფებას უპირველეს ყოვლისა ერთი გარკვეული მოთხოვნა უნდა წარედგინოს. იგი რაიმე ახალ პრინციპს, ახალს ლიტერატურის ისტორიისათვის, უნდა აყენებდეს თავისი მუშაობის დასაყრდნობათ. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამ ნიშნის მიხედვით ხდება კლასიფიკაცია; სხვაგვარად, საკუთარის პოეტიკის, საკუთარი მხატვრული კრედოს გარეშე გაერთიანებას მექანიკური ხასიათი აქვს და რა თქმა უნდა უეცრად ქრება, შეუმჩნევლად და უმნიშვნელოდ ლიტერატურის განვითარებისათვის. ვფიქრობთ, რომ არ დაგვჭირდება დავასახელოთ ამის დასამტკიცებლად მაგალითები, თუნდაც ევროპის უახლესი პოეზიიდან.

პოეტიკის საკითხს ჩვენ არსებით მნიშვნელობას ვაძლევთ ლიტერატურულ დაჯგუფებების დაფასების დროს, რადგან ლიტერატურა ჩვენის ფიქრით არის მიზანშეწონილი, სასარგებლო და საჭირო საქმიანობა, ხოლო გარკვეული თვალსაზრისის, ორიენტაციის გარეშე ასეთი მუშაობა შეუძლებელია.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ „არიფიონს“ ამისი მსგავსი არაფერი უჩვენებია, აქ ცდაც კი არ არის რაიმე განსაკუთრებული ლიტერატურული თვალსაზრისის გამომუშავებისათვის.

„არიფიონი“-ს თეორიის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ „სალიტერატურო განცხადებისა“ და გ. ქიქოძის „არიფიონი ჰერეთში“-ს მიხედვით.

„სალიტერატურო განცხადება“-ში, რომელიც დეკლარაციის სახით არის წარმოდგენილი, ვკითხულობთ: „არიფიონი“ იმ ქართველ მწერლობას აკავშირებს, რომელთაც ამ გზაზე (ახალი ძიების გზაზეა ლაპარაკი. ბ. ჟ.) უკვე შეიძინეს საკუთარი გარკვეული სახე მეტყველების და ესთეტიური ხილვის“ მაგრამ არსად, არც ერთი სიტყვით არ სჩანს, თუ რა სახეა ეს, რა მეტყველება და როგორი ესთეტიური ხილვა. „განცხადება“ საერთოდ მეტად ბუნდოვნად არის დაწერილი. უნდა ვიფიქროთ, რომ „საკუთარი გარკვეული სახე“ მეტყველებისა, ნიშნავს მხატვრული ფაქტის სტილისტურ, ხელხობრივ მხარეს. ამ შემთხვევაში „არიფიონი“ უნდა გვეუბნებოდეს ან პრაქტიკით, ან თეორიით — თუ რა განსხვავებულ ხერხობრივ კანონებზეა აგებული მათი მხატვრული პრაქტიკა, რით განიჩევა „არიფიონის“ „მეტყველება“ სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა მეტყველებისაგან, რა საერთოა ჯავახიშვილსა და მელიქიშვილის მეტყველებაში, ჭიჭინაძისა და შანშიაშვილის მეტყველებაში? რა თქმა უნდა პასუხი არ სჩანს „ესთეტიური ხილვა“ უნდა ნიშნავდეს გარესკნელთან, ობიექტთან, თემატიურ მასალასთან მიდგომას, მაგრამ რატომ არაფერია ნათქვამი აქ თუ რა „ხილვა“ სიმბოლისტურ, რეალისტურ, ნატურალისტურ, ექსპრესიონისტურ და სხ. „ხილვათაგან“?

„არიფიონს მიზნად აქვს დასახული ხელი შეუწყოს თავის წევრთა შორის და ყველგან მხატვრულ მეტყველებასა და აზროვნების კულტურას, ქართული სიტყვისა და თქმის დაწმენდას და ადამიანის კულტის განმტკიცებას.“ ვკითხულობთ „სალიტ.-განცხადება“-ში.

ასეთი მიზანი რომ რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციას დაესახა, მაშინაც ვიკითხავდით, თუ რა აბსტრაქციაა ეს „ადამიანის კულტის განმტკიცება“, რომელ ადამიანზეა აქ ლაპარაკი? რომელ ქვეყანაში. რომელი ლიტერატურული მიმდინარეობა გამოდიოდა ადამიანობის წინააღმდეგ, მეტყველებისა და აზროვნების კულტურის წინააღმდეგ; რომელი ქართველი მწერალი არ „ისახავს მიზნად“ ქართულ ენის დახვეწას და დაწმენდას? მაშ რა დარჩა არიფიონის მიზ-

ნებში თავისებური, სპეციფიური, რომლის მიხედვითაც მათ საკუთარი ლიტერატურული დაჯგუფება დასჭირდათ?

„სალიტ.-განცხ.“-ში ადგილი აქვს მკაცრ ლოლიკურ წინააღმდეგობებს ძირითად საკითხებში. მაგალითად: „ორთქლისა და ელექტრონის ეპოქას სრულებით სხვანაირი ესთეტიური გემოვნება და შეგრძნობანი აქვს ვიდრე აბჯარ-კოშკების ხანას ჰქონდა“. მკითხველი ბუნებრივად გაკვირვებულია, რა საჭიროა ასეთი ელემენტარულ ჭეშმარიტებებზე ლაპარაკი ახლად გამოსული დაჯგუფების დეკლარაციაში მაგრამ იქვე, რამოდენიმე სტრიქონის შემდეგ სრულიად საწინააღმდეგო „განცხადება“ გვხვდება.

„ქართულ ხელოვნებისა და მწერლობის განახლება ძველი კულტურის უარყოფას კი არ ჰგულისხმობს, არამედ მასში დამარხულ ზნეობრივ-ესთეტიურ ღირებულებათა გამოყენებას დღევანდელ ადამიანის გემოვნების მიხედვით“.

გამოდის, რომ „სრულიად სხვანაირი ესთეტიური გემოვნება და შეგრძნობის“ მქონე ეპოქაში „დღევანდელი ადამიანის გემოვნებისათვის, მისაღები და გამოსადეგი ყოფილა „წარსულის ესთეტიური ზნეობრივი ღირებულებანი“ აქ გარდა უმძაფრეს პასსეიზმისა (განახლება თურმე არ გულისხმობს წარსულის უარყოფას — რა „კონტრავერზაა“!) უბრალო ლოლიკურ წინააღმდეგობას აქვს ადგილი და ეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორც არის კულტურული მემკვიდრეობის პრობლემა.

„სალიტ.-განცხ.“-ში ნათქვამია: „თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა, და ახალი მსოფლმხედველობა, შეგნება, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერჯერობით ვერ უპოვნია თავისი სრული სახე ხელოვნებასა და ლიტერატურაში“.

აქ ბუნდოვნათ, მაგრამ მაინც სჩანს „არიფიონის“ ლიტერატურული პოზიციის ერთი მომენტი, რომელიც არამც თუ ცნობილია ლიტერატურაში, არამედ ძველისძველიც არის.

„არიფიონი“ ფიქრობს, რომ „ახალი ადამიანი“ უკვე ჩამოყალიბებულია ყველა თავისი ახალი ფსიქიურ-მოლარულ-ესთეტიური ატრიბუტებით: მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ხელოვნებას ვერ მოუხერხებია მისი სახე მწერლობაშიც გამოეხატა. აქ „არიფიონი“ გამოდის „ამსახველობით ხელოვნების“ აპოლოგეტათ, ეს ძველი ტრადიციული რეალიზმის“ ბუნდოვანი განმეორებაა თუ რესტავრაცია. „არიფიონის“ მიზანი ყოფილა უკვე ყოფაში მოცემული ახალი ადა-

მიანის — ლიტერატურაში გადატანა რა პასიური ფუნქციაა, რა უმნიშვნელო და სოციალურად უსარგებლო მიზნებით აღჭურვილა ეს ახალი კორპორაცია!

უნდა შევედგეთ „არიფიონს“: უნდა განვმარტოთ, რომ მიმდინარე პერიოდის მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეს „ახალი ადამიანი“ ზემოთ ჩამთვლილ ატრიბუტებით ჯერ კიდევ არ არსებობს, რომ თანამედროვე ადამიანში ერთიანდება წარსულის ტრადიციების ნაშთები და მომავლის ჩანასახები. ამაში მდგომარეობს თანამედროვეობის გარდამავალი ბუნება. ასეთ მდგომარეობაში მწერლობის დანიშნულებაა, ებრძოდოს „წარსულის ცრუმორწმუნოებას“ და ახალი ტენდენციების განმტკიცების გზით ხელი შეუწყოს ახალი ადამიანის ფორმაციის დაჩქარებას. ამ შემთხვევაში ლიტერატურა „ახალი ადამიანის“ ორგანიზაციის ერთ-ერთ ფაქტორათ უნდა გამოვიდეს, რადგან ლოდიკურათ „ახალი ადამიანი“ ახალ ეკონომიკის, ახალ პოლიტიკის, ახალი იდეოლოგიის (მაშასადამე ახალი ხელოვნების) ნიადაგზე შეიძლება გაჩნდეს. „არიფიონი“ კი არაფერს გვეუბნება ამის შესახებ, პირიქით წარსულის „ესთეტიურ — ზნეობრივ“ ღირებულებათა დაცვით იგი ერთგვარად აფერხებს ლიტერატურულ რევოლუციის პროცესს ამდენადვე იგი კულტურის თვალსაზრისით უეჭველად მემარჯვენე მოვლენაა.

კულტურულად, მოხერხებულად, ერუდიციით დაწერილია გერონტი ქიქოძის „არიფიონი ჰერეთში“ მაგრამ „რაც უკეთესი, მით უარესი“, რადგან აქ ჩვენ ვხედავთ პასეიზმის შესანიშნავ აპოლოგიას. უაღრესად რესტავრატორულ კონსერვატიულ აზროვნებას მოხდენილ სტილისტურ კონსტრუქციაში.

„არიფი თანამესუფრეს ნიშნავს, არიფიონი შეზარხოშებულ ადამიანების კავშირია, მაგრამ ჩვენ ვითრობით არა ღვინით, არამედ ურთი-ერთ შთაგონებით და შემოქმედებით“. რა ძველი, ათასჯერ გაგონილი ამბავია! შემოქმედებით და შთაგონებით თრობა. ჰაშიშის კულტი პოეზიაში. ბოჰემა. თავდავიწყებისა და გაბრუების ლიტერატურა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამას თანამედროვეობის მშენებლობასთან არაფერი აქვს საერთო. ჩვენს დროში ლიტერატურის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს საღი, ფხიზელი აზრის გზით ახალი ყოფისა და საზოგადოებრივობის ფორმაციას.

თრობა, შეზარხოშება, თავდავიწყება, იქნება ის ღვინით თუ „შთაგონებით“ — ჩვენს პირობებში ანტიპოდური მოვლენაა ახალი

კულტურის მშენებლობის რაციონალურ-პოზიტიურ ტენდენციების. ამიტომ, „თრობის პოეზია“ უეჭველათ არათანადროული მოვლენაა.

გ. ქიქოძე განაგრძობს: „ბევრ ჩვენს მწერალს არგებს, თუ იგი განმარტოვებული კაბინეტიდან ან მტვრიან წიგნთსაცავიდან, ხანდა-ხან გაშლილ სუფრას დაუბრუნდება“.

თურმე ქართულ მწერლობაში კიდევ საჭირო ყოფილა ღვინის და გაშლილი სუფრის პროპგანდა.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ქართველი მწერლობა უნდა გამოექცეს გაშლილ სუფრას და წიგნს, კალამს, საქმეს, (კაბინეტსაც თუ გნებავთ) დაუახლოვდეს. „არიფიონი“ კი, აქაც, ამის საწინააღმდეგოს გვიქადაგებს.

„ოღონდაც — გვეუბნება გ. ქიქოძე — თაობა თაობას მისდევს და კულტურის საგნობრივი გარემო ახლდება, მაგრამ იდეები აგრე-რიგათ როდი იცვლებიან“.

პირიქით, ძველსა და ახალ საზოგადოებრივობის შორის „საგნობრივი გარემოს“ ნივთიერი ინვენტარის ცვლა კი არ არის ამის უმთავ-რეს, არამედ ამ „საგნობრივი გარემოს“ რეკონსტრუქცია, მისი სხვა-გვარ წყობაში მოყვანა, რაც ახალ იდეებს, ან უკეთ ახალ იდეოლო-გიას თავისთავად გულისხმობს; გ. ქიქოძე გვიმტკიცებს „საგნობრივი გარემო“ შეიცვალა, იდეოლოგია კი (და მაშასადამე ხელოვნებაც) ძველი რჩება, ის აგრე რიგათ არ იცვლება. აქედან დასკვნა: ძველი ხელოვნების ტრადიციებით, ძველი ფორმებით და ხერხებით მივი-დეთ ახალ „საგნობრივ გარემოსთან“. ეს შეხედულება გარდა იმისა, რომ ყოველად პასეისტურია, ამავე დროს მეტად ძველია. ამ თეორიას ჩვენ კარგათ ვიცნობთ, დიდი ხანია ვებრძვიტ მას და აქ განმეორებას აღარ დავიწყებთ.

ასეთია „არიფიონის“ ლიტერატურული კონცეპცია, უკვე ნათე-ლი ხდება ამ თეორეტიულ საფუძვლებზე დამყარებული მხატვრული პრაქტიკის ხასიათი. მაინც განვიხილოთ იგი, რაც შეიძლება სასწრა-ფო და მოკლე ექსკურსიის სახით.

II ლექსები.

„არიფიონში“ ოთხი პოეტია წარმოდგენილი. ყველა მათგანი საკმაოდ ცნობილი პოეტებია. მაგრამ მათ მუშაობას ქართული ლექ-სის ახალი კულტურისათვის მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს.

ყოველი ლექსი, ორ მოთხოვნას უნდა უპასუხებდეს ეხლანდელ პირობებში: 1. ის უნდა შენდებოდეს აქტუალურ თემატიურ მასა-

ლაზე, რომ უფრო ახლო მივიდეს ახლად მოყალიბე ადამიანის ბუნე-
ბასთან. 2. ის უნდა შენდებოდეს კონსტრუქციის ახალი კანონების
აღმოჩენის გზით, ახალი სტილისტიური ხერხებით, რომ ლიტერატუ-
რის შინაგან, მორფოლოგიურ რეკონსტრუქციას უწყობდეს ხელს.

სხვა გვარად დაწერილ ლექსს, თუნდაც „კარგათ“ დეწერილს,
ტრადიციულ გაგებით, არ ექნება აქტუალური მნიშვნელობა თანამედ-
როვე ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ავიღოთ მაგალითად ისეთი პოპულიარული და ცნობილი პოეტის
ლექსები, როგორც არის ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი: აქ და-
ბეჭდილია „შოთას ბეჭედი“ და „ცაგო მღერის შაირებს“, ეს ლექსები
არც თემატიურათ, არც ხერხობრივათ არ არის საინტერესო. არამც
თუ რაიმე ახალი ექსპერიმენტი და ცდა, ძველი ლექსალობაც აქ ცუ-
დათ არის გამოყენებული. (შანშიაშვილის პოეზიაშიც ეს ლექსები შე-
რადებით მდარეა).

„არ მოდის, ელის ყოველ დღე
ამბავი გაეგება რა
შიშობს, თალხები ჩაიცვას
თან მისთვის გული სწყდება რა“

რიტმი, სიტყვითი მასალა, ინტონაცია — ყოველად, ყოველად ძვე-
ლია! გარდა ამისა სტრიქონები აგებულია ყოველგვარ ოსტატობის
გარეშე. რიტმის მხრივაც სუსტია. „გაეგება რა — სწყდება — რა“ რი-
თმა არ არის. აქ ორივე ინტონატიური ერთეული დაყენებულია ზმნის
ერთსა და იმავე მიმობერაში. ამ ხერხით ყოველ სიტყვისაგან შეიძ-
ლება მივიღოთ რითმა.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ლექსები „ყანწელების“ გან-
ხრით არის დაწერილი.

საუკუნეთა უნაპირო უტეხი ტევრი,
კბილით დაგლეჯა და მძვინვარე მხეცთა დუელი.
იყო ტუბალი, მოსინიკი და ქარდუელი —
შენი ზღაპრული განდიდების ნამსხვრევი ბევრი“.

ასე იხსნება მისი ლექსი „პრეისტორია“. ლექსის თემატიური მა-
სალა მეტად აბსტრაქციულია, არა აქტუალური, იგი ზოგიერთ მის-
ტიკითაც არის დამახინჯებული, მაგალითად.

„მე მყავდა ძაღლი, დაუნდობელ სასტიკ ლამეში,
ოთხი ათასი წლის წინათ რომ უყეფდა ქურდებს...
და შემდეგ:

„ის მოკვდა ბოლოს, დაიშალა დამპალ კანებად,
და მას ბავშვებმა გაუტეხეს მაგარი კეფა.
ო, მე მჯერა, რომ ეხლაც კიდევ იმისი ყეფა
მარადისობის უფსკრულებში მიეჭანება“

უმთავრესი ის არის, რომ პოეტი ავტომატიურად მიყვება დეკა-
დენტური ლექსის გატკეპნილ გზებს. არ იწუხებს თავს შესცვალოს
ან კომპოზიცია ტრადიციული ლექსის, ან სინტაქსისი, ან რიტმი —
ასე წერა არ შეიძლება ჩვენს პირობებში. „რიონის აპოლოგიის“ ავ-
ტორის მხატვრული პოტენცია ასე უმნიშვნელო საქმეს არ უნდა გა-
დაყვეს.

ვასო გორგაძის ლექსი „მარელის“-ი თემატიურათ უფრო
კონკრეტული და ხელსახებია. მაგრამ ახალი თემატიური მასალა
ძველ ხერხობრივ აპარატში რა თქმა უნდა მასალის აქტუალობასაც
ანელებს, ლექსში სჩანს ავტორის ენტუზიაზმი ურბანისტული კულ-
ტურის შემოსვლით, — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით, (ავტორის „თა-
ნამგზავრობა“ როგორც ამბობენ) მაგრამ ლიტერატურულ პროდუქ-
ციით პოეტი ამ პროცესის გარეშე რჩება. თუ „ელნათურები“ და „გა-
ბურღული ყანები“ ახდენენ ჩვენი ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის
რეკონსტრუქციას, ასევე უნდა უპირისპირდებოდეს ახალ ლექსის
კულტურა ძველს. გორგაძის ლექსი კი ისევ ძველი ტრადიციული პოე-
ტიკის ჩარჩოებშია მოქცეული.

ი. ლ. მოსაშვილი აქ მოთავსებული ლექსი „ესენინშჩინის“
კლასიკური ნიმუშია ამ ალმანახში განწყობილების მხრივ. ეს ლექსი
„კარგათ“ არის დაწერილი. მაგრამ ისიც ძველი ლექსია. ამდენათ იგი
კარგავს ღირებულებას რადგინდ „ნიჭიერად“ არ უნდა იყოს მასში
გამოყენებული ძველი ლექსალობის ხერხები, რადგინდა პათეტიურიც
არ იყოს მისი ზოგიერთი ადგილები.

საერთოდ „არიფიონი“-ს პოეტები ქართულ ლექსის კულტურას
არაფერს მატებენ.

III პ რ ო ზ ა

„არიფიონი“-ს საკმაოდ სქელტანიანი ალმანახი უმთავრესად
პროზით არის დამდიმებული. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ალმანახ-
ში თითქმის ყველა წარმოდგენილი ბელეტრისტები გაცილებით დაბ-
ლა სდგანან იმ ლიტერატურულ დონისაგანაც, რომელზედაც ისინი
ცნობილი არიან ჩვენს მწერლობაში.

მაგალითად რას წარმოადგენს „გუშინდელნი“-სა, „უბედური რუსი“-სა და სხვების ავტორისათვის (შ. დ ა დ ი ა ნ ი) ამ ალმანახში დაბეჭდილი „ათე“? ნუთუ მტკიცებაა საჭირო, რომ ამ ნახევრად ზღაპრულ ნამუშევარში საგრძნობ უკან დახევასთან გვაქვს საქმე?

ან და რა არის ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს „დამპატიყე“? თუ „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ნაწილობრივ მაინც იპყრობს ყურადღებას; თუ „ჯაყოს ხიზნები“ აქტუალური მაინც იყო თავისი თემატიკით, რამდენათაც იქ ქართველი ინტელიგენციის პრობლემა იყო დაყენებული (რითაც აიხსნება ამ ნაწარმოების რეზონანსი), „დამპატიყე“ ყოველგვარ აქტუალობას მოკლებულია და ინტერესსაც, რადგან იგი ოდნავათაც დამაჯერებელი, დამარწმუნებელი აღნაგობით არ არის მოცემული. თუ წინათ ჩვენ ვსწერდით, რომ ჯავახიშვილმა იცის აქტუალური თემის აღება, ფაბულის საინტერესოთ აშენება, ხოლო სტილისტური კონსერვატიზმი სპობს მის მნიშვნელობას-თქო, აშ უკანასკნელ ნაწარმოებს ეს თვისებებიც არ გააჩნია.

ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს, მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს, ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ს მოთხრობები ამ ალმანახში — ძნელი გასაგებია რა დანიშნულებით იწერებოდა. ქართული პროზის განვითარებისათვის, სტილის, სიუჟეტის შენების, კომპოზიციის და სხვ. მხრივ ეს საფეხური დიდი ხანია განვლილია ქართული ბელეტრისტიკის მიერ და მისი რესტავრაცია ვის და რისთვის უნდა ესაჭიროებოდეს?

ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი ს „თავადის ქალი მაია“ დაწერილია კულტურულად და ერთგვარი ოსტატობითაც. თემატიურათ ეს ნამუშევარი ახალი ყოფის მასალაა. მაგრამ აქ „ამბავის“ განვითარება, მომთხრობელობა გახვეულია მეტის-მეტ რომანტიულ ლირიზმში და იმპრესიონისტულ დესკრიპციაში (აღწერილობა). მოთხრობის ფინალი მეტად დამძიმებულია ფსიქოლოგიზმით. ერთის სიტყვით აქ სიუჟეტის რეალობა დაკარგულია შესრულების რომანტიულ-იმპრესიონისტულ ხერხებში.

ჟურნალში წარმოდგენილია ორი ახალგაზრდა ბელეტრისტი, მ. მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი და ბ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი აქ დაბეჭდილი მოთხრობით „სემიდა“ მეტად სახიფათო გზაზე სდგას. იგი, როგორც დამწყები ბელეტრისტი, ამ თავითვე უნდა აერიდოს ისეთ ეკზოტიურსა და ნახევრად ლეგენდარულ თემატიკას, როგორზედაც „სემიდა“ არის აგებული. მოთხრობის სიუჟეტი გამოგონილის შთაბეჭდილებას ქმნის და დამაჯერებლობას მოკლე-

ბულია. ანავე დროს იგი სრულიად არ არის აქტუალური და მაშასადამე საციალური უტილიტარობით გამართლებულიც. არც ისტორიზმი, არც დღევანდელიობა — დამუშავების მხრივაც ავტორი ტრადიციულ ხერხებს (სიუჟეტის აგებისა, სინტაქსისა და სახეების მხრივაც კი) მიმართავს. ეს იოლი და მსუბუქი საშუალება წერისათვის ყველაზე სახიფათო ახალგაზრდა მწერლისათვის არის. თუ შედარებით ძველი მწერლები „უმცირესი წინააღმდეგობის“ მასალებზე მუშაობენ და ამავე დროს თავს არ იწუხებენ აღმოჩენებით, ახალი მხატვრული მეთოდების ძიებით, ეს შემოქმედებითი „სიზარმაცე“ ახალგაზრდა მწერალს არ ეპატიება.

ბ. მელიქიშვილის „მკერდშებოლილი მერცხალი“ უეჭველად დაწინაურებაა ამ ავტორისათვის და „არიფიონი“-ს აღმანახშიც მას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს. აქ თემატიური მასალა გაცვეთილი და ავტომატიზაცია-ქმნილი არ არის, ამდენათ ცოცხალი და საინტერესო. თემატიურად აქ თითქოს ყაზბეგის რესტავრაციაა, მაგრამ ავტორის მიდგომა მასალასთან უეჭველად სხვაგვარი — თავისებური. ნამუშევარი ბევრს კარგავს თვითონ მერცხალის შეტანით (რომელიც ავტორს, სჩანს უმთავრესი ჰგონია ამ ნამუშევარში), თავისი შებოლილი მკერდით, გულის გაკაწვრით, სისხლით და სიკვდილით ეს მერცხალი ყოვლად ტრაფარეტულ და არა საჭირო ელემენტს წარმოადგენს ამ მოთხრობის კონსტრუქციაში. ამის გამოკლებით ავტორის მუშაობა სტილისტურ მხარეზე — საგრძნობია და მიღწევებიც არის.

ამ წერილის ფარგლებში არ შევეხებით კ. კაპანელის „მიმოქცევის იდეას“. ჩვენ ამ საკითხში ნაკლები კომპეტენტობა გვაქვს და ვფიქრობ „არიფიონის“ ლიტერატურულ მუშაობასთანაც ამ წერილს ცოტა რამ აქვს საერთო.

კ. ჭიჭინაძის კვლევითი ხასიათის მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე — საყურადღებოა, რამდენადაც იგი პოეტიკის კანონებით შედის ლიტერატურის კვლევაში. აქ გამოყენებულია ლიტ. ისტორიის ე. წ. ფორმალური, მორფოლოგიური მეთოდი. ამ მხრივ ნაშრომი ორიგინალობას მოკლებული არ არის. რამდენათ მართალია ავტორი თავის დასკვნებში, ეს სპეციალისტების საქმეა და ამაზე ჩვენ თავს შევიკავებთ.

პ. ქავთარაძის თარგმანი უდავოთ დამაკმაყოფილებელია.

— : —

სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა. *)

სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა გაიხსნა ხელოვნების სასახლის სალექციო დარბაზში 1928 წლის 6 მარტს საღამოს 8 საათზე. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ქართული მწერლების ყველა ლიტერატურული მიმდინარეობანი. დელეგატთა რიცხვი შემდეგნაირად იყო განაწილებული მომქმედ ლიტერატურულ ორგანიზაციათა შორის. საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის 55 დელეგატი; საქ. აკადემიურ მწერლების ასოციაციის 36; "ცისფერი ყანწების" 12, „არიფიონის“ კორპორაციის 12 და მემარცხენე მწერლობის (ფუტურისტების) ასოციაციის 12; გარდა ამისა ყრილობაზე თუთხმეტი ადგილი დაეთმო დაჯგუფებათა გარეშე მდგომ მწერალთა წარმომადგენლობას. ყრილობის შემადგენლობა, მისი დღის წესრიგი და მუშაობის გეგმა გამომუშავებული იყო სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, შემავალ ლიტერატურულ სექციებთან შეთანხმებით.

გარდა დელეგატებისა ყრილობას ესწრებიან პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლები და აგრეთვე გარეშე მოქალაქენი წინასწარი მოწვევით.

პირველი სხდომა.

სამუშაოთი 6 მარტი.

ყრილობას ხსნის სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ს ი ლ. თ ო დ რ ი ა, რომელიც თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნავს შემდეგს: საქართველოს მწერალთა კავშირმა ამ ორი წლის განმავლობაში თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც შეასრულა თავისი სამოქმედო გეგმა, ქართველ მწერალთა პირველ ყრი-

*) უადგილობის გამო ჩვენს ჟურნალში ყრილობის სტენოგრაფიული ოქმების მოთავსებას ვერ ვახერხებთ, ვბეჭდავთ ყრილობის მოკლე ანგარიშს.

რ ე დ.

ლობის დავალებათა მიხედვით. მას საგრძნობი მიღწევები აქვს ქართული მწერლობის არსებულ ხელისუფლებასთან და ახალ სოციალურ ეთარებასთან დაახლოვების საქმეში. ჩამოყალიბდა ქართული მწერლობის ერთიანი ორგანიზაცია, რამაც დიდათ ხელი შეუწყო მწერლობის შემოქმედებითი ზრდა-განვითარებას. მეორე ყრილობამ ჯამიუნდა გაუკეთოს განვლილ მუშაობას, გაითვალისწინოს მასში შემჩნეული დეფექტები და ამის ნიადაგზე გამოიმუშაოს მომავალ მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის გეგმა და მიმართულება.

ამხ. თოდრიას წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივისცა გარდაცვლილ მწერლებს: კ. მაყაშვილს, ბაჩანას, შიო არაგვისპირელს, ს. მგალობლიშვილს, ვასო აბაშიძეს, არტურ ლაისტს, აკაკი ბერეკაშვილს და ილია ჭყონიას ხსოვნას.

ყრილობა ირჩევს საპატიო პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, ლუნახარსკი, ორჯონიკიძე, ენუქიძე, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, შ. ელიავა, ლ. ქართველიშვილი, მ. კახიანი, ბარბიუსი, მაქსიმ გორკი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, მადეან ზადე და თეიმურ გუსეინოვი.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა: ს. თოდრია, ს. მამულია, დ. კანდელაკი, ს. აბაშელი, გრ. რობაქიძე, მ. ჯავახიშვილი, ს. ეული, დ. შენგელაია, პ. ინგოროყვა, შ დადიანი, ბ. ბუაჩიძე, პ. იაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. კაპანელი, ტ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, არ. ჭუმბაძე, გ. მუშიშვილი და ა. ვართანიანი.

ყრილობის სამდივნოში შედიან: ა. მაშაშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, შ. აფხაიძე, ი. მოსაშვილი, ბ. აბულაძე, სამანდატო კომისიაში: ვ. რუხაძე, რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, სტ. კასრაძე, ი. ხოშტარია, სარედაქციო კომისიაში: ნ. მიწიშვილი, დ. რონდელი და მარიჯანი.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი.

1) კულტურული რევოლიუცია და საბჭოთა მწერლობის ამოცანები; 2) საქართ. მწერალთა კავშირის საბჭოსა და პრეზიდიუმის მუშაობა (პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება) 3) სახელგამის მოხსენება; 4) სახელოვნო და სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის მოხსენება, 5) საბჭოთა მწერლების ფედერაციის დაარსება, 6) მიმდინარე საკითხები, 7) არჩევნები.

დღის წესრიგის მიღების შემდეგ პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ე, რომელსაც ყრილობა მხურვალე ტაშის ცემით ეგებება.

ფილიპე მახარაძის მოხსენება

„კულტურული რევოლუცია და საბჭოთა მწერლობის ამოცანები“.

მომხსენებელი ვრცლად აშუქებს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობას. კაპიტალისტური ქვეყნებს მოსვენებას უფრთხობს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ და კულტურული ზრდა, რადგან იგი უძლიერესი ფაქტორია საერთაშორისო კაპიტალის დამხობისა და მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციის. ამიტომ ევროპის სახელმწიფოები ინგლისის მეთაურობით განუწყვეტლივ ცდილობენ ამა თუ იმ სახით შეაფერხონ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშვიდობიანი მშენებლობა და მისი დამარცხებით სამუდამოთ უზრუნველყოს მსოფლიო კაპიტალის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა. მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნების შინაგანი ანტაგონიზმი, (კონკურენცია და სხ.) აღმოსავლეთის კოლონიალურ ხალხთა ამოძრავება, საბჭოთა ქვეყნების ავტორიტეტის და მისდამი სიმპათიის ზრდა ევროპის მუშათა კლასში. საშუალებას არ აძლევს ბურჟუაზიულ ქვეყნებს, განახორციელონ მათი ბოროტი განზრახვები ჩვენ მიმართ. ასეთ გარემოცვაში მიმდინარეობს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პროცესი. უკანასკნელის წარმატებით მსვლელობისათვის აუცილებელი პრიობაა, რომ მასში აქტიურათ ჩაებას მუშებისა და გლეხების მრავალმილიონიანი მასები. ამისათვის კი ამ მასების კულტურული ამოძრავებაა საჭირო. ამიტომ კულტურული რევოლუციის ძირითადი ამოცანაა — მშრომელ მასების კულტურულად აღზრდა. ამ ამოცანას საბჭოთა ხელისუფლება ინტენსიურად ანხორციელებს. წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სასკოლო ქსელის სწრაფი ზრდა, უმაღლეს სასწავლებელში პროლეტარული ელემენტის ზრდა და სხ. არის ამის აშკარა მაჩვენებელი. მომხსენებელს მოყავს ციფრული მასალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ზრდის საილლიუსტრაციოთ. ასეთ პირობებში — ამბობს მომხსენებელი — საბჭოთა მწერლების ამოცანაა — დაგვეხმაროს მასების კულტურულ ამოძრავების საქმეში. მწერლობა უნდა იქცეს მძლავრ იარაღათ სოციალისტურ შეგნების, პროლეტარული იდეოლოგიის გამტკიცებისათვის და ცხოვრების ახალ საფუძვლებზე მოწყობისათვის.

მომხსენებელი ანალიზს უკეთებს თანამედროვე ქართული მწერლობის სხვადასხვა მიმდინარეობას. განსაკუთრებით ჩერდება ...არღი-

ფიონზე“ და აღნიშნავს მის ზოგიერთ იდეოლოგიურ დეფექტებს. საერთოთ მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართული მწერლობა თანდათანობით უახლოვდება მშრომელი ხალხის სული-კვეთებას და ახალ სოციალურ ურთიერთობას. განსაკუთრებით აღნიშნავს პროლეტარული მწერლობის ზრდას და თანამგზავრული ლიტერატურის განვითარებას. მომხსენებელი ვრცლად ჩერდება კულტურულ მემკვიდრეობის გამოყენების აუცილებლობაზე.

თავის მოხსენებას ამხ. ფ. მახარაძე ასრულებს მტკიცე რწმენით, რომ ქართული მწერლობა უფრო მჭიდროთ დაუკავშირდება მუშათა კლასიურ სახელმწიფოს ხელისუფლებას და მასთან უახლოესი თანამშრომლობის გზით ხელს შეუწყობს, სოციალისტურ საზოგადოების განხორციელებას. ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ეგებება ამხ. მახარაძის მოხსენებას.

მეორე სხდომა

7 მარტი.

თავმჯდომარეობს გრიგოლ რობაქიძე.

იხსნება კამათი ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო.

ბ. ბუაჩიძე (პროლეტარულ მწერლობის ასოციაცია) კულტურული რევოლიუციის პერიოდში განსაკუთრებული სიმწვავეთ სდგას წარსულის მემკვიდრეობის საკითხი. ჩვენ უნდა მივიღოთ და გამოვიყენოთ ის ელემენტები კულტურულ მემკვიდრეობიდან, რომელიც გამოსადეგი აღმოჩნდება პროლეტარიატისათვის მისი კლასიური კულტურის მშენებლობის პროცესში. თანამედროვე მწერლობის წინაშე სდგას ამოცანა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. მწერლობა, როგორც ემოციონალური ზეგავლენის კატეგორია. მძლავრი ფაქტორი უნდა გახდეს ახალი ყოფისა და იდეოლოგიის შექმნაში. მხოლოდ ამის შესრულება მწერლობის მხრივ მოითხოვს რევოლიუციის მეთაურ კლასის ინტერესებთან დაახლოვებას და პროლეტარული რევოლიუციის იდეებით ამოძრავებას. ამ მხრივ ქართულ მწერლობაში ადგილი აქვს საგრძნობ წინსვლას. ძლიერდება თანამგზავრული ლიტერატურის ბანაკი, თუმცა ჯერ კიდევ საგრძნობია რევოლიუციის მოწინააღმდეგე ტენდენციები მწერლობაში. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ძნელია მწერლების უეცარი გარდაქმნა და გარდატეხა. ხოლო თანდათანობით დაახლოვება რევოლიუ-

ციასთან მთელ ქართველ მწერლობას ემჩნევა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მემარცხენე მწერლობის (ფუტურისტების ჯგუფი). ორატორი ვრცლად ჩერდება პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი ზრდის დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ პროლეტ. მწერლობა სწრაფი ნაბიჯით მიდის ლიტერატურულ ჰეგემონიის მოპოვების გზით.

ა რ ი ს ტ ო ჭ უ მ ბ ა ძ ე (აკად. მწერლობის ასოციაცია). ქართულ მწერლობასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის სადაო არაფერია. მათი მიზანი საერთოა, რადგან ქართულ მწერლობას ყოველთვის ქონდა ტრადიცია მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ მუშაობისა. კერძოთ საქართველოს აკადემიური მწერლობა მთელი თავისი ძალღონით ემსახურება მიმდინარე კულტურული მშენებლობის საქმეს და შეძლებისდაგვარი წვლილი შეაქვს ახალ ცხოვრების განმტკიცებაში. კულტურული რევოლუციის პროცესში აკადემიური მწერლობა მონაწილეობს მასში დაგროვილი მდიდარი კულტურული მარაგით, მხოლოდ ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ კულტურულ ძალთა გამოყენებას და ფართო საქმიანობაში ჩაბმას. აკადემიურ მწერლობას სავსებით ესმის არსებული ხელისუფლების სურვილები, მას საკმაო უნარი აქვს გაიგოს ახალი ცხოვრების ამოცანა და სათანადო სამსახური გაუწიოს მას.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ჟ ლ ე ნ ტ ი (მემარცხენე მწერლობის ჯგუფი) თუ მწერალთა პირველ ყრილობაზე ჩვენი მსჯელობის უმთავრეს საკითხს ქართული მწერლობის პოლიტიკური ორიენტაცია წარმოადგენდა. ამჟამათ ჩვენი ყურადღების ცენტრი ლიტერატურისა და კულტურის სპეციფიური პრობლემების გადაჭრაზე უნდა იქნას გადატანილი, რადგან ქართული მწერლობა უკვე გარკვევით სდგას არსებული ხელისუფლების ნიადაგზე და მაშასადამე ამ მხრივ საკითხი გადაჭრილათ უნდა ჩაითვალოს. მწერლობის მონაწილეობა კულტურულ რევოლუციაში უნდა გამოიხატოს ძველი ესთეტიური ტრადიციების დაშლით და ახალი შემოქმედებითი გზების გამომუშავებით. კულტურული რევოლუცია ჩვენ გვესმის, როგორც კულტურის შინაგანი გარდაქმნა, მისი ძირეული რეკონსტრუქცია. ამიტომ ლიტერატურის სფეროში შეუძლებელია ძველი მხატვრული ფორმებით, ძველი ხერხებით ვაშენოთ ახალი ლიტერატურა. განახლებულ ცხოვრების მიერ მოტანილ თემატიურ მასალას ესაჭიროება ახალი ხერხები, ახალი ფორმა და მწერლობის ყურადღება უმთავრესად

ამ მხრივ უნდა წარიმართოს. ქართული მწერლობის მემარჯვენე ბანაკი განაგრძობს ძველი ტრადიციებით წერას, მემარცხენე ფრთა იბრძვის ასეთი კონსერვატიული ტენდენციის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა დამახასიათებელია კულტურული რევოლუციის პროცესისათვის და ასეთ დიფერენციაციას ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლებამ. არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებებს პარტიის მიერ გამომუშავებულ სახელოვნო პოლიტიკის ჩარჩოებში უნდა მიეცეს თავისუფალი შეჯიბრების პირობები, საიდანაც ჩვენ მივიღებთ ახალი ცხოვრების შესაფერ ლიტერატურას. საჭიროა ოფიციალური პრესა მეტი ობიექტიურობით მოეპყრას მომქმედ ლიტერატურულ დაჯგუფებებს.

პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი („ცისფერი ყანწების“ ჯგუფი) შემცდარია ის შეხედულება, თითქოს ე. წ. „ტექნიკური ინტელიგენცია“ უფრო ადრე დაუახლოვდა საბჭოთა ხელისუფლებას, ვიდრე ქართული მწერლობა. საქმე იმაშია, რომ მწერლობა, როგორც სულიერი შემოქმედების სფერო შეიცავს ისეთ სპეციფიურ თვისებებს, რომ აქ გარდატეხა უფრო რთული პროცესებთან არის დაკავშირებული. ტექნიკური ინტელიგენციის გამოყენება ახალი საზოგადოებრივობის მშენებლობისათვის უფრო ადვილია და მექანიკური. მწერლობისათვის კი საჭიროა შინაგანი, ფსიქოლოგიური გარდატეხა და სათანადო სულიერი ატმოსფერა, რომ მის მხატვრულ შემოქმედებაში ახალი იდეები ორგანიულად შეიჭრას. საბჭოთა ხელისუფლება არაფერს ზოგავს მწერლობის განვითარებისათვის სათანადო ნივთიერი ბაზისისა და საჭირო სულიერი ატმოსფერის შექმნისათვის. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჟურნალ-გაზეთებში მთელ რიგ შემთხვევაში უმართებულოთ და უხეშად ესხმიან თავს ქართულ მწერლობას. ამას უნდა მიეჭყეს სათანადო ყურადღება. რადგან იგი დამლუპველად მოქმედობს ლიტერატურის განვითარებაზე.

გ ე რ ო ნ ტ ი ქ ი ქ ო ძ ე. (არიფიონის ჯგუფი) კულტურული რევოლუცია იშვიათი მოვლენაა ისტორიაში, რადგან იგი შეტად ღრმა და რთული მოვლენაა. აქ იცვლება არა მარტო ადამიანთა ურთიერთობა და სახელმწიფოსა და პიროვნების დამოკიდებულების ხასიათი, არამედ იცვლება თვალსაზრისთა, შეხედულებათა მთელი სისტემა. თანამედროვე ევროპიული კულტურა მართლაც ისეთ სტადიაში იმყოფება, რომ საჭიროა დიდი სოციალური გარდატეხა, რომ შესაძლებელი გახდეს კულტურული წინმსვლელობა. ჩვენში მხოლოდ პროლეტარულმა რევოლუციამ შესძლო მასსების ეკონომიურად მო-

დონიერებისა და კულტურულად ამოძრავებისათვის საჭირო პირობების შექმნა. „არიფიონი“-ს ჯგუფი უშუალოდ მონაწილეობს მიმდინარე კულტურული რევოლუციის პროცესში, მაგრამ მას არ შეუძლია ერთბაშად უარყოს მთელი წარსული. წარსულში ბევრი რამ არის გამოსადეგი ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის, იქ არის დიდი მორალური ძალა და კულტურული მარაგი, რომელიც სათანადოთ უნდა იქნას გამოყენებული ჩვენ მიერ. ჩვენ გვისაყვებულებენ სკეპტიციზმის შესახებ, მაგრამ ჩვენი ეპოქის თავისებურებანი ბადებენ მას. და შეუძლებელია უკიდურესათ რევოლუციონური ენტუზიასტის ბუნებაშიაღკვირვო რომ ადგილი არ ექნეს ერთგვარ სკეპტიციზმს.

მესამე სხლოვა.

თავმჯდომარეობს ალ. აბაშელი.

გრძელდება კამათი ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო. ს. მამულია: კულტურული რევოლუცია იმაში მდგომარეობს, რომ კულტურის სხვადასხვა დარგთა განვითარება შეფარდებულ იქნას ახალ სოციალურ ურთიერთობის ბუნებასთან და საწარმოო ძალთა განვითარების პროცესთან. საჭიროა არა მარტო წერაკითხვის ცოდნის გავრცელება და მასების კულტურული დონის ამაღლება, არამედ უფრო პროპაგანდა იმ იდეებისა, რომელზედაც ახალი საზოგადოებრივობა უნდა აშენდეს. მწერლობამ უნდა იკისროს ამ იდეების მხატვრული პროპაგანდა ფართო მასებში. თუ ყოველთვის ლიტერატურა ემსახურებოდა გაბატონებული კლასის ინტერესებს და ავრცელებდა მათ შეხედულებებს, საბჭოთა მწერლობა ღრმად უნდა გაიმსჭვალოს რევოლუციის მეთაური კლასის ინტერესებით და მისი პროგრესიული იდეების მხატვრული პროპაგანდით. სამსახური გაუწიოს რევოლუციის გამარჯვებას. ცხადია, ეს ვერ მოხდება ერთბაშად, ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე აღზრდილი მწერლობა უეცრათ ვერ გაიგებს ახალი ცხოვრების ამოცანებს და ამით აიხსნება მწერლობაში შემჩნეული იდეოლოგიური შეცდომები. კომუნისტური კრიტიკის მოვალეობაა მიუთითოს მწერლობას ამ შეცდომებზე, და ამაში საწყენი და შეურაცხმყოფელი არაფერია. კომუნისტური კრიტიკა გარკვევით უნდა აფასებდეს ლიტერატურას პროლეტარიატის კლასიური ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ მას

სჭირდება დიდი სიფრთხილე და ლმობიერება თანამგზავრულ მწერ-
ლობის მიმართ. აქ „კომყოფობა“ ისევე გამოუსადეგარი და მავნეა,
როგორც ზოგიერთ მწერლების პროფესიონალური ამპარტავნობა.

ფილიპე მახარაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში
გარდა აღნიშნულ ორატორებისა მონაწილეობა მიიღეს: მ ი ხ. ჯ ა-
ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, კ ო ნ ს ტ. კ ა პ ა ნ ე ლ მ ა, ვ. ს უ ტ ი რ ი ნ მ ა.
ს ე რ. ა მ ა ლ ლ ო ბ ე ლ მ ა, დ. რ ო ნ დ ე ლ მ ა, ნ ი კ. შ ე ნ გ ე-
ლ ა ი ა მ. ნ. ზ ო მ ლ ე თ ე ლ მ ა, ტ. ტ ა ბ ი ძ ე მ, ვ. მ ა ჭ ა ვ ა-
რ ი ა ნ მ ა, კ. ბ ო ბ ო ხ ი ძ ე მ, გ რ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე მ დ ა
ბ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ მ ა.

მომხსენებელმა ვრცელი და ამომწურავი პასუხი გასცა ყველა
ოპონენტებს. რეზოლიუციის მიღება გადაიდო ყრილობის უკანასკნე-
ლი სხდომისთვის.

გეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს მ ი ხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოდიან
ს ი ლ. თ ო დ რ ი ა და პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი.

ს. თ ო დ რ ი ა ს მოხსენება.

მწერალთა კავშირის მუშაობა გასული ორი წლის განმავლო-
ბაში ვერ ამართლებს ყველა იმ სურვილებს და პერსპექტივებს, რო-
მელიც დასახული იყო მწერალთა პირველ ყრილობაზე. ხელისუფ-
ლება დიდი ყურადღებით ეპყრობოდა მწერალთა ორგანიზაციას.
მაგრამ უკანასკნელმა ვერ გამოიჩინა სათანადო ინიციატივა, რომ
ღირსეულად შეესრულებია ის დიდი მოვალეობა, რომელიც მწე-
რალთა ორგანიზაციას ეკისრება ჩვენს პირობებში. მწერლობას შეე-
ძლო უფრო ნაყოფიერი მუშაობა ეწარმოებია იმ შესაძლებლობათა
ნიადაგზე, რომელიც მას შეუქმნა ხელისუფლებამ. ჩვენი მწერლობის
შემოქმედებითი ზრდა-განვითარება არ ხდება ისეთი სწრაფი და სა-
გრძნობი ტემპით, როგორც შეეფერება ჩვენს დროს, თუ მხედვე-
ლობაში არ მივიღებთ პროლეტარულ მწერლობას, რომლის მიღწე-
ვები ყველასათვის ცხადია და უდავო. მწერლობამ ვერ დააყენა სათა-
ნადო ნიადაგზე თავისი ჟურნალი და ამ მხრივ ვერ გამოიჩინა სა-
ჭირო ენერგიულობა და დაინტერესება. აგრეთვე ვერ არის სათანა-
დო დონეზე დაყენებული მწერალთა წიგნის მაღაზია და დასასვენე-

ზელი სახლები, რომელიც მწერლებს ხელისუფლებამ გადასცა; მწერლობამ ვერ მოიპოვა ფართო მკითხველი აუდიტორია; თავისი მუშაობის გადატანა ვერ მოახერხა მუშათა კლუბებში და საერთოდ ფართო მასსებში. თვით ხელოვნების სასახლეს კი ვერ არის სათანადოთ გამოყენებული. შემაგალ ლიტერატურულ დაჯგუფებათა მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. აგრეთვე სუსტი იყო საბჭოს მუშაობა. პრეზიდიუმი ხშირად იკრიბებოდა და აქტიურ მუშაობასაც ეწეოდა. მწერლებს გაეწიათ დიდი მატერიალური დახმარება. სამაგიეროთ დიდი მიღწევები აქვს მწერალთა კავშირს საზოგადოებრივ - პოლიტიკური საქმიანობის ხაზით. მან გააერთიანა მთელი ქართული მწერლობა და დააყენა იგი საბჭოთა სახელმწიფოს ნიადაგზე. მწერალთა კავშირი გამოვხმაურა ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს, როგორც იყო ომის საფრთხე, ინგლისის მემალაროეთა გაფიცვა და სხ. მწერალთა კავშირი სათანადოთ დაუხვდა უცხოეთიდან ჩამოსულ მწერლებს და გააცნო მათ საბჭოთა ქვეყნების კულტურული ვითარება. აგრეთვე განსაკუთრებით აღსანიშნავია მწერალთა მონაწილეობა რესპუბლიკის ისეთ უზენაეს ორგანოებში, აქტიური და უშუალო მონაწილეობა. როგორც არის ცაკი, ტფილისის საბჭო და აღმასკომი და სხ.

პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი ს თ ა ნ ა მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა. ქართველ მწერალთა ორგანიზაცია არასოდეს არ ყოფილა ისე უზრუნველყოფილი ფინანსიურად. როგორც ამ ორი წლის განმავლობაში. მწერალთა კავშირს საშუალება ჰქონდა მატერიალური დახმარება გაეწია უმუშევარ მწერლებისთვის. მწერალთა კავშირის შუამდგომლობით მას გადმოეცა დიმიტრი ყიფიანისეული სახლი, და აგრეთვე აკაკა წერეთლის ყოფილი სახლი, სადაც ეწყობა მწერალთა დასასვენებელი სახლები. ხელოვანთა სასახლეში სწარმოებდა ლიტერატურული მუშაობა ლექცია-დისპუტებისა და საღამოების მოწყობის სახით. მწერალთა კავშირმა სათანადო ნაბიჯი გადადგა ამიერ-კავკასიის ერთა კულტურული დაახლოვებისათვის. მან სათანადო მუშაობა აწარმოვა ქართული თერმონოლოგიის გამომუშავებისა და ქართული ენის ლიტერატურულად დახვეწის საქმეში. მწერალთა კავშირმა მიიღო ზომები საავტორო უფლების განმტკიცებისა და მწერალთა მატერიალურ ინტერესების უზრუნველყოფისათვის. მთელი რიგი დასახული ამოცანებისა ამ ორი წლის განმავლობაში ვერ იქნა განხორციელებ-

ბული, რადგან ამ ხნის განმავლობაში ჩვენს უმთავრესს ყურადღებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა იპყრობდა. ამით აიხსნება ის დეფექტები, რომლებიც ჩვენს მუშაობაში არის შემჩნეული.

სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენებით გამოვიდა ლევან მეტრეველი, რომელმაც აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი მწერალთა კავშირის მუშაობაში, განსაკუთრებით მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ფინანსური რესურსების არა სათანადო გეგმიანობითა და მიზანშეწონილობით ხარჯვას.

ყრილობის მეოთხე და მეხუთე სხდომაზე იმართება მხურვალე კამათი მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა მწერლებმა: რაჭ. გვეტაძემ. ბეს. ჟღენტმა, გ. ქუჩიშვილმა, დ. მეგრელმა. ი. ხოშტარიაშვილმა, ვ. კოტეტიშვილმა, გ. მუშიშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ს. ეულმა, ს. ერთაწმინდელმა, ნ. ჩაჩავამ, ნ. მიწიშვილმა, კირსანიძემ. რ. კალაძემ. ბენიტო ბუაჩიძემ, აროსტო ჭუმბაძემ, ნინო თარიშვილმა, ს. ავჩიანმა და სხ.

ორატორები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ განვლილი მუშაობის განმავლობაში გაერთიანდა მანამდე დაქსაქსული და ორგანიზაციულად დაშლილი ქართული მწერლობა: რომ ამ ხნის განმავლობაში ქართული მწერლობა მთლიანად დადგა არსებული ხელისუფლებისა და მიმდინარე რევოლუციის ნიადაგზე, რომ მოხდა საგრძნობი დაახლოვება მწერლებისა ხელისუფლებასთან და გაძლიერდა მწერლობის მონაწილეობა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ მშენებლობაში. მთელი რიგი ორატორებისა ამავე დროს აღნიშნავენ დეფექტებს კავშირის მუშაობაში: მწერალთა კავშირმა ვერ აწარმოვა სათანადო კულტურული მუშაობა ხელოვანთა სასახლეში; მან ვერ გადაიტანა თავისი საქმიანობა მუშათა ფართო ფენებში, იგი სრულიად მოსხლეტილია პროვინციას; მან სათანადო იდეოლოგიურ-მხატვრულ სიმაღლეზე ვერ დააყენა ერთად ერთი საკუთარი ჟურნალი, სათანადოთ ვერ იცავს მწერალთა პროფესიონალურ ინტერესებს; მოდუნებულია კავშირში შემავალ ლიტერატურულ მიმდინარეობათა მუშაობა და სხ. და სხ.

მომხსენებლებმა თავიანთ საბოლოო სიტყვებში განმარტეს აღნიშნულ ნაკლოვანებათა ობიექტური მიზეზები.

დასასრულ ყრილობამ მიიღო სათანადო რეზოლუციის ძირითადი საფუძვლები, ხოლო საბოლოო რედაქცია მიანდო სარედაქციო კომისიას.

მეექვსე სხდომა.

თავმჯდომარეობს დ ე მ ნ ა შ ე ნ გ ე ლ ა ი ა.

დღის წეს-რიგის მიხედვით სახელგამის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის სახელმწიფო გამომცემლობის გამგე: ბ ა რ ო ნ ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი.

მომხსენებელი ვრცლად და დასაბუთებულათ არკვევს ბეჭდვითი საქმისა და კერძოთ წიგნის როლს ახალ, სოციალურ კულტურის მშენებლობის საქმეში. საბჭოთა წიგნმა უნდა აღმოფხვრას უმეცრებისა და წარსულის ცრუმოწმუნობათა ნაშთები და მოსახლეობის ფართო მასებში განამტკიცოს ახალი იდეოლოგიის, სოციალური კულტურის საფუძვლები, ამიტომ სახელგამი არის არა მარტო კომერციული დაწესებულება, არამედ უმთავრესად კულტურული ორგანიზაცია, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს კულტურული რევოლუციის პროცესში. პარტიისა და ხელისუფლების საერთო პოლიტიკასთან შეფარდებით, სახელგამის სამოქმედო გეგმის მთავარ ღერძს შეადგენს: დაბეჭდოს ძველი მწერლებიდან ისეთი ნაწარმოები, რომელთაც ჩვენს დროში კიდევ არ დაუკარგავსთ თავისი მნიშვნელობა და ღირებულება, განსაკუთრებით ხელი შეუწყოს ახალი მწერლობის ზრდა-განვითარებას და წიგნის მასიური გავრცელების სახით — ხელი შეუწყოს მუშურ-გლეხურ ფენების კულტურულ ამოძრავებას. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა (პოლიგრაფიული საქმის მოუწესრიგებლობა; საბეჭდი მასალისა და ქაღალდის სიმცირე; ქართული წიგნის ტირაჟის სიმცირე და სხ.) სახელგამი მაინც შეუჩერებლივ ზრდის თავის მუშაობას. იგი სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე სკოლის მოთხოვნილებებს, სცემს სამეცნიერო-სპეციალურ ლიტერატურას, ძველსა და ახალ მწერლობას, თარგმნილ ლიტერატურას და სხ. მომხსენებელს მოყავს ციფრული მასალები იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენათ იზრდება გამომცემლობისა და წიგნის გავრცელების საქმე ჩვენში და იმედს გამოსთქვამს, რომ ქართული მწერლობის ახლო თანამშრომლობა საშუალებას მისცემს სახელგამს, სავსებით განახორციელოს თავისი რთული და მნიშვნელოვანი ამოცანები.

მეუვიღე სხლომა.

თავმჯდომარეობს არისტო ჯუმბაძე.
იხსნება კამათი ამხ. ბ. ბიბინეიშვილის მოხსენების
გარშემო.

კამათში მონაწილეობას იღებენ: აპ. წულაძე, ტიციან
ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნოე ზომლელი,
ლი, დ. შენგელაია, ი. გრიშაშვილი, ბ. ჟღენ-
ტი, ნ. ჩაჩავა, სერ. ამალღობელი, ს. ერთა-
წმინდელი, ს. ჩიქოვანი და სხ.

ორატორები აღნიშნავენ სახელგამის მიღწევებს; აგრეთვე
არკვევენ მთელ რიგ დეტალებს სახელგამის მუშაობაში. განსაკუ-
თრებით ეხებიან ქართული ენის საკითხს სახელგამის გამოცემებში;
წიგნის გავრცელების საქმის მოუგვარებლობას, ჰონორარის კათიხს,
და სხ. მთელი რიგი ორატორებისა იძლევიან პრაქტიკულ წინადადე-
ბებს სახელგამის ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობა სავსებით
დამაკმაყოფილებლად სთვლის სახელგამის მუშაობას და რეზოლიუ-
ციის შედგენას ანდობს სარედაქციო კოლეგიას.

მეოვე სხლომა.

თავმჯდომარეობს პაოლო იაშვილი.

განათლების სახ. კომისარიატის სახელოვნო განყოფილების მუ-
შაობისა და ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგთა მდგომარეო-
ბის შესახებ მოხსენებით გამოდის სამეცნიერო და სახელოვნო დაწე-
სებულებათა მთავარმმართველობის გამგე ამხ. ს. თოხაძე. მომ-
ხსენებელი აღნიშნავს ხელოვნებისადმი მოთხოვნილებისა და ინტერე-
სის ზრდას — ფართო მუშურ-გლეხურ ფენების კულტურული დაწი-
ნაურების პარალელურად. ამავე დროს ხელოვნება წარმოადგენს
ერთ-ერთ უძლიერეს ფაქტორს მასების აღზრდისა და საერთოდ ახალ
საზოგადოებრივობის განმტკიცების საქმეში.

პარტია და ხელისუფლება ყოველგვარ საშუალებას მიმართავს.
რომ ხელოვნების ყოველი დარგი, განსაკუთრებით თეატრალური ხე-
ლოვნება, დადგეს იმ სიმაღლეზე, როგორც იდეოლოგიის, აგრეთვე
მხატვრული კვალიფიკაციის მხრივ, რომ მათ შესაფერი სამსახური
გაუწიონ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას. დღემდე ხელო-

ვნების ყველა დარგთა ხელმძღვანელობის საქმე სათანადოთ მოგვარებული ვერ იყო. ამით აიხსნება ზოგიერთ სახელოვნო დაწესებულებათა უგეგმო მუშაობა და შეუსაბამობა საბჭოთა სახელოვნო პოლიტიკასთან. განსახკომის სახელოვნო განყოფილება ამ ჟამათ ახდენს სახელოვნო ცხოვრების რევოლუციას ერთიან სახელმწიფო პოლიტიკის სისტემაში.

მომხსენებელი დაწვრილებითი ანალიზს უკეთებს ყველა სახელოვნო დაწესებულებათა მუშაობას, როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში. განსაკუთრებით ჩერდება რუსთაველის თეატრზე, სახელმწიფო ოპერაზე, მუსიკალურ სასწავლებლებზე, სახ. კონსერვატორიაზე და სამხატვრო აკადემიაზე. აღნიშნავს ნაკლებს და მიღწევებს. მის მუშაობაში და ვრცლად აშუქებს პროვინციის თეატრალურ ცხოვრების დონეს.

თოხაძის მოხსენების გარშემო მწვავე კამათი იმართება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ბ. ბუაჩიძე, ს. ამალღობელი, ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი, აპ. წულაძე, ნ. ზომლეთელი, ს. ჩიქოვანი, დ. სულიაშვილი, ნ. შენგელაია, ალ. ახმეტელი, გერცელ ბააზოვი, ვ. კოტეტიშვილი, შ. დუდუჩავა და სხ.

ორატორები აღნიშნავენ, რომ სახელოვნო ცხოვრებაში ერთგვარი ქაოსია შექმნილი და არ სჩანს ერთიანი ხელმძღვანელობა. სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს პროვინციის სახელოვნო ცხოვრებას. ხელოვნების სხვადასხვა დარგთა განვითარებას დიდათ აფერხებს ის გარემოება, რომ არ არსებობს სახელოვნო ჟურნალი, რომელიც უნდა ამუშავებდეს ახალი ხელოვნების პრობლემებს და რეზონანს უქმნიდეს ხელოვნების მიღწევებს. აგრეთვე სისტემატიური დისპუტების მოწყობით უნდა მუშავდებოდეს ესთეტიური აზროვნების ახალი კურსი. ორატორები განსაკუთრებით ჩერდებიან საოპერო თეატრის დეფექტებზე, უფრო მწვავე ხასიათი მიიღო კამათმა რუსთაველის თეატრის გარშემო. გამოსულ ორატორთა უმრავლესობა აღნიშნავენ, რომ რუსთაველის თეატრის მუშაობაში არ სჩანს რაიმე სისტემა და მიზანშეწონილობა; იგი იდეოლოგიურადაც და მხატვრულადაც საჭიროებს მტკიცე ხელმძღვანელობას და კონტროლს.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ დაავალა სარედაქციო კომისიას შეიმუშავოს რეზოლიუცია კამათის მსვლელობის მიხედვით.

მეცხრე სტომა

თავმჯდომარსეობ ს ა ნ დ რ ი ა ს ე უ ლ ი

ყრილობამ ერთხმად მიიღო ამხ. ს ი ლ. თ ო დ რ ი ა ს წინადადება, რომ შეიცვალოს მწერალთა კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა. ნაცვლად მწერალთა კავშირისა დაარსდეს სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია, რომელშიც დამაარსებელ წევრებათ შევლენ ხუთი არსებული ლიტერატურული დაჯგუფება.

ყრილობამ მიიღო ფედერაციის წესდების ძირითადი საფუძვლები, ხოლო წესდების შედგენა მიენდო მომავალ ფედერაციის საბჭოს.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები ამხ. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ი ს მოხსენების გარშემო: მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ და სახელგამის მოხსენების გამო. რეზოლიუციის მიღება ამხ. თ ო ხ ა ძ ი ს მოხსენების გამო მიენდო მომავალ საბჭოს.

ყრილობამ საბჭოთა მწერლების ფედერაციის თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩია ამხ. ს ი ლ. თ ო დ რ ი ა, რომელსაც ხანგრძლივი ოვაციები გაუძარტა.

ფედერაციის საბჭოში არჩეულ იქნენ ყველა ლიტერატურულ დაჯგუფებათა წარმომადგენლები:

ა ლ. ა ბ ა შ ე ლ ი, ს ე რ გ ო ა მ ა ლ ლ ო ბ ე ლ ი, ბ ე ნ ი ტ ო ბ უ ა ჩ ი ძ ე, ვ ა ლ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ი ო ს ე ბ გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, კ ო ნ. გ მ ს ა ხ უ რ დ ი ა, ს ა ნ. ე უ ლ ი, ს ო ლ. თ ა ვ ა ძ ე, პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ვ ა ხ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ვ ა ლ. ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე, ე. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ა ლ. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი, ნ. მ ი წ ი შ ვ ი ლ ი, მ ა მ ე დ ო ვ ი, მ ა რ ი ჯ ა ნ ი, მ ა რ ტ ი ნ, ვ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, გ. მ უ შ ი შ ვ ი ლ ი, შ. ნ ა ვ თ ლ უ ლ ე ლ ი, ბ. ყ ლ ე ნ ტ ი, გ რ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დ. რ ო ნ დ ე ლ ი, შ. რ ა დ ი ა ნ ი, ვ. ს უ ტ ი რ ი ნ ი, პ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, ტ. ტ ა ბ ი ძ ე, გ. ქ ი ქ ო ძ ე, ლ. ქ ი ა ჩ ე ლ ი, ს. შ ა ნ შ რ ა შ ვ ი ლ ი, დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ნ. ჩ ა ჩ ა ვ ა, ა რ. ჭ უ მ ბ ა ძ ე და მ ი ხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა: რ. გ ვ ე ტ ა ძ ე, ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ხ. ვ ა რ დ ო შ ვ ი ლ ი და ნ ი კ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა.

ყრილობამ ამხ. ბ ე ნ ი ტ ო ბ უ ა ჩ ი ძ ი ს წინადადებით საპროტესტო დეპეში გაგზავნა პროექტის ი. ბ ე ხ ე რ ი ს გასამართლების

გამო გერმანიაში, ხოლო ტ. ტაბიძის წინადადებით მისალოცი დეპეში გაეგზავნა იტალიაში მაქსიმ გორკის მისი დაბადებიდან 60 წლის და სალიტ. მოღვაწეობის დაწყებიდან 35 წლის შესრულების გამო.

ყრილობა დაიხურა 14 მარტს 11 საათზე.

ფედერაციის საბჭოს პირველმა სხდომამ ფედერაციის თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩია სილ. თოდროია, ხოლო მის მოადგილეთ გრ. რობაქიძე, პრეზიდიუმის მდივნათ არჩეულ იქნა ალ. მაშაშვილი, ხოლო პრეზიდიუმის წევრებათ: ბენიტო ბუაჩიძე, სანდრო ეული, ი. გრიშაშვილი, ა. ჭუმბაძე, მიხ. ჯავახიშვილი და ბესარიონ ჟღენტი.

ჟურნალი ქართული მწერლობის სარედაქციო კოლეგიაში საბჭომ აირჩია: ბენიტო ბუაჩიძე, ტიციაან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ლეო ქიაჩელი და დემნა შენგელაია.

ყრილობის რეზოლიუციები.

1. კულტურული რევოლუცია და მწერლობის ამოცანები.

მოისმინა რა ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება თემაზე: „კულტურული რევოლიუცია და მწერლების ამოცანები“. საქართველოს საბჭოთა მწერლობის მეორე ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილია საქართველოს მწერლობის ყველა ლიტერატურული დაჯგუფებანი, აღნიშნავს:

1) საბჭოთა კავშირის, კერძოთ, საბჭოთა საქართველოს, სახალხო მეურნეობის განვითარება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი მუშაობით, ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალ დარგში არამც თუ მიღწეულია ომის წინა პერიოდის დონე — გადაჭარბებულია კიდევ. საბჭოთა კავშირში და მის შემადგენელ ცალკე საბჭოთა რესპუბლიკებში ფართოდაა გაშლილი სოციალისტური აღმშენებლობა და იზრდება მშრომელი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა.

2) სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ვითარდება და მალე იწევს მშრომელი მასების კულტურული დონე. მაგრამ მასის კულტურულ განვითარების ტემპი უკან რჩება სოციალისტურ სა-

ხალხო მეურნეობის განვითარების ტემპს. მშრომელ მასის, განსაკუთრებით კი — მშრომელ გლეხობის კულტურულად დაწინაურების საქმე და ამ საქმის სახალხო მეურნეობის განვითარების დონეზე დაყენება მოითხოვს გადამჭრელ ზომებს და განსაკუთრებული მუშაობის წარმოებას კულტურულ მშენებლობის სფეროში — ე. წ., „მესამე ფრონტზე“. აქედან დღის წესრიგში დგება კულტურულ რევოლუციის ლოზუნგი.

3) კულტურული რევოლუცია ჩვენ გვესმის, როგორც მშრომელ მასის — პროლეტარიატისა და გლეხობის — ფართო ფენების კულტურულ დონის ამაღლება, ახალი ყოფის შექმნა, მასის სოციალისტური შეგნების განვითარება, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცება, მასიურ სწავლა-განათლების გაცხოველება. სწავლა-აღზრდის საქმის კლასობრივ პრინციპებზე აგება და მთლიანად კულტურული რევოლუციის ამოცანათა ლოდიკურად დაკავშირება საბჭოთა ქვეყნების ეკონომიური განვითარების პროცესთან და გზებთან, მოკლედ — მშრომელი მასის აქტიურად, შეგნებულად ჩაბმა იმ უდიდეს, ისტორიულ მნიშვნელობის მუშაობაში, რომელიც მიზნათ ისახავს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას.

4) ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კულტურული რევოლუციისათვის მუშაობა, როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ისე კერძოდ ჩვენშიაც, საქართველოში, გაორკეცებული ენერგიით სწარმოებს და პარტია და ხელისუფლება მიმართავს ყოველგვარ მიზანშეწონილ ზომებს, არ ზოგავს საშუალებებს ამ რევოლუციის ამოცანების ცხოვრებაში რეალურათ განხორციელებისათვის. წერა-კითხვის უცოდინარობის აუარებელი სალიკვიდაციო სკოლები, ქოხ-სამკითხველოების რიცხვის ზრდა, — კლუბების სხვადასხვა წრეების, რადიო-სადგურების, სახალხო თეატრების, მოძრავ კინოს მოწყობა, საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა მოკლე ხანში, მუშურ-გლეხური პრესის მასიური ტირაჟი, არაპერიოდული გამომცემლობის ფართო ნიადაგზე დაყენება, მუშა და გლეხ-კორესპოდენტთა მოძრაობის ზრდა-განვითარება და მრავალი სხვა, და მომავალშიაც ამ გზით მტკიცეთ სიარული — აი ყოველივე ის, რაც უზრუნველყოფს და აუცილებელს ხდის კულტურულ რევოლუციის გამარჯვებას, როგორც ჩვენში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში.

5) (კულტურული რევოლუციის განხორციელების საქმეში დიდია როლი საბჭოთა ინტელიგენციის, კერძოდ — ინტელიგენციის მო-

წინავე ნაწილის — მწერლობის. ყრილობა ხაზს უსვამს მწერლობის, როგორც კულტურული რევოლუციის პირველხარისხოვან ფაქტორის საქმიანობის მნიშვნელობას კულტურულ რევოლუციაში და კატეგორიულად, გადაჭრით აცხადებს მასში აქტიურ მონაწილეობის, აქტიურათ ჩაბმის, სურვილის. მწერლობის ასეთი მონაწილეობა კულტურულ რევოლუციაში და ხელოვნების ასეთი შეჭრა კულტურული რევოლუციის სფეროში, თავისთავად გულისხმობს ამ თავითვე ხელოვნების კონკრეტულ ამოცანათა ძველებურად გაგების გადაშინჯვას, უარყოფას და ხელოვნების მუშაკთა მიერ კულტურული რევოლუციის ამოცანათა დაკავშირებას სოციალიზმის შენების და მშრომელთა ფართო მასების სოციალისტურად გათვითცნობიერების ამოცანებთან. ხელოვნება ცხოვრებისათვის, ხელოვნება მასებისათვის — ასეთია კულტურულ რევოლუციის ლოზუნგი. თითოეული საბჭოთა მწერალი უნდა სცდილობდეს ამ ლოზუნგის გაგებას და სწორად გამოყენებას, თუ მართლაც საქმით და არა მარტო სიტყვით სწამს მას მშრომელი მასების კულტურულად დაწინაურების, მასიურ სოციალისტურ კულტურის განვითარების საქმე.

6) კერძოდ, ყრილობა იზიარებს ხელმძღვანელ პარტიის ლიტერატურულ პოლიტიკის დებულებას, რომელიც ამბობს: „საჭიროა ისეთი მხატვრულ ლიტერატურის შექმნა, რომელიც ნავარაუდევო იქნება მუშათა და გლეხთა ნამდვილად მასიურ მკითხველისათვის. გაბედულად და გადაჭრით უნდა აღმოვფხვრად არისტოკრატიული ცრუმორწმუნოებანი ლიტერატურაში და გამოვიმუშაოთ მილიონებისათვის გასაგები სათანადო ფორმა ხელოვნების ყველა ტექნიკურ მიღწევათა გამოყენებით“. ამ მიმართულებით მწერლობის უპირველეს ამოცანათ უნდა ჩაითვალოს თანდათანობითი დაძლევა წარსულის და ბურჟუაზიული კულტურის ყველა იმ გავლენებისა, რომელნიც აბრკოლებენ მწერლობის შემოქმედებითი მონაწილეობას სოციალისტური კულტურის წარმოშობის, განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. ამ დებულების შეთვისება, მისი რეალურად გამოყენება დიდათ გაუადვილებს მწერალს კულტურულ რევოლუციაში სათანადო მონაწილეობის და მიმდინარე პერიოდში მწერლობის წინაშე წამოჭრილ სერიოზულ ამოცანათა სავსებით გადაწყვეტას.

7) მწერლობის აქტიურ მონაწილეობას კულტურულ რევოლუციაში მოითხოვს აგრეთვე ის ყურადღება, რომელსაც იჩენს ხელისუფლება მწერლობისადმი. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ჩვე-

ნი მთავრობის დიდ მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებას მწერალთა ორგანიზაციისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა და რაც საჭიროდ ჰხდის მწერლობის შემოქმედებითი მუშაობის წარმართვას ახალი ყოფის და ახალი სოციალისტური აღმშენებლობის ნიადაგზე წარმოშობილი ადამიანის მისწრაფებათა მხატვრულათ განსახიერებისაკენ.

8) აღნიშნავს რა, იმ უმთავრეს მომენტებს, რომელნიც ახასიათებს საბჭოთა ქვეყნის საერთო ეკონომიურ და კულტურულ ზრდას, კულტურული რევოლუციის პირველ ფაზებს, მის მიერ განვლილ გზებს და დასახულ ამოცანებს, მისი განვითარების ხასიათს, მიმართულებას და შინაარსს, მწერლობის როლს ამ პროცესში და ხელისუფლების ყურადღებას მწერლობისადმი — სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა იმედოვნებს, რომ არც მომავალში იქნება შენელებული ეს ყურადღება, და საქართველოს მწერლობის შემოქმედებითი გზები წარიმართება ამ აუცილებელი ახალი მიმართულებით, რომელიც ერთად ერთი თავდება იმისა, რომ საქართველოს მწერლები გაამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც მასზე ამყარებს მშრომელი მასა.

2. სახელგამის შესახებ.

მოისმინა რა ამხ. ბ. ბიბინეიშვილის მოხსენება სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობის შესახებ, სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა აღნიშნავს შემდეგს:

1) ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, რომელიც მიზნად ისახავს მშრომელი ხალხის კულტურულ აღზრდას და განვითარებას, გადაიქცა ჩვენს სინამდვილეში ერთ-ერთ უდიდეს და მომქმედ კულტურულ სამეურნეო ორგანიზაციად.

2) ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს სახელგამის მიღწევებს: ყოველი დარგის წიგნთა პროდუქციის ზრდას, წიგნის გამოცემის ტექნიკის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, და იწონებს სახელგამის მიერ მიღებულ ღონისძიებებს წიგნის გავრცელების საქმის მოსაწესრიგებლად, როგორცაა: საკუთარი მალაზიების რიცხვის დიდი ზრდა ტფილისსა და პროვინციებში, კოოპერაციის ჩაბმა ამ საქმეში, კონტრაგენტების ქსელის გაძლიერება და სხ.

3) ყრილობა სასურველათ სცნობს მწერალთა უახლოეს ჩაბმას სახელგამის საერთო მუშაობაში.

4) ყრილობა აქცევს სახელგამის ყურადღებას, რათა სახელგამის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებში დაცულ იქნეს ქართული ენის სისწორე და წიგნებს ამ მხრით გაუკეთდეს წინასწარი რედაქცია.

5) ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მოგვარებულ იქნეს ჰონორარის საკითხი ახალ საავტორო უფლებებთან დაკავშირებით.

6. დასასრულ, სთვლის რა სახელგამის მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად, ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რომ სახელგამისა და მწერლობის მჭიდრო კავშირი უფრო გაძლიერებულ იქნეს მომავალში, რაიცა საშუალებას მისცემს ერთსაც და მეორესაც დასძლიონ ის დაბრკოლებანი, რომელთა გადალახვა როგორც მწერლობის პროფესიონალურ საკითხებში აგრეთვე სახელგამის საერთო მუშაობაში საჭიროებს შეთანხმებულსა და ხელი-ხელ ჩაკიდებულ მუშაობას.

— : —

ბიბლიოგრაფია

პროფ. კ. კეკელიძე

„ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ი. გრიშაშვილისა.

არის შემთხვევა, მართალია იშვიათი, რომ წაიკითხავ წიგნს და მის შესაფასებლად სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ, გარდა მოკლე ფრაზისა: „ძალიან კარგია“ ეს უნდა ვთქვა პირადათ მე ი. გრიშაშვილის დასახელებული მონოგრაფიის შესახებ.

ძველმა ტფილისმა „არაერთი პოეტის შთაგონება აამღელვარა“, მას „არხეოლოგების“ ცნობისმოყვარეობაც გაუღიზიანებია, მაგრამ მისი „აფერადებული სისრულე“, მისი „საიდუმლოება“ და „ლეგენდარული“ ფიზიონომია ისე მოხდენილად არავის აუსახავს, როგორც ეს შესძლო პოეტმა ი. გრიშაშვილმა. მართალია ავტორი, როდესაც ამბობს, რომ „თვალსა და ხელს შუა ვჭრება და ისპობა ძველი ტფილისის ეგზოტიური ნატიფობა, ყარაჩოღელთა ისტორიული სამოქალაქო თუ საოჯახო ადათები და ქალაქური ზეპირსიტყვაობის ძარღვიანი ნიმუშები“. ამ გარემოებამ და არა იმან, რომ ავტორი იდეოლოგია ძველი ტფილისისა, ვფიქრობ ააღებინა მას კალამი ხელში, ისე, როგორც თავის დროს ტფილისის საბჭოს ამავე გარემოებამ უკარნახა აუცილებლობა ქალაქის მუზეუმის დაარსებისა. ტფილისის საბჭოს მუზეუმის ექსპონატების გვერდით მკვლევართათვის არანაკლები მნიშვნელობა ექნება ჩვენი ავტორის „ცოცხალ სიტყვასაც“. ამაშია მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა!

დასახელებული შრომის პირველს ნახვეარში წარმოდგენილია წმინდა ეთნოგრაფიული მასალა, აქ, მოხდენილად და ლამაზად, აწერილია ქალაქის ენა, კინტო და ყარაჩოღელი, ყეენობა, კრივი, ამქრობა, მზითევი, აბანო, აშუღები დღეობაში, ნაღლი, ყარაგიოზას თეატრი და ძველი ტფილისის ბიბლიოთეკა. ამ მასალას წინათაც შეხებიან სხვები ისტორიული, არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მიდგომით, მაგრამ მათი აღწერილობა ვერ შეედრება ი. გრიშაშვილის ძარღვიან სიტყვას. მართალია, ეს ადათები და ზნეჩვეულებანი მეცნიერულად ახსნილ-განმარტებული არაა (მათი წარმოშობისა და მნიშვნელობის მხრივ), მაგრამ ამისი პრეტენზია არც ავტორს აქვს და ვერც მოვითხოვთ ჩვენ მისგან ამას, ისე, როგორც ვერ მოვსთხოვთ სამუზეიმო ექსპონატების შემკრებელს მათ მეცნიერულ განმარტებასაც; საკმარისია, რომ ი. გრიშაშვილმა უხვად შეკრიბა ისინი, მოხდენილად დააღაგა და სისწორით აგვიწერა, რათა დავიწყებას არ მიეცეს ძველი ტფილისის სახე; მეცნიერულად სხვებმა შეისწავლონ ისინი!

იქნება ვინმემ იკითხოს: რა საჭირო იყო ეთნოგრაფიულ მასალაზე შეჩერება წიგნში, რომელსაც მიზნად დაუსახავს ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის დასურათება? ამაზე თვით ავტორი იძლევა სრულიად სამართლიან პასუხს: „ვიდრე შეუდგებოდეთ ამ მწერლების განხილვას, საჭიროა ცოტა შორიდან და-

ვიწყობ და გავითვალისწინებთ ის არე, ის ტფილისი და ის ყოფის ამსახველი ცხოვრება, რომელიც მათი შემოქმედების დვრიტა იყო და რომელმაც წარმოშვა ძველი ტფილისის ეგზოტიკა და ქალაქური ხალხური პოეზიის თავისებურობა; ყოველი მწერალი თავისი წრის ღვიძლი შვილია“.

ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის წარმომადგენელთა შორის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ავტორის ყურადღება მიუპყრია გივიშვილს სკანდარნოვას, ანტონ განჯისკარელს, იეთიმ გურჯის, ბეჩარას და ჰაზირას. ესენი იყვნენ უფრო მნიშვნელოვანი წარმომადგენელნი დაბალი ფენების პოეზიისა აღნიშნული ეპოქის ტფილისში, ისე, როგორც მაღალი ფენების პოეზიაში იმავე დროს კანონმდებლობდნენ ილია და აკაკი. ეს პოეზია გამომხატველი იყო იმ ფენების ყოველდღიური ჭირვარამისა, რომლის წიაღში ისახებოდა ის. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ბევრს იმათგან, ვინც მაღალი ფენების პოეზიაში კარგად ერკვევა, ალბად წარმოდგენაც არ ჰქონდა „იმ პატარა ნაკადულებზე, რომელიც შეუმჩნევლად იფარებოდა აკადემიური მწერლობის მღელვარე ტალღებში“ და რომელსაც ი. გრიშაშვილმა გვაზიარა თავის მონოგრაფიაში. ბევრს ჩაუხედნია იმ ჯურღმულსა და სარდაფში, სადაც დასაწყისს იღებდა ეს ნაკადი? ბევრს გაუგონია ეს სახელები, ბევრმა იცოდა, რომ ის მშვენიერი ლექსები, რომლითაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გაიგონებდით და შეიძლება ეხლაც გაიგონოთ, სახელდობრ: „მითხარ, მითხარ რას მემდური“, „ორთავ თვალის სინათლევ“, „შავი ზღვის ნაპირას ჩვენი სახლები“, ეკუთვნის გივიშვილს, სკანდარნოვას და ჰაზირას? ეს პოეზია მხოლოდ ი. გრიშაშვილს შეეძლო გაეგო ასე კარგად, მხოლოდ მას შეეძლო ასე საუცხოვოდ გადაეშალა ის ჩვენს თვალწინ; საქმე ისაა, რომ გრიშაშვილი ნათესაურ კავშირშია ამ პოეზიასთან, ის უშუალო ნატეხია მისი, აკი თვითონაც ამბობს: „აქ, ძველი ტფილისის გულის სიღრმეში, გამოჩნდა ანკარა წყარო და დასაწყისი ჯადოსნური ლამაზი პოეზიისა; მე შევსვი ეს წყარო ორივე ხელით და ვამაყობ, რომ ჩ ე მ ს ძ ა რ ღ ვ ე ბ შ ი მ ი ს ი მ ა დ ლ ი ა ნ ი ნ ა კ ა დ ი მ ჩ ქ ე ფ ა რ ე ბ ს“.

რა ვთქვა ავტორის სტილის შესახებ? ი. გრიშაშვილი, ეს ვირტუოზი ქართული ლექსისა, შეუდარებელი „პოეტია“ ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიურ „პროზაშიც“; ესაა, სხვათა შორის, მიზეზი, რომ მისი ახალი შრომა ასეთი შეუნელებელი ინტერესით იკითხება, მის სტილს სპეციფიურ იერს აძლევს „ჯიშაიანი ტფილისური“ სიტყვები, რომელთა ლექსიკონი, წიგნს რომ აქვს ბოლოში დართული, მეცნიერულ ინტერესს არაა მოკლებული.

„ეს წიგნი“, ამბობს ავტორი, „როგორც საიათნოვასგან წართმეული თემა, არის მეორე ნაკვეთი ჩემი ამ ჟანრის შემოქმედებისა. თუ საიათნოვა მე-18 საუკუნის ფარგლებით შევზღუდე, ეს წიგნი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარის ხალხურ მწერლებს ნივაკუთნეო“. ამნაირად, „ამ ჟანრის შემოქმედებაში“ ავტორს ნახევარი საუკუნის ხარვეზი აქვს, ეს არის მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი. სასურველი და საჭიროა მანვე ამოავსოს ეს ხარვეზი თავისი ოსტატური ხელით. იმედი უნდა ვიქონიოთ, თუ ასეთსავე საგანგებო ნარკვევებში არა, იმ „შემდევს წიგნში“, რომელსაც ის გვპირდება „ალექსანდრე ჭავჭავაძის“ სახელწოდებით, ეს ხარვეზი ამოვსებული იქნება.

— : —

ვ. ი. ლენინის წერილები მაქსიმ გორკისადმი. გვ. 116. ტ. 3.000 ფ. 65 კაპ. სახელგამი.

წიგნში მოთავსებული 34 წერილი მაქსიმ გორკისადმი ეკუთვნის ამხ. ლენინის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდს. ეს ის პერიოდია (1908 — 1913), როდესაც ამხ. ლენინი ფინლიანდიიდან (სოფ. კუოკკალადან) ჩავიდა უენევაში 1908 წლის იანვარში. აქ მას, — მალინოვსკისთან, ა. ბოგდანოვთან და დუბროვინსკისთან ერთად — მინდობილი ჰქონდა „პროლეტარი“-ს ხელმძღვანელობა. დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, ილიჩის ხელმძღვანელობით მართლაც გამოვიდა „პროლეტარი“-ს № 21 (უენევაში პირველი).

როგორც წერილების თარიღი გვიჩვენებს — ადგილი, საიდანაც იგზავნებოდნენ წერილები — იყო ევროპის სხვადასხვა ქალაქები: უენევა — პარიზი — კრაკოვი — ბერნი — პორონინი.

სისტემატიური მიწერმოწერა ამხ. ლენინსა და მ. გორკის შორის იწყება 1 იანვრიდან 1908 წლისა.

თითქმის ყველა წერილიდან მოსჩანს ის უაღრესი პატივისცემა, რომლითაც ლენინი გამსჭვალული იყო მაქსიმ გორკისადმი, როგორც ადამიანისა და როგორც მწერლისადმი. ლენინი ხშირად მიმართავდა მას სხვადასხვა რჩევისათვის გაზეთების თუ წიგნების გამოცემის დროს. — „იფიქრეთ რამე ამის შესახებ და მომწერეთ“ — სწერს ლენინი 1913 წ. მაქსიმ გორკს.

ამხ. ლენინი აგრეთვე თითონაც ხშირად ეკამათებოდა გორკის ამა თუ იმ საკითხის გარშემო არაპროლეტარულ გადახრის დროს. მისთვის ჩვეული პირდაპირობით ამხილებდა გორკის შეცდომებს და უჩვენებდა სწორ გზას. ამ მხრით საყურადღებოა წერილი № 32 (103 გვ.), სადაც ლენინი გააფთრებით ილაშქრებს სხვადასხვა ჯურის „ღვთისმადიებლები“-ს წინააღმდეგ. ამ წერილში, სხვათა შორის, ლენინი სწერს გორკის: „გუშინ „Речь“-ში წავიკითხე დოსტოევსკის შესახებ ამტყდარი „ღრიალი“-ს გამო თქვენი პასუხი და ზეიმი დავაპირე; დღეს კი მომდის ლიკვიდატორული გაზეთი, სადაც დაბეჭდილია აბზაცი თქვენი წერილისა, რომელიც „Речь“-ში არ იყო. ეს ებზაცი კი ამგვარია: „ღვთისმადიებლობა“ კი საჭიროა დროებით (მხოლოდ დროებით?) გადაიდოს, — ეს უსარგებლო შრომაა... ამათა ეძიოთ იქ, სადაც საჭირო არ არის. თუ რამე არ დათესე — ვერაფერს ვერ მოიშობ. ღმერთი თქვენ არა გყავთ. თქვენ ის ჯერ (ჯერ!) კიდევ არ შეგიქნიათ. ღმერთს არ ეძებენ — იმას ჰქმნიან“... — გამოდის, რომ თქვენ მხოლოდ დროებით ხართ ღვთის მადიებლობის წინააღმდეგი, მხოლოდ იმისთვის, რომ ის შეცვლილი იქნეს ღვთის შეგნებით. ნუ თუ საშინელება არ არის ის, რომ თქვენ ამნაირი ხუმრობა გამოგიდით? რათ შევებით თქვენ ამას? მეტისმეტად საწყენია“.

რაც შეეხება ლენინის შეხედულებას გორკიზე როგორც მწერალზე — ამის შესახებ — „Дискуссионный листок“-ში № 1 (პარიზში გამოვიდა) ლენინი სწერდა: „გორკი უსათუოდ ყველაზე უფრო დიდი წარმომადგენელია პროლეტარულ ხელოვნების. ყოველ ს.-დემოკრატიულ ფრაქციას შეუძლია იამაყოს იმით, რომ გორკი ეკუთვნის მას“ (იხ. 45 გვ.) ლენინი ახლო მონაწილეობას იღებდა აგრეთვე გორკის პირად ცხოვრებაშიც, ხშირად სწერს მას იექიმოს, თავს მოუაროს და დაიცვას ცხოვრების ნორმალური პირობები.

გარდა ამ პირადი ურთიერთობისა, აღნიშნულ წერილებში მოცემულია ძვირფასი მასალა, რომლითაც ხასიათდება ამხ. ლენინი, რედაქტორი, იშვიათი ორგანიზატორი პარტიული მუშაობის, პოლიტიკური მოღვაწე, რედაქტორი, იშვიათი დისციპლინითა და შრომის უნარით აღჭურვილი ადამიანი. თავის წერილებში ილიჩი ხშირად გამოსთქვამს აღფრთოვანებას ბალტიის ფლოტში მატროსთა შორის რევოლუციონური მუშაობის გაჩაღების გამო. სწუხს, როდესაც ამჩნევს, რომ ამა თუ იმ ადგილას არ არის სათანადო ორგანიზაცია მოწყობილი. უენევაში ახლად ჩასული ლენინი, 1 იანვარს, 1908 წ. სწერს მ. გორკის მეუღლეს: შეიტყოს და აცნობოს — შესაძლებელი იქნება თუ არა მოეწყოს ლიტერატურის გადაგზავნა იტალიური გემებით — რუსეთში და სხვ.

დასარულ, ამავე წერილებში ლენინი ხშირად აწარმოებს ულმოებელ პოლემიკას ოპორტიუნისტებსა და ლიკვიდატორების წინააღმდეგ. აქვეა ილიჩის აზრი სხვადასხვა ფილოსოფიურ საკითხებზე (მატერიალიზმი, იდეალიზმი).

წიგნი იკითხება დიდი ინტერესით. გამოცემა და ტექნიკური მხარე კარგადაა შესრულებული.

— : —

ლიტერატურული ცხოვრება

უცხოეთი

◆ **იბსენის უკანასკნელი დღეები.** გერმანულ გაზეთში მოთავსებულია წერილი იბსენის ცხოვრების შესახებ. წერილის ავტორი, ალბათ, დაახლოებით იცნობდა ამ დიდი მწერლის კერძო ცხოვრებას. ის სწერს, რომ იბსენი თავის პირად ცხოვრებაში ძალიან შორს იყო თავისი იდეალებისაგან — თავის მხატვრულ შემოქმედებიდან. მხატვრულ შემოქმედებაში ის სასტიკათ ილაშქრებდა ყოველგვარი მეშხანობის წინააღმდეგ. თვითონ კი მეტადრე სიკვდილის წინა ხანებში ეტანებოდა მეშხანურ ცხოვრებას, უყვარდა ისეთი მორთულობა შინაურობის, რაც დამახასიათებელია წვრილ ბურჟუაზიულ მეშხანურ წრეებისთვის.

თავის ნაწერებში ის სდევნიდა ე. წ. წარჩინების ყოველგვარ ნიშნებს. მაგრამ თითონ ძალიან უყვარდა ეს ნიშნები, ყოველკვირა უქმე დღეს გამოდიოდა ორდენებ აკიდებული და მისი მკერდი იქცევდა საზოგადო ყურადღებას. ის სწერდა თეატრისთვის, ყოველივე მისი ნაწარმოები შეწყობილი იყო სცენასთან. თეატრი კი არ უყვარდა, თითქმის არ დადიოდა, განსაკუთრებით, როცა მისი პიესები იდგმებოდა. მისი მხატვრული შემოქმედება თვითმკვლევლობაში ხედავდა გამოსავალს ადამიანის დამამცირებელ ცხოვრების პირობებისაგან. თითონ კი ვერ აყენებდა თავისთვის ამ საკითხს, თუმცა მისი პირადი ცხოვრება მძიმე დაავადმყოფების გამო საშინლათ დამამცირებელი შეიქნა მისი ადამიანური ღირსებისთვის. „Neue Freie Presse, 25 მარტი 1928“.

◆ **ლევონტ დელილი.** პარიზში იბეჭდება ახალი გამოცემა ცნობილი პოეტის ლევონტ დელილის ლექსების. ლევონტ დელილის კალამს ეკუთვნის სხვათაშორის „ანტიური პოემები“, „ბარბაროსული პოემები“, „ტრაგიკული პოემები“. მგოსანი ეკუთვნოდა იმ ეპოქას, როცა რომანტიზმი შეიქნა დრომოჭმული მიმართულება. ის გამოხტავდა ინტელექტუალურ მიმდინარეობას პოეზიაში, ის იყო მგოსანი ერუდისტი, რომელიც ეტანებოდა ისტორიას და არქეოლოგიას. საყურადღებოა განსაკუთრებით მეოთხე ტომი ამ გამოცემის. აქ შედის სულ გამოუცემელი ლექსები და ის, რაც აქამდის გაფანტული იყო სხვადასხვა გამოცემებში. აქ შედის სხვადასხვა ვარიანტები მისი ნაწერების, აქ სჩანს მისი დაულალავი ძიება გაუმჯობესებული ფორმის და რიტმის. ამავე გამოცემაშია ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომელსაც არ აქვს ვარიანტი, ეს არის მისი შემოქმედების დასრულებული ნაყოფი, რომელიც არ მოითხოვდა გადაკეთებას და გაუმჯობესებას.

„ტანი“ 31 იანვ. — 28 წ.

◆ **ლატუში და ბალზაკი.** ბალზაკი (1799 — 1850 წ.) თანამედროვე რეალიზმის მამამთავარი, ფრიად მიმზიდველი სახეა მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაში. ლატუში (1785 — 1851) მისი თანამედროვე, რომანტიკოსების ერთ-ერთი წარმომადგენელი. ის არაა ფართოთ ცნობილი, დღეს დავიწყებულია მისი მხატვრული ნაწერები, მაგრამ ახლა ხან გამოვიდა პატარა კრებული მისი წერილების ბალზაკისადმი და ეს კრებული იწვევს საფრანგეთში ღრმა ინტერესს. ამ წერილებიდან სჩანს, როგორი გავლენა ქონდა შედარებით უმნიშვნელო მწერალს უდიდესი მწერლის შემოქმედებაზე და როგორ დააყენა რომანტიზმის წარმომადგენელმა ეს მწერალი რეალური რომანის გზაზე. „ტანი“ 28 მარტი — 28 წ.

◆ **დოსტოევსკი.** ინგლისურ ენაზე გამოვიდა გერმანულიდან გადათარგმნილი მეირ გრეგის წიგნი „დოსტოევსკი. პიროვნება და შემოქმედება“ რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ინგლისურ პრესაში. „მანჩესტერ გარდენი“ აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში დიდი ინტერესია შექმნილი რუსული ლიტერატურისადმი.

◆ **დამოუკიდებელთა გამოფენაზე,** საფრანგეთის მხატვრული კრიტიკა აღნიშნავს ახალ მიმართულებას ქანდაკებაში: მონუმენტალური სტილის ადგილს იჭერს, დაუსრულებელი ფიგურა, ბიუსტი ოთახში დასადგმელი სტატუეტკაო. მხატვრული კრიტიკა ამ მოვლენას ხსნის იმ გარემოებით, რომ საფინანსო კრიზისის გამო ხელოვნებას სასტიკათ შეუმცირდა ბიუჯეტი მაგრამ შეიცვალა არა მარტო, სოციალური შეკვეთა გამოიცვალა მხატვრის ცხოვრების საერთო პირობებიც. მსოფლიო ომმა გამოიწვია გადატრიალება, წარმოიშვა ახალი კლასი, რომელმაც დაიჭირა უფრო მაღალი საფეხური სოციალურ კიბეზე. ამ კლასს უნდა ექნეს გარეგანი ნიშნები თავისი ახალი მდგომარეობის. ის იძენს ფუფუნების საგანს. ძვირფასეულობას, ეტანება ხელოვნებას, იწვევს მეტოქეობას მხატვრებში. მხატვრები მოქანდაკეები ცდილობენ დაიპყრონ შემკვეთი წრეები, გააქვთ თავიანთი ნაწარმოები გამოფენებზე, გამოფენას ადგილი აქვს ქუჩაშიაცო. ამ გამოფენაზე თუ რაოდენობით არა, თვისებით პირველი ადგილი უკავიათ ფრანგებს, მათში საყურადღებოა პოლინა, ბროშერი ჟორჟ ვიოლა. რუსეთის ქანდაკებას რაოდენობით უკავია ერთი მეხუთედი ნაწილი გამოფენის. ყურადღებას იქცევენ ცაპლინი, ინდენბაუმი, უტკესი და სხვ.

ცაპლინს აქვს „დარაჯი“ და მოქანდაკეს ასახელებენ როგორც გამბედავს და მეტად ნიჭიერს — ინდენბაუმზე ამბობენ, — მოქანდაკეთ არის დაბადებულიო, გამოფენილი აქვს „ქალი, რომელიც თმას ივარცხნის“. ეს ნაწარმოები სავსეა სიცოცხლით, შენიშნავს „ტანის“ რეცენზენტი. („ტან“, 27 თებერ. 28 წ.

◆ **მუსიკა და პოლიტიკა.** პარიზის მუსიკალურ აკადემიაში დაიდგა ცნობილი მუსიკალური დრამა „ტურანდოტი“. ანრი მალშესი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მუსიკალურ კრიტიკაში, სწერს: „ტურანდოტის“ დადგმა ეროვნულ საოპერო თეატრში — ეს არის საქმე უფრო პოლიტიკის, ვიდრე მუსიკისა. მუსიკისაგან აღარ სჯერდებიან მარტო სიამოვნებას და მუსიკას ხშირათ აყენებენ პრაქტიკული მიზნების სამსახურში. ამ შემთხვევაში ეს მიზანი იყო მეგობრული კავშირის გამტკიცება საფრანგეთის და იტალიის ხალხთა შორის. „ხელოვნებამ ხელოვნებისათვის“ გზა დაუთმო ხელოვნებას პოლიტიკისათვისო“. რაც შეეხება ამ ნაწარმოების მუსიკალური მხატვრულ ღირსებასო, განაგრძობს ავტორი,

მისი გამართლება არ შეიძლება, ის არაფერს არ ეუბნება არც გონებას, არც გულს, მას ადგილი არ უნდა ეძლეოდეს აკადემიაშიო. („ტანი“. 4 აპრილი, 1928 წ.).

◆ პარიზში გამოვიდა **ანრი ბარბიუსის** ახალი თხზულება „იესოს გამცემნი“, რომელიც წარმოადგენს ამავე ავტორის წიგნის „იესოს“ გაგრძელებას. თხზულების თემას წარმოადგენს იესოს ისტორიული არსებობის პრობლემა და მასთან ერთად ახალი მცნების „ჭიმმარიტებათა“ და რენანის დებულებათა გაბათილება. ბარბიუსი ამტკიცებს, რომ იესო ნამდვილად ისტორიული პიროვნებაა. კომუნისტს ბარბიუსს „ღვთაებრივობის“ იდეა მიაჩნია იმ ძირითად დაბრკოლებათ, რომელიც აფერხებს მასსების სულიერ მონობიდან განთავისუფლებას.

რ უ ს ე თ ი

◆ ლენინგრადში გარდაიცვალა ლიტერატურის ისტორიკოსი და ცნობილი პუშკინისტი **ბ. დ. მოძალევესკი**. იგი იყო ინიციატორი და დამაარსებელი „პუშკინის სახლისა“, რომელიც წარმოადგენს რუსული ლიტერატურის უდიდეს პანთეონს, სადაც შენახულია მე-XIX ს. რუსი მწერლების ხელნაწერები და არქივები. მოძალევესკი მრავალი წლების განმავლობაში იკვლევდა პუშკინის შემოქმედებას, ცხოვრებას და მის ეპოქას. უკანასკნელი წლების განმავლობაში შეუდგა პუშკინის წერილების გამოცემას. თავისი მნიშვნელობით ეს შრომა წარმოადგენს უდიდეს განძს რუსულ ლიტერატურათ მცოდნეობაში. განსვენებული ხელმძღვანელობდა აგრეთვე გამოკვლევათა სერიას „პუშკინი და მისი თანამედროვენი“, რომლის 37 წიგნში გამოქვეყნებულია უამრავი წერილები, ახალი მასალები და ნარკვევები პუშკინისა და მისი დროის პოეტების შემოქმედების შესახებ.

◆ სახკომსაბჭომ განსაკუთრებული დადგენილებით წინადადება მისცა ცენტრ. კომერც. ბანკს, ცენტ. საბინაო კავშირს და სახელმ. საგეგმო კომისიას, რათა მათ 1928-29 წ. საბჭოთა მწერლების ფედერაციას გადასცენ საჭირო თანხები მწერალთა კომუნის სახლის ასაშენებლათ.

◆ საბჭოთა მწერლობის ფედერაცია შეუდგა მწერალთა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატივის ორგანიზაციას.

◆ **მ. გორკის საიუბილეო დღეები** გაცხოველებით მიმდინარეობს. იმართება საზეიმო საღამოები, დისპუტები და საუბრები გორკის შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ. სამეცნიერო მუშაკთა სახლმა, რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებამ, საბჭოთა მწერლების ფედერაციამ, მუშათა კლუბებმა და მრავალმა სხვა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა განსაკუთრებული საღამოებით აღნიშნეს მ. გორკის 35 წ. ლიტერატურ. მოღვაწეობის შესრულება.

◆ **ლენინგრადში**, პუშკინის სახელობის სახლში გაიხსნა გორკისათვის მიძღვნილი გამოფენა. სხვათა შორის აქ წარმოდგენილია გორკის მიერ საკუთარი ხელით გასწორებული კორექტურა მისი თხზულებათა სრული კრებულის ბერლინის გამოცემისა.

◆ გორკის სახელზე მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოდის უამრავი მოლოცვები, რომელსაც აგზავნიან ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი რომენ როლანის, ჰაუპტმანის, მაქს რეინჰარდის, კნუტ ჰამსუნის და სტეფან

ცვაიგის მეთაურობით. სორრენტოში განსაკუთრებული დეპეშები იქნა მიღებული ბერლინის უნივერსიტეტიდან, შეერთებული შტატების 30 პროფესორისა და მწერალისაგან, იაპონელი მწერლებისაგან და მრ. სხვ. გერმანიის ორი უდიდესი რადიო-სადგური გადასცემდა ლექციას გორკის შესახებ და აგრეთვე მის პიესას „ფსკერზე“. გადაცემა ისმოდა მოსკოვში.

◆ **მწრალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით** მწერალთა ფდერაციამ სახელგამისა და გამომცემლობათა ყრილობის საბჭოსთან შეთანხმებით გამოიმუშავა ტიპიური საგამომცემლო ხელშეკრულებათ. ეს პროექტი ხელშეკრულებისა ამ მოკლე ხანში წარედგინება სახალხო განათლების კომისარიატს დასამტკიცებლათ. ხელშეკრულებაში აღნიშნულია გამოცემის ვადა, ჰონორარის მინიმუმი, მაქსიმალური ტირაჟი და სხვა საკითხები, რომელიც შესაძლებელია აღმოცენდეს ავტორებსა და გამომცემლთა შორის.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

„ქართული მწერლობის“ შემდეგი ნომერი ეძღვნება მაქსიმ გორკის.

◆ მ. გორკის საიუბილეო დღეებისათვის სახელგამმა გამოსცა იაფ-ფსიანი წიგნები: მაქსიმ გორკი—მოთხრობები“, „ვ. ი. ლენინის წერილები მაქსიმ გორკისადმი“ და ივ. გომართელის — მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება“.

◆ გამოვიდა სანდრო შანშიაშვილის წიგნი „შოთას ბეჭედი“ წიგნი შეიცავს ბალაღებს და ლექსებს.

◆ ივნისში გამოვა სანდრო შანშიაშვილის მიერ ნათარგმნი **შილლერის „ვილჰელმ ტელი“** და **დონ-კარლოსი“**.

◆ ივნისში გამოდის ვაჟა-ფშაველას ლექსების მეორე გამოცემა ს. აბაშელის რედაქტორობით.

◆ მიხეილ ჯავახიშვილი სწერს დიდ მოთხრობას „ცხონება და წაწყმედა გობრონ ბერისა“. თემა მოთხრობისა თანამედროვე ცხოვრებიდან არის აღებული.

◆ „თეთრი საყელო“. გამომცემლობა „ზაკნიგა“ ბეჭდავს რუსულად მ. ჯავახიშვილის „თეთრ საყელოს“. წიგნი მაისის შუა რიცხვებში გამოვა.

◆ „ჯაყოს ხიზნები“ რუსულად. მთარგმნელს ეგოროვს (იაგორაშვილს) გადაუთარგმია და მიუყიდია რუსეთის სახელგამისთვის „ჯაყოს ხიზნები“. ამავე რომანს ჯავახიშვილი თვითონვე სთარგმნის „ზაკნიგასთვის“.

◆ „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემა“ რუსულად. ზაკნიგამ მიიღო გამოსაცემად პოეტ ი. გრიშაშვილის ახალი ნაშრომი: „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემა“. წიგნს სთარგმნის პავლე და დვადე.

◆ „ვერტერი“ ქართულად, გერმანულიდან სთარგმნა კონსტანტინე გამსახურდიამ. წიგნს ბეჭდავს „ქართული წიგნი“.

◆ კონსტანტინე გამსახურდია სწერს რომანს უშანგ ურდოელი. პარალელურად ამუშავებს მოთხრობას: „ევროპა გალიაში“ ანუ „საოცარი ავანტიურები ვნებისა, შიმშილისა და სიყვარულისათვის“.

◆ „ახალი სალიტერატურო ქართული“. მიხ. ჯავახიშვილმა დასწერა ამ თემაზე ნაშრომი, რომელსაც მახლობელ მომავალში წაიკითხავს მწერალთა ფედერაციის სხდომაზე.

◆ **ნიკო ლორთქიფანიძე რუსულად.** „ზაკკნიგას“ გამომცემლობა რუსულ ენაზე სცემს ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობების კრებულს.

◆ **„მრისხანე ბატონი“ რუსულად.** ე. ერისთავისამ რუსულ ენაზე სთარგმნა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „მრისხანე ბატონი“, რომელიც დაიბეჭდება ჟურნალ „На рубеже Востока“-ში.

◆ **ნიკო ლორთქიფანიძე** მუშაობს ამ უამად შემდეგ მოთხრობებზე: „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ და „შელოცვა რადიოთი“. გარდა ამისა ნ. ლორთქიფანიძე მუშაობს სამ სატირაზე. როგორც მოთხრობები, ისე სატირებიც ალებულია თანამედროვე ცხოვრებიდან.

◆ მაისის შუარიცხვებში გამოვა ქართული ხელოვნების მემარცენე ფრონტის ჟურნალი „მემარცხენეობა“, სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობით.

◆ მოკლე ხანში გამოვა დემნა შენგელაიას ახალი წიგნი „**ორპირიდან — ფოთამდე**“. წიგნი წარმოადგენს საგზაო შთაბეჭდილებათა და დაკვირვებათა მასალების მონტაჟს.

◆ **ქართველ პოეტების ანტოლოგია რუსულ ენაზე.** „ზაკკნიგა“ სცემს ქართველ პოეტების ანტოლოგიას რუსულ ენაზე. თარგმანები ეკუთვნის ს. კირსანოვს და გ. კრეიტანს.

◆ **„სოფელი და სოფლელები სოფრომ მაგლობლიშვილის შემოქმედებაში“.** ამ სათაურით იპ. ვირთაგავამ დასწერა კრიტიკული ეტიური. წიგნს გამოსცემს „ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“.

◆ **სათეატრო მუზეუმი.** ტფილისში გაიხსნა სათეატრო მუზეუმი. თავისი სიდიდით და ექსპონატების მრავალფეროვანებით მუზეუმი შეიძლება ჩაითვალოს მეტად საინტერესო მოვლენათ. აქ წარმოდგენილია განყოფილებები როგორც საქართველოს, ისე მეზობელ რესპუბლიკების თეატრების ისტორიის სათვალისწინებლად.

ქართველ მხატვართა საზოგადოებაში.

◆ **მხატვარ დავით კაკაბაძის გამოფენა.** მაისის 5-ს გაიხსნა, მხატვრის დავით კაკაბაძის სურათების გამოფენა. მხატვ. დ. კაკაბეძემ უკანასკნელი შვიდი წელიწადი დაჰყო პარიზში. მის თეორეტიულ შეხედულებებს და ძიებებს ახალი ხელოვნებისა და მხატვრობის სფეროში ქართველი მკითხველი საზოგადოება საკმაოდ იცნობს იმ წიგნების მიხედვით, რომელიც პარიზშივე იქნა დაბეჭდილი ქართულ ენაზე. გამოფენილი სურათები წარმოადგენს პარიზში ნამუშევარ პროდუქციას და გაკეთებული არიან დ. კაკაბაძის ახალი თეორეტიული პრინციპების თანახმად. გამოფენა თავისი სიახლით დიდ ინტერესს იწვევს.

◆ **მხატვ. შ. ქიქოძის სურათების გამოფენა.** ამ რამდენიმე წლის წინად საზღვარ-გარეთ გარდაცვლილი ახალგაზრდა მხატვრის შ. ქიქოძის სურათების გამოფენა გაიხსნება მაისის დამლევს.

◆ **მხატ. ვლ. სიდამონ — ერისთავის გამოფენა.** შემდეგი გამოფენა ეკუთვნის მხატვ. ვლ. სიდამონ-ერისთავს. გაიხსნება ივნისში. ყველა გამოფენები ეწყობა მხატვართა საზოგადოების დარბაზში, რუსთაველის პროსპექტზე, სასტუმრო „ორიანტის“ ქვედა სართულში.

◆ „ბორა“. ტფილისის კინო-თეატრებში მიდის რეჟისორ კოტე მარჯანი-შვილის ახალი დადგმა „ბორა“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია და თეატრებს აუარებელი ხალხი აწყდება.

◆ კინო-რეჟისორი ნიკ. შენგელაია ამზადებს სურათს ჩეჩნების ოსმალეთში გადასახლების დროიდან. სცენარი დამუშავებულია იმ ისტორიული მასალების მიხედვით, რომელიც ინახება თერგის ოლქის მართველობის არქივში. მასალები დაგროვილია მოქ. ძაგუროვის მიერ. სცენარი ეკუთვნის სერგეი ტრეტიაკოვს და ნიკ. შენგელაიას. სურათი დამზადდება და ნაჩვენები იქნება ივნისში.

საქართველოს მუსიკოსთა საზოგადოებაში.

◆ მაისის 1-დან მუსიკოსთა საზოგად. სიმფონიური ორკესტრი, პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების მოპატიუებით, აწყობს თბილისის მუშათა კლუბებში სიმფონიურ კონცერტებს. კონცერტებს ხელმძღვანელობას გაუწევს დირიჟორები: შ. თაქთაქიშვილი და ალ. გველესიანი.

◆ დადებულია ხელშეკრულება საკურორტო სამმართველოსთან რომლის თანახმად საზოგადოების ორკესტრის მთელი შემადგენლობა ზაფხულის განმავლობაში იმუშავებს აგარაკ ბორჯომში სახალხო არტისტის ვანო ფალიაშვილის ხელმძღვანელობის ქვეშ. ნაწილი ორკესტრისა გაემგზავრება აბასთუმანში.

◆ სახალხო არტისტმა ვანო ფალიაშვილმა მიიღო მოწვევის ბარათი გერმანიაში რუსულ ოპერების ხელმძღვანელობაზე.

◆ მუს. საზოგ. შეუდგა ვოკალურ ანსამბლის „კაპელას“ ორგანიზაციას. რომლის მიზანია შექმნას საქართველოში სამაგალითო გუნდი.

◆ საზოგადობასთან სანდრო ინაშვილის ხელმძღვანელობით და მისივე მონაწილეობით არსდება ვოკალური კვარტეტი, რომელიც მომავალ სეზონში უკვე გამოვა კონცერტებზე.

◆ ზაფხულის განმავლობაში გადაწყვეტილია გაიგზავნოს საქართველოს სხვადასხვა დაბ-ქალაქებში ექსპედიცია ხალხურ სიმღერათა ჩასაწერად. ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებენ თეორეტიკოს კომპოზიტორთა გარდა აგრეთვე მომღერლებიც.

◆ შედგენილია და გამზადებული გამოსაცემად საბავშო სიმღერათა ორი კრებული, ერთი სულ პატარეებისათვის, მეორე სპეციალურად პიონერთა ორგანიზაციებისათვის.

— : —

უ ნ ა ა რ ს ი:

მოსული — ჩვენი მწერლობა და კულტურული რევოლუციის საკითხები 83-3

ლ. ა — ნი — ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფია. 9
 ჟანდარმერიის ცნობები ნიკო ნიკოლაძის შესახებ 12
 სიმონ ხუნდაძე — ნიკო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური იდეალები. 17
 ვ. კოტეტიშვილი — ნიკო ნიკოლაძე 35

ლ ე ქ ს ე ბ ი

ვ. გაფრინდაშვილი — გაზაფხული თებერვალში. 43
 *რაჟდენ გვეტაძე — ფარული სტამბა არქიელის გორაზე 44
 ი. გრიშაშვილი — ნადირობა ნიამორებზე (დისონანსები) 46
 ნ. ზომლეთელი — ევრო აზეფს. 47
 კოლაუ ნადირაძე — აფხაზეთი 48
 ვ. რუხაძე — გაზაფხულის პირი 51
 ტიცვიან ტაბიძე — ამოდის ნათღება 52
 გრიგოლ ცეცხლაძე — ოთხი მაუზერი. 53

პ რ ო ზ ა

გრიგოლ რობაქიძე — ფალესტრა 59

უ ც ხ ო ე თ ი ს ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

აბელ გარსია ასორინი — ბლასკო იბანიესი. 79
 ბლასკო იბანიესი — ორმაგი ძალით (მოთხრობა). 85

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ს. ხ. — ხომლედი 91
 კ. გამსახურდია — ჰენდრიკ იბსენი. 95
 ბ. ჟღენტი — არიფიონი 104
 სრულიად საქ. საბჭ. მწერლობის ფედერაციის ყრილობის ანგარიში 114

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

პროფ კ. კეკელიძე — „ი. გრიშაშვილის ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“. 133
 ვ. გორგაძე — ვ. ლენინის წერილები მაქსიმ გორკისადმი. 135

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ქ რ ო ნ ი კ ა

**„ქართული მწერლობის“ შემდეგი №-რი
მიეძღვნება მაქსიმ გორკის.
გამოვა მაისის დამლევს.**

ტფილისი, ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლენან. პრ. № 91

შეკ. № 882.

მთავლ. № 782.

ტირ. 1000.